თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკის და ბიზნესის
ფაკულტეტი

გლობალიზაციის და რეგიონული ინტეგრაციის კვლევითი ცენტრი

ემირ ეთერია, მამუკა თორია

საერთაშორისო ეკონომიკა

ლექციების კურსი

ნაწილი I

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2006

"სალექციო" კურსის I ნაწილში" განხილულია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი ტენდენციები, საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე თეორიები, საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები, საერთაშორისო ვაჭრობის მრავალმხრივი რეგულირების მეთოდები, კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობის თავისებურებები, ტენდენციები და ა.შ.

წიგნი განკუთვნილია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ის ჯეროვან დახმარებას გაუწევს საერთაშორისო ეკონომიკის აქტუალური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორიას.

რედაქტორი: **რევაზ გოგოხია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ლელა კოპლამაზაშვილი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
რამაზ ფუტკარაძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ე.მ.კ. დოც. ე. ეთერია – შესავალი, თემა 1, 3, 4, 6, 7, 10
ე.მ.კ. დოც. მ. თორია – თემა 2, 5, 8, 9.

© ე. ეთერია, მ. თორია, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail. universal@internet.ge

ISBN 99940-51-53-9

შინაარსი

შესავალი ---------- 5

თემა 1. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები: ძირითადი ტენდენციები ---------- 11

თემა 2. საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიები 21

თემა 3. საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიები ---------- 42

თემა 4. საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული მოდელი 58

თემა 5. საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ფორმები და მეთოდები ---------- 73

თემა 6. საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები: თეორია და პრაქტიკა ---------- 87

თემა 7. საერთაშორისო ვაჭრობის მრავალმხრივი რეგულირება ---------- 107

თემა 8. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ---------- 123

თემა 9. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია ---------- 140

თემა 10. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია: თეორია
და პოლიტიკა ---------- 163

ლიტერატურა ---------- 193

შესავალი

§ 1. საერთაშორისო ეკონომიკის არსი, შესწავლის საგანი

საერთაშორისო ეკონომიკა ახალი სასწავლო და ამავე დროს ერთ-ერთი საინტერესო ეკონომიკური დისციპლინაა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკმაოდ რთულ და მრავალფეროვან სამყაროში გარკვევა საშუალებას მოგვცემს სწორად გავაცნობიეროთ მსოფლიო ეკონომიკაში და საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს სრულყოფილი ინტეგრაციის ობიექტური აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ეკონომიკა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიას[1]. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა რთული, ერთიანი ორგანიზმია, განვითარების ერთიანი კანონზომიერებებით და თვითრეგულირების მექანიზმით. ცალკეულ ეროვნული ეკონომიკების მსოფლიო ეკონომიკაში ერთიანობას სწორედ საერთაშორისო, ანუ სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები უზრუნველყოფს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა მსოფლიო ეკონომიკის ჩამოყალიბებამდე (მსოფლიო ეკონომიკა ჩამოყალიბდა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის და მისი განვითარების უმთავრეს საფუძველს, მსოფლიო ეკონომიკის შინაგანად დამახასიათებელ მექანიზმს.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ფორმებია:

1. საქონლით და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა;
2. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა;

---

[1] მსოფლიო ეკონომიკა, გრ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით. იბ., 2001, გვ.50

3. საპუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია;
4. ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა;
5. საერთაშორისო სავალუტო-საფინასო და საკრედიტო ურთიერთობები;
6. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია და ა. შ.

ამრიგად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელიც დაფუძნებულია ცალკეული ქვეყნის სპეციალიზაციაზე, ქვეყნის გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის უალტერნატივობაზე და მსოფლიო განვითარების პროცესში გეოეკონომიკური ფაქტორის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე გვეელინება ცალკეული ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად. ამდენად, თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები სცილდება მის მარტო ეკონომიკურ განზომილებას და ის გაცილებით მეტია, ვიდრე ქვეყნებს შორის მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში კონცენტრირებულად ვლინდება ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მისი წონა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში, ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების დონე და პოტენციალი, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური კადრებით უზრუნველყოფის დონე და ზოგადად, განათლების სისტემის ეფექტიანობა და მისი პოტენციალიც კი.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მოიცავს ცალკეულ ქვეყნებს, რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებს, ცალკეულ საწარმოებს შორის არსებულ მრავალფეროვან, მრავალდონიან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. საერთაშორისო ეკონომიკა, როგორც მეცნიერება შეისწავლის არა ცალკეული ქვეყნის ეკონომიკას, არამედ ქვეყნებს შორის მრავალმხრივ, მრავალგანზომილებიან და მრავალწახნაგოვან ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს და განაპირობებს ცალკეული ქვეყნის ინტეგრირებას მსოფლიო ეკონო-

მიკაში. ასევე, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების საერთო და განმასხვავებელ თავისებურებებს, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მრავალმხრივი, რეგიონული თუ ზეეროვნული რეგულირების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს.

ამრიგად, **საერთაშორისო ეკონომიკის შესწავლის საგანია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული ასპექტები.** ამ ურთიერთობების რეალიზაციის მექანიზმი, კანონზომიერებები და შინაგანად დამახასიათებელი თავისებურებები. ცალკეულ ქვეყნებს, ქვეყნებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, თვით ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის არსებული ურთიერთობები. საერთაშორისო ეკონომიკა შეისწავლის ეკონომიკურ ურთიერთობებს სამ დონეზე:

1. მიკრო დონე ანუ სახვადასხვა ქვეყნის ცალკეულ კომპანიებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები;
2. მაკრო დონე – ზოგადად, ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები;
3. მეგა დონე – ცალკეული ქვეყნის ურთიერთობები საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან;

სასწავლო კურსი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების და მოვლენების, ცალკეული ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კანონზომიერებების და თავისებურებების, საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის ინსტრუმენტების, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუციისა და მათი ზეეროვნული რეგულირების მექანიზმების შესახებ სტუდენტების ცოდნის ფორმირების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.

სასწავლო კურსის მიზანია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე ფორმების, მექნიზმების, განვითარების კანონზომიერებების, ცალკეულ სახელმწიფოებს, სახელმწიფოებს და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ და სავაჭრო

ორგანიზაციებს, ქვეყნებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის საკაჭრო, ეკონომიკური, საფინანსო, საკალუტო და ა.შ. ურთიერთობების ძირითადი მიზეზების, მიზნების ფორმებისა და მექანიზმების შესწავლა.

§ 2. კვლევის მეთოდოლოგია

ზოგადად, საერთაშორისო ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ისეთ ეკონომიკურ დისციპლინებთან, როგორიცაა ეკონომიკის ფილოსოფია, მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია, მსოფლიო ეკონომიკა, ეკონომიკური თეორია, გეოეკონომიკა. ასევე პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური მეცნიერებების ისეთ დისციპლინებთან, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომია, გეოპოლიტიკა, ეკონომიკური სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ. ამდენად, ნათელია, რომ საერთაშორისო ეკონომიკის საკითხების მეცნიერული დამუშავება შეუძლებელია ზემოთაღნიშნული დისციპლინების მიღწეულების სიღრმისეული გააზრების გარეშე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საერთაშორისო ეკონომიკის კვლევის მეთოდებიც რამდენადმე განსხვავებულია ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მეთოდებისაგან. საერთაშორისო ეკონომიკის კვლევის მეთოდებია ყველა ის მეთოდი, რომელიც ეკონომიკური მეცნიერებაში არის გამოყენებული: ისტორიულის და ლოგიკურის ერთიანობის, დიალექტიკური მეთოდები, ასევე კვლევის მეცნიერული აბსტრაქციის, პოზიტიურ-ნორმატიული და შედარებითი ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის, სტატისტიკური მეთოდები.

1. დიალექტიკა ესაა მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანისეული აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ.
2. მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი გულისხმობს კვლევის ობიექტის გაწმენდა, შემთხვევითი, დროებითი მოვლენები-

საგან და მისი მუდმივი, ტიპიური დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრას.

3. პოზიტიურ ანალიზს საქმე აქვს ფაქტებთან და თავისუფალია სუბიექტური შეფასებითი მსჯელობისაგან.
4. ნორმატიული ანალიზის მიზანია შეფასებითი მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მომავალში, ვთქვათ, მსოფლიო ეკონომიკა.[2]

ამავე დროს, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ურთიერთგადაჯაჭვის და ურთიერთგანპირობებულობის, სახელმწიფოებს შორის არსებული მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე ცალკეული ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებების და საერთაშორისო ეკონომიკის ზეეროვნულ დონეზე გარკვეული რეგულირების გათვალისწინებით, თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ეკონომიკის საკითხების დისციპლინათაშორისი (ინტერდისციპლინარული) მეთოდების, უპირატესად ეკონომიკურ-პოლიტოლოგიური მიდგომის გამოყენების საფუძველზე კვლევას.

ჯერ კიდევ ი. კანტი მრავალგზის მიუთითებდა, რომ მეცნიერების სისტემატიურობა უბრალო პედაგოგიური ხერხი კი არაა, არამედ შესასწავლი მასალის სპეციფიკური შინაარსიდან მეცნიერული აუცილებლობით გამომდინარე მოვლენა[3].

დასკვნა:

1. საერთაშორისო ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიაა.
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის და მისი განვითარების უმთავრეს სა-

---

[2] რევაზ გოგოხია, საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1996

[3] მსოფლიო ეკონომიკა, გრ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით. თბ., 2001

ფუძველს, მსოფლიო ეკონომიკის შინაგანად დამახასიათებელ მექანიზმს.

3. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები — ესაა შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობები.
4. საერთაშორისო ეკონომიკის შესწავლის საგანია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული ასპექტები, აღნიშნული ურთიერთობების განხორციელების სხვადასხვა ფორმები.
5. საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკურ ურთიერთობებს შეისწავლის სამ — მიკრო, მაკრო და მეგადონეზე.
6. საერთაშორისო ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკური მეცნიერებების დისციპლინებთან.
7. საერთაშორისო ეკონომიკა, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება მოითხოვს კვლევის ინტერდისციპლინარულ მეთოდების, განსაკუთრებით კვლევის ეკონომიკურ-პოლიტოლგიური მეთოდების გამოყენებას.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა არის საერთაშორისო ეკონომიკა?
2. რა არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები?
3. როგორ გესმით, მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთმიმართება.
4. თქვენი აზრით, არის თუ არა საერთაშორისო ეკონომიკა ინტერდისციპლინარული მეცნიერება? რატომ?
5. დაახასიათეთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელების დონეები.
6. დახასიათეთ საერთაშორისო ეკონომიკის კვლევის ძირითადი მეთოდები?
7. თქვენი აზრით, საერთაშორისო ეკონომიკა რომელ ეკონომიკურ მეცნიერებებთანაა მჭიდროდ დაკავშირებული? რატომ?

თემა 1: თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები: ძირითადი ტენდენციები

§ 1. მსოფლიო ეკონომიკა, როგორც ერთიანი მექანიზმი და მისი განვითარების ეტაპები

მსოფლიო ეკონომიკა ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად. მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბების პროცესი საერთაშორისო ვაჭრობით ანუ ერებს შორის საქონელგაცვლით დაიწყო. ცნობილია, რომ ქვეყანაში საქონლის შემოტანას იმპორტი, ხოლო გატანას ექსპორტი ეწოდება.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიური განვითარება. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო ეკონომიკამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო:

1. პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების ინტენსიობის შემცირება, რაც ორი მსოფლიო ომის, რევოლუციების, სამოქალაქო ომების, 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარეობდა;
2. XX საუკუნის 50-70-იანი წლები. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების დასაწყისი, ზოგიერთ შემთხვევაში (ევროგაერთიანება) ინტეგრაციული პროცესების უპრეცენდენტოდ მაღალ დონეზე აყვანა;
3. XX საუკუნის 80-90-იანი წლები. ამ პერიოდში განვითარებული ქვეყნები გადავიდნენ განვითარების პოსტინდუსტრიულ სტადიაზე. ყოფილი სოციალისტური ქვეყნები დაადგნენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას, ხოლო

მთლიანად მსოფლიო ეკონომიკა გადავიდა განვითარების ახალ საფეხურზე.

მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი (საერთაშორისო ორგანიზაციების და რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების საშუალებით) ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობებით ურთიერთდაკავშირებულ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობას, ერთიან ორგანიზმს განვითარების და თვითრეგულირების ერთიანი კანონზომიერებებით. მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი შემადგენელი კომპონენტი, რა თქმა უნდა ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფოა. თუმცა, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების და ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში. სწორედ, აღნიშნული სამი ინსტიტუტი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის უმთავრეს ინსტიტუტებს.

XX საუკუნის უკანასკნელ ნახევარში მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა წესრიგმა ცვლილებების ორი ეტაპი განვლო: I. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი 80-იანი წლების ჩათვლით, როცა მსოფლიო სამ ნაწილად იყო დაყოფილი: კაპიტალისტური, სოციალისტური და განვითარებადი, ე.წ. "მესამე სამყარო", რომლებიც ერთმანეთისგან ეანსხვავდებოდნენ ეკონომიკური განვითარების დონით, ცხოვრების სტილით, მსოფლმხედველობით და ა.შ. აღნიშნულ პერიოდში მსოფლიო წესრიგი კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის ე.წ. "ცივი ომის" კონცეფციაზე იყო დაფუძნებული.

გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი წარმოადგენს მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას, რომელიც ემყარება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს და განსაზღვრავს გლობალური კვლავ-

წარმოებითი პროცესის, გლობალური ეკონომიკის განვითარების მიმართულებებს და დინამიზმს.

გლობალური ეკონომიკის, მეგაეკონომიკის შემდგომი განვითარების პროცესი დაფუძნებულია ღია ეკონომიკის კონცეფციაზე. თანამედროვე პერიოდში, ეროვნული ეკონომიკების განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს, რაც გლობალიზაციის მთავარი მახასიათებელია. გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი გამოხატულებაა საერთაშორისო ვაჭრობის აბსოლუტური და შეფარდებით სწრაფი ზრდა მშპ-ის ზრდასთან შედარებით, რასაც ხელი შეუწყო ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ) საქმიანობის შედეგად წარმოების ინტერნაციონალიზაციამ, საერთაშორისო სპეციალიზაციამ და კოოპერირებამ, ასევე სავაჭრო ბარიერების შემცირებამ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში).

§ 2. გლობალიზაცია, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ტენდენცია

XX სუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენცია ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია გახდა. ტერმინი გლობალიზაცია ინგლისურ სიტყვა globe–ს უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო გლობალ-მსოფლიოს, გლობალურს. გლობალიზაციის ტერმინის გამოჩენა დაკავშირებულია ამერიკელი მეცნიერის ტ. ლევიტის სახელთან, რომელმაც ის 1983 წელს სტატიაში გამოიყენა. ქართველი მეცნიერები ამ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავენ:

პროფესორ რ. გოგოხიას განმარტებით "მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიოს მომცველი ეკონომიკური ურთიერთობების ქსელის წარმოშობასა და განვითარებას. უფრო კონკრეტულად, გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქ-

ტორების, მათ შორის, განსაკუთრებით – შრომის, კაპიტალის და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა".[4]

პროფესორ თ. ჩიკვაიძის აზრით "მიზანშეწონილია შევაფასოთ გლობალიზაცია: როგორც საყოველთაო ტენდენცია; როგორც ობიექტური რეალობა; როგორც პროცესი; როგორც პრობლემა; როგორც მომავალი. როგორც საყოველთაო ტენდენცია, გლობალიზაცია ყოფიერებისა და ცნობიერების ყველა ელემენტის ურთიერთდაახლოებას, შერწყმას ან კონგლომერატიზაციას გამოხატავს. ამიტომ, იგი ზოგჯერ თავისთავადობის, იდენტურობის მოშლას იწვევს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის უცილებელი, რადგანაც გლობალიზაცია დაპირისპირებულთა გაერთიანებასაც უშვებს. როგორც პროცესი, გლობალიზაცია ობიექტურ და სუბიექტურ პროცესთა განვითარების შედეგია. იგი, როგორც გარეგანი ექსპანსია, ასევე მოცემული სისტემის შიგნით ლოკალიზაციის პროცესითაც ხორციელდება..... როგორც მომავალი, გლობალიზაცია უარყოფითი და დადებითი შედეგების გლობალიზაციის თანაფარდობის მიხედვით ფასდება[5]".

პროფესორ ნ. ჭითანავას აზრით "გლობალიზაცია არის ისტორიული პროცესი მისთვის დამახასიათებელი ეტაპებით, თავისებურებებით, ტენდენციებით, კანონზომიერებებით.. იგი ადეკვეტურად ასახავს შრომის დანაწილების მრავალმხრივ პროცესს, სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოს, მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარეს (პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას, რელიგიას) ერთმანეთთან უშუალო კავშირში აერთიანებს ინტეგრაციისა და ავტონომიზაციის პროცესებს, დამოუკიდებლობას – ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი, ალიანსების შექმნისაკენ მისწრაფებას. ამიტომ სწორედ უნდა

---

[4] გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004. გვ. 24

[5] ჩიკვაიძე თ., გლობალიზაციის ისტორიული გამოწვევის პასუხი: მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროექტი. დისკუსია თემაზე: "გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი". გაზეთი განათლება, მეცნიერება, ბიზნესი. აპრილი, 2003

მივიჩნიოთ, რომ გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა"[6].

ეკონომიკურ ლექსიკონში გლობალიზაცია განმარტებულია როგორც "მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები. საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები[7]".

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების აზრით "გლობალიზაცია არის მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, როგორც საქონლის, მომსახურების საერთაშორისო გადაადგილების, კაპიტალის ინტერნაციონალური ნაკადების მზარდი მოცულობის და ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების შედეგი"[8].

გლობალიზაციის არსის განსაზღვრის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისი გამიჯვნა ინტერნაციონალიზაციის პროცესებისაგან.

ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული პროცესებია, მაგრამ არა — იდენტური. ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის შიგნით მიმდინარე პროცესის საზღვარს გარეთ, საწყისი ჩარჩოდან გასვლას. მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის რამდენიმე სუბიექტის მოქმედების გაერთიანებას საერთო ამოცანების, მიზნების, საქმიანობის სახეების ირგვლივ, რომელიც აუცილებლობით არ იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ან თითქმის ყველა წევრის მონაწილეობას. გლობალიზაცია კი გულისხმობს ამა თუ იმ პრობლემის თუ საქმიანობის გადასვლას

---

[6] ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი 3, თბ. 2001. გვ. 10

[7] Внешнеэкономический толковый словар. М. Инфра-М, 2000. с. 69

[8] World Economic Qutlook, 1997, p,45

უშუალოდ მსოფლიო, გლობალურ დონეზე, რომელიც გარკვეული ხარისხით მოიცავს მსოფლიოს ყველა ქვეყანას. სწორედ ინტერნაციონალიზაციის პროცესების რეგიონულიდან (ცალკეული ქვეყნების მონაწილეობით) უშუალოდ მსოფლიო, გლობალურ დონეზე გადასვლა წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის განვითარების საფუძველს.

ამგვარად, შეიძლება ჩავთალოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არის საქონლის, მომსახურების, წარმოების მობილური ფაქტორების თავისუფალი გადადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობით ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება-ურთიერთშეღწევადობის ზრდისა და შერეული ეკონომიკის, ღია ეკონომიკის, პოლიტიკური დემოკრატიისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების პრინციპების მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრების საფუძველზე ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროგრესული, ისტორიულ-ლოგიკური პროცესი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებითა და ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პრობლემების არსებობით აფიქსირებს პლანეტარული ცივილიზაციის ერთიანობას.

ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა ცალკეული ქვეყნის სწრაფვა აქტიურად ჩაერთონ რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში. შესაძლებელია ინტერნაციონალიზაციის, რეგიონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესების ურთიერთმიმართება სქემატურად შემდეგი სახით გამოიხატოს:



აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე რეგიონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესების ურთიერთმიმართებაში ნათლად გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერება: გლობალიზაციის პირობებში, ყოველი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებას წარმოადგენს არა ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა თავისთავად (განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისათვის იმავე დონის ქვეყნებთან), არამედ მიერთება (გაწევრიანება) იმ ინტეგრაციულ დაჯგუფებებთან, რომლებშიც წარმოდგენილი არიან განვითარებული ქვეყნები.

ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ქვეყნების სწრაფვისა, ჩაერთონ და გააღრმავონ რეგიონული ინტეგრაციული პროცესები, მხოლოდ ერთმა ინტეგრაციულმა დაჯგუფებამ მიაღწია ინტეგრაციის მაღალ საფეხურს (სხვა ინ-

ტეგრაციული დაჯგუფებები მხოლოდ ინტეგრაციის საწყის ეტაპზე იმყოფებიან). თუმცა მსოფლიოს ყველა ქვეყანა ჩართულია გლობალიზაციის პროცესში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გლობალიზაციის, გარადაუვალ ობიექტურ ხასიათს.

რეგიონული ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება, ეკონომიკური დიპლომატიის პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის "კლასიკური" ნიმუშის - ევროკავშირის ანალოგიური დაჯგუფებების წარმოქმნა (ერთიანი ვალუტით), სხვა დადებით შედეგებთან ერთად, შეამცირებს გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი თავისებურების (განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისათვის) სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობის მასშტაბებს. გრძელვადიან პერსპექტივაში, წარმატებული ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩარჩოებში არსებული ვალუტათა უფრო მცირე რაოდენობა გვესახება საერთაშორისო საფინანსო სისტემის შედარებით მაღალი სტაბილურობის გარანტად.

დასკვნები:

1. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი (საერთაშორისო ორგანიზაციების და რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების მეშვეობით) ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობებით ურთიერთდაკავშირებულ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობას, ერთიან ორგანიზმს განვითარების და თვითრეგულაციის ერთიანი კანონზომიერებებით.
2. გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი წარმოადგენს მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას, რომელიც ემყარება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს და განსაზღვრავს

გლობალური კვლავწარმოებითი პროცესის, გლობალური ეკონომიკის განვითარების მიმართულებებს და დინამიზმს.

3. გლობალური ეკონომიკის, მეგაეკონომიკის შემდგომი განვითარების პროცესი დაფუძნებულია ღია ეკონომიკის კონცეფციაზე.
4. თანამედროვე პერიოდში, ეროვნული ეკონომიკების განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს.
5. ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის შიგნით მიმდინარე პროცესის საზღვარს გარეთ, საწყისი ჩარჩოდან გასვლას, მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის რამდენიმე სუბიქტის მოქმედების გაერთიანებას საერთო ამოცანების, მიზნების, საქმიანობის სახეების ირგვლივ, რომელიც აუცილებლობით არ იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ან თითქმის ყველა წევრის მონაწილეობას.
6. გლობალიზაცია გულისხმობს ამა თუ იმ პრობლემის თუ საქმიანობის გადასვლას უშუალოდ მსოფლიო, გლობალურ დონეზე, რომელიც გარკვეული ხარისხით მოიცავს მსოფლიოს ყველა ქვეყანას. სწორედ ინტერნაციონალიზაციის პროცესების რეგიონულიდან (ცალკეული ქვეყნების მონაწილეობით) უშუალოდ მსოფლიო, გლობალურ დონეზე გადასვლა წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის განვითარების საფუძველს.
7. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არის საქონლის, მომსახურების, წარმოების მობილური ფაქტორების თავისუფალი გადადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობით ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება-ურთიერთშეღწევადობის ზრდისა და შერეული ეკონომიკის, ღია ეკონომიკის, პოლიტიკური დემოკრატიისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების პრინციპების მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრების საფუძველზე ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროგრესული, ისტორიულ-ლოგიკური პროცესი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებითა და ზოგადსაკაცობრიო,

გლობალური პრობლემების არსებობით აფიქსირებს პლანეტარული ცივილიზაციის ერთიანობას. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია უპირატესად რეგიონალიზმის საშუალებით ხორციელდება.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა არის მსოფლიო ეკონომიკა?
2. რას ნიშნავს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები?
3. დაახასიათეთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ფორმები.
4. როგორ გესმით მსოფლიო და გლობალური ეკონომიკის ურთიერთმიმართება?
5. რა წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელ ტენდენციებს?
6. თქვენი აზრით, რა არის გლობალიზაცია?
7. როგორ გესმით რეგიონული ინტეგრაციის და გლობალიზაციის ურთიერთმიმართება?

თემა 2. საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიები

§ 1. მერკანტილიზმი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ უპირველეს და უძველეს ფორმას საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს, რომელიც ათასწლეულების წინ წარმოიშვა და სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გავრცელებული საშუალება იყო. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ვაჭრობა სარგებლის მიღების წყაროს წარმოადგენდა, რაც უბიძგებდა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს დაემყარებინათ სავაჭრო ურთიერთობები ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, პასუხი ისეთ კითხვებზე: როგორია ეს სარგებელი? საიდან წარმოიშობა იგი? რა სახე გააჩნია მას? როგორ ნაწილდება იგი მოვაჭრე მხარეებს შორის? როგორია სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში? სად და როდის ჩნდება ზღვარი შიგა და საერთაშორისო ვაჭრობას შორის და სხვა, გარკვეულ დრომდე არ არსებობდა. ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ სისტემატიზირებული შეხედულებების ჩამოყალიბების შემდეგ. პირველები, ვინც შეეცადა პასუხი გაეცა კითხვაზე — თუ რატომ ვაჭრობენ ქვეყნები ერთმანეთთან იყო ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი უძველესი მიმართულება — მერკანტილისტური სკოლის სახით.

საერთაშორისო ვაჭრობაზე მერკანტილისტების შეხედულებები, ზოგადად, სამეურნეო ცხოვრებაზე მათი წარმოდგენების ლოგიკური გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ წარმოდგენების ცენტრში არსებობდა იდეა ეროვნული სიმდიდრის შესახებ, რომელიც ასოცირდებოდა ოქროსა და ვერცხლის იმ რაოდენობასთან, რომელსაც ერი ფლობდა. სწორედ ამიტომ, მერკანტილისტების ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული ამოცანა იყო სა-

ხელმწიფო ხაზინაში ძვირფასი ლითონების დაგროვება ყოველ-გვარი საშუალებების გამოყენებით.

მერკანტილისტური შეხედულებების თანახმად, მსოფლიო-ში მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სიმდიდრე არსებობდა. ამიტომ, ერთი ქვეყნის გამდიდრება შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვების ხარჯზე ანუ მხოლოდ არსებული სიმდიდრის გადანა-წილებით. ამისათვის, თითოეულ ქვეყანას მყარ ეკონომიკასთან ერთად უნდა ჰქონოდა ძლიერი სახელმწიფო მანქანა შესაბამისი ჯარით, სამხედრო და სავაჭრო ფლოტით, რომელიც უზრუნ-ველყოფდა მის უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით.

XVI საუკუნეში დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა ისეთი ძლიერი ცენტრალიზებული ეროვნული სახელმწიფოები, როგო-რიცაა ინგლისი, საფრანგეთი და ესპანეთი. ამას თან დაერთო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და ზღვაოსნობის განვითარება. დასავლეთ ნახევარსფეროში აღმოჩენილი ოქროს საბადოების ხელში ჩაგდების დაუოკებელმა სურვილმა აღნიშნულ სახელ-მწიფოებს უბიძგა დაეწყოთ ბრძოლა გავლენის სფეროებისა და კოლონიებისათვის. ამ ისტორიულ ფონზე, მერკანტილისტური სკოლა ცდილობდა დაესაბუთებინა ეროვნული ექსპანსიის აუცი-ლებლობა საზღვარგარეთ.

მერკანტილისტების მიზანს წარმოადგენდა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ოქროსა და ვერცხლის მოზიდვა ქვეყანაში. მერკანტილისტების თანახმად, ეკონომიკური სისტემა შედგებო-და სამი სექტორისაგან: საწარმოო სექტორი, აგრარული სექ-ტორი და კოლონიები. ვაჭრები განიხილებოდნენ, როგორც ეკო-ნომიკური სისტემის წარმატებული ფუნქციონირების განმსაზ-ღვრელი ჯგუფი, ხოლო შრომა, როგორც წარმოების ერთადერ-თი ფაქტორი. მთლიანობაში მერკანტილისტურმა სკოლამ განვი-თარების ორი ძირითადი ეტაპი განვლო. პირველ ეტაპზე იგი მონეტური სისტემის სახით ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში (XV-XVI საუკუნეები) მერკანტილისტები აუცილებლად მიიჩნევდნენ ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას და ადმინისტრაციული ღონისძიებებით ფულის მიმოქცევის ისეთ რეგულირებას, რომელიც ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ფუ-

ლის მოზიდვას უზრუნველყოფდა. ამ მიზნის მისაღწევად მათ საჭიროდ მიაჩნდათ საქონლის ექსპორტის გადიდება და იმპორტის შემცირება, უცხოეთში ოქროსა და ვერცხლის გატანის აკრძალვა და ქვეყანაში განძის დაგროვება.

გვიანდელი ანუ მანუფაქტურული მერკანტილიზმის წარმომადგენლები აქტიურ სავაჭრო ბალანსის მიღწევას ანიჭებდნენ უპირატესობას, როცა ექსპორტი სჭარბობს იმპორტს. მათთვის უკვე მიუღებელი იყო "ადმინისტრაციული აღფრთოვანება". ისინი ერის გამდიდრების წყაროს ეძებენ არა განძის პრიმიტიულ დაგროვებაში, არამედ — აქტიურ სავაჭრო ბალანსში. მერკანტილისტები ამ ეტაპზე მოითხოვენ სახელმწიფოსაგან ეკონომიკურ საქმიანობაში ისეთ ჩარევას, რომელიც მათი წარმოდგენით შეესაბამება სამართლის პრინციპებს. ასეთად, ისინი მიიჩნევდნენ ადამიანის ბუნებრივ უფლებებს, რომელშიც იგულისხმებოდა საკუთრების დაცვა და უსაფრთხოება. სახელმწიფოს ევალებოდა სიმდიდრის ზრდის პირობების უზრუნველყოფა. მერკანტილისტური პრაქტიკის კლასიკური ქვეყანა იყო ინგლისი.

განვითარების აღნიშნულ ეტაპზე მერკანტილისტური თეორია უპირატესობას ანიჭებს ვაჭრობას და მანუფაქტურული წარმოების განვითარებას, ფართო ასპარეზი ეძლევა კრედიტს, კიდევ უფრო იზრდება მისწრაფება ოქროსა და ვერცხლისაკენ.

მერკანტილიზმმა სერიოზული წვლილი შეიტანა საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის განვითარებაში, თუნდაც იმიტომ, რომ პირველად სწორედ მათ მიუთითეს საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში და შეიმუშავეს მისი განვითარების ერთ-ერთი მოდელი. მათ პირველად აღწერეს ის, რასაც თანამედროვე ეკონომისტები საგადამხდელო ბალანსს უწოდებენ, შექმნეს საერთაშორისო ვაჭრობაში პროტექციონიზმის თეორიული საფუძვლები, განსაზღვრეს სახელმწიფოს ადგილი სართაშორისო ვაჭრობის სფეროში, პირველებმა შეიმუშავეს და აღწერეს სავაჭრო ბალანსი.

მიუხედავად ამისა, მერკანტილისტების შეზღუდულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ გაიგეს თუ რატომ არ შეიძლება ერთი ქვეყნის გამდიდრება სხვების გაღარიბების გარეშე. სა-

ერთაშორისო ვაჭრობის ბუნების მსგავსი გაგება დაძლეული იქნა კლასიკური თეორიის ფუძემდებლების ადამ სმიტისა და დავიდ რიკარდოს მიერ.

§ 2. ადამ სმიტის აბსოლუტური უპირატესობის თეორია

იმ ეკონომისტებს შორის, რომლებმაც მერკანტილისტური შეხედულებების წინააღმდეგ გაილაშქრეს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამ სმითს. მან ნათლად ჩამოაყალიბა დებულება იმის შესახებ, რომ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა ძვირფასი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის მარაგების დაგროვებაზე, არამედ საწარმოო პოტენციალის ზრდაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის უნარზე აწარმოოს საჭირო რაოდენობისა და სახეობის საქონელი და მომსახურება. მაშასადამე, ქვეყნის ამოცანას წარმოადგენს შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის საფუძველზე ხელი შეუწყოს წარმოების განვითარებას, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, როცა მწარმოებლები ეკონომიკურად აბსოლუტურად თავისუფალნი იქნებიან და შეეძლებათ დამოუკიდებლად, არსებული კანონის ფარგლებში, აირჩიონ საქმიანობის სფერო. ამასთან, წარმოებისა და გაცვლის ყველაზე ეფექტიან მარეგულირებელ საშუალებად ადამ სმითი მიიჩნევდა კონკურენციას და არა სახელმწიფოს, რომლის როლი დაიყვანება ბაზრის თავისუფალი, შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში. ეკონომიკური პოტენციალის ზრდის აუცილებელი პირობა — ესაა პირადი ინტერესი, რომელიც უბიძგებს ცალკეულ საქონელმწარმოებლებს აწარმოონ ის საქონელი, რომელისთვისაც მათ შრომის მინიმალური დანახარჯები სჭირდებათ.

ადამ სმითი ამტკიცებდა, რომ თუ ვაჭრობა არ შეიზღუდება, თითოეული ქვეყანა იმ საქონლის წარმოებაზე დასპეციალიზდება, რომელშიც კონკურენტულ უპირატესობას ფლობს. წარმოების სპეციალიზაცია კი ხელს უწყობს შრომის მწარმო-

ებლურობის ზრდას, რადგანაც: 1). სამუშაო ძალა ერთი და იგივე საწარმოო დავალების შესრულებისას უფრო კვალიფიციური ხდება; 2). მომუშავეები არ იქნებიან იძულებულნი გადაერთონ სხვადასხვა დავალებების შესრულებაზე; 3). გრძელვადიან პერიოდში ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოება უზრუნველყოფს შრომის უფრო ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას.

ამგვარად, სმითის თანახმად ქვეყანა უნდა დასპეციალიზდეს იმ საქონლის წარმოებაში, რომლისთვისაც მას შრომის შედარებით ნაკლები დანახარჯები სჭირდება. მისი აბსოლუტური უპირატესობის თეორიის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანამ იმ საქონლის ესპორტი უნდა განახორციელოს, რომლის საწარმოებლად მას ნაკლები შრომის დანახარჯები სჭირდება ანუ რომლის წარმოებაში მას აბსოლუტირი უპირატეობა გააჩნია და იმ საქონლის იმპორტი უნდა განახორციელოს, რომლის წარმოებაც სხვა ქვეყნებში შრომის ნაკლები დანახარჯებითაა შესაძლებელი ანუ რომლის წარმოებაშიც სავაჭრო პარტნიორს აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია. ამასთან, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეყნების ბუნებრივი და შეძენილი უპირატესობები.

ბუნებრივი უპირატესობა. პროდუქციის წარმოებაში ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს ბუნებრივი უპირატესობა კლიმატური პირობებიდან ან ბუნებრივი რესურსების ფლობიდან გამომდინარე. ასე მაგალითად, კლიმატი კარნახობს ქვეყანას თუ რომელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაა მიზანშეწონილი. ამდენად, რაც უფრო მეტია განსხვავება ქვეყნებს შორის კლიმატურ პირობებსა და ბუნებრივი რესურსების ფლობაში, მით უფრო მეტია ბუნებრივი უპირატესობის ალბათობა ერთმანეთთან ვაჭრობისას.

შეძენილი უპირატესობა. თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოში საქონელბრუნვის უდიდესი ნაწილი შედგება მზა ნაწარმისა და მომსახურებისაგან, რომელთა წარმოების განლაგება ძირითადად დაკავშირებულია შეძენილ უპირატესობასთან, რაც თავის მხრივ შეძენილი წარმოების ტექნოლოგიებითაა განპირობებული. უპირატესობები წარმოების ტექნოლოგიებში — ესაა უნარი ვა-

წარმოოთ მრავალფეროვანი და რთული პროდუქცია. მასთანაა დაკავშირებული ასევე ერთგვაროვანი პროდუქციის უფრო ეფექტიანი წარმოების შესაძლებლობაც. ასე მაგალითად, იაპონია ფოლადის ექსპორტს ახორციელებს, მაშინ როდესაც მისი წარმოებისათვის საჭირო უმთავრესი კომპონენტები — რკინის მადანი და ქვანახშირი უცხოეთიდან შემოაქვს. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში იაპონიის წარმატებები მისი ფოლადჩამომსხმელი ქარხნების მიერ გამოყენებული მაღალეფექტიანი ტენოლოგიებითაა განპირობებული, რომლებიც როგორს შრომის, ასევე ნედლეულის მნიშვნელოვანი ეკონომიის შესაძლებლობას იძლევა.

ადამ სმითის საერთაშორისო ვაჭრობის თეორია მრავალრიცხოვან დაშვებას ემყარება. იგი, როგორც აქსიომას ისე ღებულობს შემდეგ გარემოებებს: წარმოების ერთადერთ ფაქტორს წარმოადგენს შრომა; ადგილი აქვს სრულ დასაქმებას ანუ სახეზეა შრომითი რესურსების სრული გამოყენება; საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობს მხოლოდ ორი ქვეყანა, რომლებიც ერთმანეთთან ვაჭრობენ მხოლოდ ორი საქონლით; წარმოების დანახარჯები მუდმივია, ხოლო მათი შემცირება იწვევს საქონლებზე მოთხოვნის ზრდას; ერთი საქონლის ფასი გამოიხატება შრომის იმ რაოდენობით, რომელიც მეორე საქონლის საწარმოებლაა საჭირო; სატრანსპორტო დანახარჯები, საქონლის ერთი ქვეყნდან მეორეში გადასაზიდად ნულის ტოლია; საგარეო ვაჭრობა თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვებისა და რეგლამენტაციისაგან.

აღნიშნული შეზღუდვებიდან გამომდინარე, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. ვთქვათ, ინგლისი და პორტუგალია ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობებს ანხორციელებენ. დავუშვათ, რომ ორივე ქვეყანაში იწარმოება ერთნაირი საქონელი, ვთქვათ, მაუდი და ღვინო. ამასთან, ინგლისში გაცილებით უკეთესი პირობებია მაუდის საწარმოებლად, ხოლო პორტუგალიაში — ღვინოს საწარმოებლად. წარმოების ერთადერთ ფაქტორს წარმოადგენს შრომა. ამავე დროს შრომის ერთი და იგივე დანახარჯებით ინგლისში შესაძლებელია 1 ბარელი ღვინოს ან 3 იარდი მაუდის წარმოება, ხოლო პორტუგალიაში — 2 ბარელი

ღვინოს ან 1 იარდი მაუდის. შრომითი დანახარჯების შიდა პროპორციების თანახმად ინგლისში 1 ბარელი ღვინო შეიძლება გაიცვალოს 3 იარდ მაუდზე, ხოლო პორტუგალიაში კი — 1 ბარელი ღვინო — 0.5 იარდ მაუდზე. ინგლისში 1 იარდი მაუდით შეიძლება შეეიძინოთ 1/3 ბარელი ღვინო, მაშინ როდესაც პორტუგალიაში, 1 იარდ მაუდად შესაძლებელია 2 ბარელი ღვინოს შეძენა. ამგვარად, ინგლისს აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია მაუდის წარმოებაში, რადგანაც იგი უფრო იაფად შეიძლება იქნას შეძენილი. თავის მხრივ, პორტუგალიას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია ღვინოს წარმოებაში. მაშასადამე, სმითის თეორიის მიხედვით ინგლისს შეუძლია დასპეციალიზდეს მაუდის წარმოებაზე და მისი ნაწილი გაცვალოს პორტუგალიურ ღვინოზე, ხოლო პორტუგალიას შეუძლია დასპეციალიზდეს ღვინოს წარმოებაზე და მისი ნაწილი გაცვალოს ინგლისურ მაუდზე. საერთაშორისო ვაჭრობის წყაროს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ერის უნარს აწარმოოს ესა თუ ის საქონელი აბსოლუტურ გამოსახულებაში უფრო იაფად ანუ აბსოლუტურად ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე ამის გაკეთება შეუძლია სხვა ერს.

ყოველივე აღნიშნული გრაფიკულად შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ. (იხ. ნახ. 2.1).



ნახ. 2.1. წარმოებითი შესაძლებლობების საზღვრები ინგლისსა და პორტუგალიაში

ჰორიზონტალურ ღერძზე მოცემულია მაუდის წარმოება, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე ღვინოს წარმოება, მათ მაქსიმალურ სიდიდეებში. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ წარმოების ერთადერთი ფაქტორი — შრომა შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი ან მეორე პროდუქციის წარმოებაში. ნახაზზე a და b წერტილების დამაკავშირებელი მრუდი გიჩვენებს მაუდის წარმოების მაქსიმალურ მაჩვენებლებს, როცა ღვინოს წარმოება ნულის ტოლია და ღვინოს წარმოების მაქსიმალურ შესაძლებლობას, როცა მაუდის წარმოება ნულის ტოლია. ორივე ნახაზზე მრუდის დახრა დამოკიდებულია იმ პროდუქტზე, რომლის წარმოებაშიც ქვეყანას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია. ამასთან, მრუდის ნებისმიერი წარტილი გვიჩვენებს მაუდისა და ღვინოს წარმოების შესაძლო მოცულობას სამუშაო ძალის (შრომითი დანახარჯების) არსებული განაწილების პირობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, a b მრუდის ნებისმიერი წარტილი გვიჩვენებს თუ რამდენი იარდი მაუდის

წარმოება შეიძლება ღვინოს მოცემული რაოდენობის წარმოების პირობებში და პირიქით. ამიტომ, ამ მრუდს საწარმოო შესაძლებლობების ზღვარს უწოდებენ.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი რიცხვითი მაგალითიდან გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის შემდეგ ინგლისი სპეციალიზირდება რა მაუდის წარმოებაზე აღწევს მის მაქსიმალურ გამოშვებას b წერტილში, ღვინოს ნულოვანი მოცულობით წარმოების პირობებში, რომელსაც იგი პორტუგალიაში შეიძენს. პორტუგალია კი — პირიქით სპეციალიზდება რა ღვინოს წარმოებაზე, მის მაქსიმალურ გამოშვებას აღწევს a წერტილში, მაუდის ნულოვანი მოცულობით წარმოების პირობებში, რომელსაც იგი ინგლისში შეიძენს. ასეთი მდგომარეობა, როგორც ინგლისში, ასევე პორტუგალიაში სრულ სპეციალიზაციას ნიშნავს. რეალურ სინამდვილეში სრული სპეციალიზაციის მიღწევა ფაქტიურად შეუძლებელია, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მსოფლიო ფასის წარმოქმნის მექანიზმია. ასე მაგალითად, ვაჭრობის დაწყებამდე 1 ბარელი ღვინოს ფასი პორტუგალიაში 0.5 იარდ მაუდს, ხოლო ინგლისში — 3 იარდს შეადგენდა. მაშინ როდესაც ინგლისში 1 იარდი მაუდით 1/3 ბარელი ღვინოს, ხოლო პორტუგალიაში — 2 ბარელი ღვინოს შეძენა შეიძლებოდა. მაშასადამე, ინგლისში იაფია მაუდი (6-ჯერ ვიდრე პორტუგალიაში), ხოლო პორტუგალიაში იაფია ღვინო (6-ჯერ ვიდრე ინგლისში). საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის შემდეგ, საქონელთა შემხვედრი მოძრაობა, ორივე ქვეყანაში ერთსა და იმავე საქონელზე ფასების გათანაბრებას იწვევს. დგინდება წონასწორობის ფასი, ვთქვათ, როცა 1 იარდი მაუდი იცვლება 1 ბარელ ღვინოზე, რომელიც არის კიდევაც მსოფლიო ფასი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა და განისაზღვრება ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების თანაფარდობით. პროდუქციის წარმოებაში შემდგომი სპეციალიზაცია ნებისმიერ ქვეყანაში უკვე გავლენას ახდენს წონასწორობის მგომარეობაზე, ირღვევა თანაფარდობა ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის, წარმოიშობა ჭარბი მიწოდება დანახარჯების

იმ დონით, რომელსაც მსოფლიო ფასი უკვე ვერ ფარავს ანუ ადგილი ექნება წარმოებას ზარალის პირობებში. მაშასადამე, ყოველ ქვეყანაში ადგილი ექნება ნაწილობრივ სპეციალიზაციას ანუ, როგორც მას უწოდებენ ოპტიმალურ სპეციალიზაციას.

ორივე ნახაზზე, წყვეტილი მრუდის (რომელსაც სავაჭრო შესაძლებლობების მრუდს უწოდებენ) C′ წერტილი გვიჩვენებს მოხმარების იმ დონეს, რომელიც ორივე ქვეყნის წარმოებითი შესაძლებლობების მრუდს ზევითაა და გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად თითოეულ ქვეყანაში იზრდება ორივე პროდუქტის მოხმარების დონე. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს ერის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამ სმითი აუცილებლად მიიჩნევს:

— მთავრობა არ უნდა ჩაერიოს საერთაშორისო ვაჭრობაში. მისი ფუნქციები უნდა შემოისაზღვროს იმით, რომ ხელი შეუწყოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების პრინციპების გატარებას;

— ერები, ისევე როგორც ცალკეული ადამიანები უნდა სპეციალიზდებოდნენ იმ საქონლის წარმოებაში, რომელშიც აბსოლუტური უპირატესობა გააჩნიათ;

— საერთაშორისო ვაჭრობა ასტიმულირებს ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობის ზრდას;

— ექსპორტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის დადებით ფაქტორს წარმოადგენს, რადგან შესაძლებლობას იძლევა ჭარბი საქონელი რეალიზებული იქნას უცხოეთში;

— ექსპორტის სუბსიდირება წარმოადგენს მომხმარებლებისათვის დამატებით ტვირთს, რადგანაც იწვევს შიგა ფასების ზრდას და ამიტომ უნდა აიკრძალოს.

ამგვარად, ადამ სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნები ახორციელებენ იმ საქონლის ექსპორტს, რომელსაც ნაკლები დანახარჯებით აწარმოებენ (გააჩნიათ ამ საქონლის წარმოებაში აბსოლუტური უპირატესობა) და იმ საქონლის იმპორტს — რომლებიც სხვა

ქვეყნების მიერ ნაკლები დანახარჯებით იწარმოება (რომლის წარმოებაში სავაჭრო პარტნიორებს აბსოლუტური უპირატესობა გააჩნიათ).

§ 3. შეფარდებითი უპირატესობის თეორია და დ. რიკარდოს ერთფაქტორული მოდელი

ადამ სმითის თეორიის მიხედვით, ქვეყნის შიგნით წარმოების ფაქტორებს აბსოლუტური მობილურობა ახასიათებთ და იმ რაიონებში გადაადგილდებიან, სადაც შედარებით უფრო მეტ აბსოლუტურ უპირატესობას იძენენ. ადრე თუ გვიან წარმოების ფაქტორების მსგავსი გადაადგილების შედეგად ცალკეული რაიონების აბსოლუტური უპირატესობა გაქრება და მოხდება წარმოების ფაქტორებზე შემოსავლების გათანაბრება. ერთი შეხედვით, ამას ვაჭრობის გაქრობა უნდა გამოეწვია, მაგრამ დავიდ რიკარდომ, რომელმაც გადაამუშავა სმითის თეორია დაამტკიცა, რომ ვაჭრობა სასარგებლოა ყველა მხარისათვის მაშინაც კი, როცა მოვაჭრე მხარეები არ ფლობენ აბსოლუტურ უპირატესობას არცერთი საქონლის წარმოებაში. ამ დებულების ახსნისას რიკარდო მივიდა დასკვნამდე, რომ მსგავსი უპირატესობა უნდა ატარებდეს არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით ხასიათს.

დ. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორია, ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივია, მაგრამ იგი საკმაოდ რთული აღსაქმელია აბსტრაქტულად ჩამოყალიბებული სახით. ამიტომ, ამ კონცეფციის კარგად გაგებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ მაგალითები და მოდელები, რომლების ემყარებიან ქვეყნებს შორის შრომის მწარმოებლურობის დონის მიხედვით არსებულ განსხვავებებს.

სართაშორისო ვაჭრობის მექანიზმში, შეფარდებითი უპირატესობის როლის გაგებისათვის უნდა წარმოვიდგინოთ ეკონომიკა, სადაც წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორი — შრომა გამოიყენება (სწორედ ამიტომ ეწოდება მას ერთფაქტორული მოდელი). დაეუშვათ, ასევე ისიც, რომ მოდელის მიხედვით ქვეყა-

ნაში იწარმოება მხოლოდ ორი საქონელი. თითოეულის წარმოებისათვის გამოყენებული ტექნოლოგიები ამომწურავადაა დახასიათებული შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლით და ამ მაჩვენებალად მიღებულია ჩავთვალოთ პროდუქციის ერთეულზე გაწეული შრომითი დანახარჯები.

აღნიშნული მოდელის დახასიათებისათვის რიკარდომ იგივე მაგალითი გამოიყენა, რაც ადამ სმითმა. დავუშვათ, რომ პორტუგალიაში გარკვეული რაოდენობის ღვინოს წარმოებისათვის წლის განმავლობაში 80 მომუშავის შრომაა საჭირო, ხოლო მაუდის წარმოებისათვის — 90 მომუშავის შრომა. ინგლისში ანალოგიური რაოდენობის ღვინოსა და მაუდის წარმოებისათვის შესაბამისად 120 და .100 მომუშავის შრომაა საჭირო. ერთი შეხედვით, პორტუგალიისათვის ხელსაყრელი არაა ინგლისთან ვაჭრობა, რადგანაც მას ორივე საქონლის წარმოებისათვის ნაკლები დანაარჯები სჭირდება, მაგრამ თუ ერთმანეთს შევადარებთ ვაჭრობის დაწყებამდე არებული ფასების დონეს, შემდეგ სურათს მივიღებთ: პორტუგალიაში ბარელი ღვინო ღირს 8/9 იარდი მაუდი (80:90), ხოლო ინგლისში 6/5 იარდი მაუდი (120:100), ე.ი. პორტუგალიაში იარდზე ნაკლები, ხოლო ინგლისში 1,2 იარდი. პორტუგალია დაინტერესებულია ივაჭროს ინგლისთან ღვინოთი, რადგან ეს პროდუქტი იქ ძვირია. რაც შეეხება მაუდს, ჩანს, რომ ინგლისში ის უფრო იაფია და ღირს 5/6 ბარელი ღვინო, ვიდრე პორტუგალიაში — 1 1/8 ბარელი.

ამგვარად, ინგლისი დაინტერესებულია გაყიდოს მაუდი პორტუგალიაში, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინგლისი დასპეციალიზირდება მაუდის წაემოებაზე, ხოლო პორტუგალია — ღვინოს წარმოებაზე და დაიწყება მათ შორის ამ პროდუქტების გაცვლა ახალ ფასებში, რომელიც შიდა ეროვნულ ფასზე მაღალია და ორივე გარკვეულ სარგებელს მიიღებს. პორტუგალია ამ გაცვლით 10 მომუშავის, ხოლო ინგლისი 20 მომუშავის შრომას დაზოგავს. მსგავსი საფასო პროპორციები შესაძლებელია მიღწეული იქნას მხოლოდ სრული სპეციალიზაციის პირობებში და ქვეყანაში არსებული შრომითი რესურების სრული გამოყენებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე

ვიცით, რომ სრული სპეციალიზაცია შეუძლებელია, რადგან ფასების მოძრაობა გარკვეულ მომენტში იწვევს წონასწორობის ანუ მსოფლიო ფასის ფორმირებას, რომელიც სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებს აზრს უკარგავს, რადგანაც მსგავს პირობებში ზღვრული დანახარჯები მსოფლიო ფასს უახლოვდება. მოცემული მაგალითის შემთხვევაშიც დავუშვათ, რომ 1 ბარელი ღვინოს ფასი შეადგენს 1 იარდ მაუდს და პირიქით. ამ დაშვების სამართლიანობაში ჩვენ შეიძლება დავრწმუნდეთ, ორივე ქვეყანაში, ორივე პროდუქტზე ერთობლივი მოთხოვნის შესახებ მონაცემების არსებობისას. ჩვენი ამოცანა ამ შემთხვევაში იმაშია, რომ დავასაბუთოთ ქვეყნებს შორის ვაჭრობის აუცილებლობა მაშინაც კი, როცა არცერთი მათგანი არ ფლობს აბსოლუტურ უპირატეობას არცერთი პროდუქტის წარმოებაში. წონასწორობის ფასი — 1 ბარელი ღვინო, 1 იარდ მაუდზე არ ნიშნავს იმას, რომ იგი საშუალო დონეზე დგინდება, რადგან ინგლისი საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმის შემდეგ 20 მომუშავის, ხოლო პორტუგალია 10 მომუშავის შრომის ეკონომიას აღწევს. ამით, ინგლისი უფრო მეტ სარგებელს ნახულობს, ვიდრე პორტუგალია. მაშასადამე, საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად მონაწილეობენ ის ქვეყნებიც, რომლების შეიძლება არ ფლობდნენ შრომის მწარმოებლურობის მაღალ დონეს და აბსოლუტურ უპირატეობას პროდუქტის წარმოებაში, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის მიიღონ სარგებელი ვაჭრობიდან. ამდენად, აბსოლუტური უპირატეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც შეფარდებითი უპირატესობის კერძო შემთხვევა, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს და განსაზღვრავს საერთაშორისო ვაჭრობის ხასიათს.

დ. რიკარდოს მიერ განხილულ მოდელში, საქმე ეხება წარმოების მხოლოდ ერთ ფაქტორს — შრომას. შრომითი რესურსების შეზღუდულობის პირობებში, შრომის ბაზარზე მისი ერთობლივი მიწოდება შეიძლება აღვნიშნოთ L-ით, ხოლო შრომითი დანახარჯები ერთი ერთეული ღვინოსა და მაუდის წარმოებაზე — შესაბამისად a_{lw} და a_{lc}-თი, წარმოებული ღვინოსა და მაუდის მოცულობა — შესაბამისად Q_w და Q_c-თი. აქედან

გამომდინარე, საწარმოო შეზღუდვა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

$$a_{wc} \times Q_w + a_{lc} \times Q_c \leq L$$

ფარული დანახარჯების ალტერნატული ხასიათი შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ: ერთი იარდი მაუდის წარმოებისათვის საჭიროა a_{lc} შრომის დანახარჯი, ვთქვათ კაცსაათი, მაგრამ ეს დრო შეიძლება გამოგვეყენებინა $1/a_{lw}$ ბარელი ღვინოს საწარმოებლად. მაშასადამე, მაუდის წარმოების ფარული დანახარჯები ღვინოს ერთეულში გამოხატული იქნება a_{lc}/a_{lw}. საწარმოო შესაძლებლობების მრუდი, როგორც აღვნიშნეთ, გვიჩვენებს იმ საქონელთა შესაძლო ერთობლიობას, რომლის წარმოება ქვეყანას მოცემულ მომენტში შეუძლია. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორი ჩამონათვალი შეიძლება ვაწარმოოთ მოცემულ მომენტში, საჭიროა ვიცოდეთ ფასები. კერძოდ, შეფარდებითი ფასები იმ საქონლებზე, რომლებიც ეკონომიკაში იწარმოებიან.

კონკურენტულ ეკონომიკაში საქონლის მიწოდება განისაზღვრება ინდივიდების სწრაფვით მიიღონ მაქსიმალური შემოსავალი. ჩვენს მოდელში, სადაც წარმოების ერთადერთი ფაქტორია გამოყენებული, პროდუქტების (ღვინო და მაუდი) წარმოება განისაზღვრება თითოეულ დარგში გამოყენებული შრომის რაოდენობით. ამასთან, ცხადია, რომ მომუშავეები დაინტერესებულნი არიან დასაქმდნენ იქ, სადაც შრომის ანაზღაურება მაღალია. ვთქვათ, რომ P_c და P_w არის მაუდისა და ღვინოს ფასი შესაბამისად. ჩვენს ერთფაქტორულ მოდელში მოგება არ არსებობს, საათობრივი ანაზღაურება კი ტოლია იმ პროდუქციის ღირებულებისა, რომელსაც მომუშავე ამ საათში აწარმოებს, ე. ი. P_c/a_{lc}. შესაბამისად, ღვინოს წარმოებაში საათობრივი ანაზღაურება ტოლი იქნება — P_w/a_{lw} ხელფასი მაუდის წარმოებაში მეტი იქნება თუ $P_c/P_w > a_{lc}/a_{lw}$, ხოლო ღვინოს წარმოებაში — მაშინ, როცა $P_c/P_w < a_{lc}/a_{lw}$. რადგანაც მომუშავეებს სურვილი აქვთ დასაქმდნენ იქ, სადაც შრომის ანაზღაურება მეტია და ამასთან,

მათ დაუბრკოლებლად შეუძლიათ გადაადგილდნენ დარგიდან დარგში, ეკონომიკა მთლიანად დასპეციალიზირდება მაუდის წარმოებაზე, როდესაც $P_c/Pw > a_{lc}/a_{lw}$ და ღვინოს წარმოებაზე, როცა $P_c/Pw < a_{lc}/a_{lw}$. ამგვარად, ეკონომიკა მთლიანად სპეციალიზირდება მაუდის წარმოებაზე, როცა შეფარდებითი ფასები მასზე გადააჭარბებს მის შეფარდებით დანახარჯებს და პირიქით, დასპეციალიზირდება ღვინოს წარმოებაზე, როცა მაუდზე შეფარდებითი ფასი ნაკლები იქნება მის შეფარდებით დანახარჯებზე.

სართაშორისო ვაჭრობის არარსებობის პირობებში, ქვეყანა იძულებულია თავად აწარმოოს ორივე საქონელი. ამასთან, ეს მხოლოდ მაშინ ხდება თუ მაუდზე შეფარდებითი ფასი მისი ალტერნატული დანახარჯების ტოლია.

სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ, იწყება ქვეყნის სპეციალიზაცია პროდუქტის წარმოებაზე, რომლის მიხედვითაც მას შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია, ხოლო შემდგომ საკუთარი წარმოების ჭარბი პროდუქტის გაცვლით შეუძლია სასურველი საქონელი შეიძინოს სავაჭრო პარტნიორისაგან. ამასთან, სარგებელი სავაჭრო გარიგებებში მონაწილე ქვეყნებისათვის მდგომარეობს: პირველი, პროდუქციის წარმოება შესაძლებელია შრომის ნაკლები დანახარჯებით. მეორე, მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე საქონელგაცვლის საშუალებით მოვაჭრე ქვეყნებს შეუძლიათ გაზარდონ ორივე საქონლის მოხმარების მოცულობა. ამ უკანასკნელს მაშინაც აქვს ადგილი, როცა სრულ სპეციალიზაციას არა აქვს ადგილი. მაშასადამე, სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ, მასში მონაწილე ქვეყნების კეთილდღეობა იზრდება. სხვა საკითხია თუ როგორ ნაწილდება საერთაშორისო ვაჭრობიდან მიღებული სარგებელი ქვეყნის მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის, მაგრამ სტიმული, დაამყარონ სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან და მიიღონ სარგებელი მეტად მნიშვნელოვანია მოვაჭრე მხარეებისათვის.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითი გვიჩვენებს ერთი ქვეყნის შეფაედებით უპირატესობას მეორეზე, ორიდან ერთი პრო-

დუქციის მიხედვით. ანალოგიური დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, როცა ორი ქვეყანა ვაჭრობს ერთმანეთთან მრავალი საქონლით. სიტუაციის გამარტივების მიზნით კვლავ ვმოქმედებთ ერთფაქტორული მოდელის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს შრომის თავისუფალ გადაადგილებას ერთი დარგიდან მეორეში. ასეთ შემთხვევაში ქვეყნებს შორის ვაჭრობა დამოკიდებული იქნება მათში არსებული ხელფასის დონეების თანაფარდობაზე. ვთქვათ, w არის სამამულო ქვეყანაში ხელფასის დონე, w^* _ კი უცხოეთში. ჩვენ გვაინტერესებს w/w^* თანაფარდობა, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ქვეყნებს შორის საქონელგაცვლა. ნებისმიერი საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $a_{li}^*/a_{li} > w/w^*$, იწარმოება სამამულო ქვეყანაში, ხოლო ის საქონელი, რომლისთვისაც ადგილი აქვს თანაფარდობას $a_{li}^*/a_{li} < w/w^*$ — უცხოეთში. მართლაც, საქონელი იწარმოება იქ, სადაც იაფია. ამასთან, ნებისმიერი, ვთქვათ i-ური საქონლის წარმოების დანახარჯები ტოლი იქნება, ამ საქონლის ერთეულის წარმოებისათვის საჭირო შრომითი დანახარჯი გამრავლებული ხელფასის განაკვეთზე. მაშასადამე, i-ური საქონელი სამამულო ქვეყანაში დაჯდება $w \times a_{li}$, უცხოეთში — $w^* \times a_{li}^*$. სამამულო ქვეყანაში ამ საქონლის წარმოება განხორციელდება, როცა $w \times a_{li} < w^* \times a_{li}^*$, რაც ტოლფასოვანია $a_{li}^*/a_{li} > w/w^*$. ამგვარად, თუ რა საქონელს აწარმოებენ ქვეყნები დამოკიდებულია მათში ხელფასის დონეებს შორის თანაფარობაზე. განვიხილოთ მაგალითი.

შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე

საქონელი	შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე ინგლისში a_{li}	შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე პორტუგალიაში a_{lp}	ინგლისის შეფარდებითი უპირატესობა მწარმოებლურობის მიხედვით a_{lp}/a_{li}
მაუდი	3	4	1 1/3
ხორბალი	12	20	1 2/3
ლუდი	6	12	2
ღვინო	12	6	1/2
ყველი	6	4	2/3

მონაცემების მიხედვით, თანაბარი ხელფასის პირობებში ინგლისი სპეციალიზირდება მაუდის, ხორბლის და ლუდის წარმოებაში, ხოლო პორტუგალია — ღვინოსა და ყველის წარმოებაში. იმ შემთხვევაში, როცა შეიცვლება ხელფასებს შორის თანაფარდობა შეიცვლება სპეციალიზაციაც. ასე მაგალითად, თუ ხელფასის დონე ინგლისში 2-ჯერ უფრო მაღალი იქნება პორტუგალიასთან შედარებით, მაშინ, ამ პროდუქტების წარმოება ინგლისში გაძვირდება და მათ წარმოებაზე პორტუგალია დასპეციალიზდება, რაც შეეხება ლუდს, მისი წარმოება ამ შემთხვევაში ორივე ქვეყანას შეეძლება. მაშასადამე, შეფარდებითი ხელფასი — ესაა ის ბარიერი, რომელიც განაპირობებს თუ რისი ექსპორტს და იმპორტს განახორციელებს ქვეყანა. ზოგადად, ასეთი გამყოფი ბარიერის როლი შეიძლება შეასრულოს სხვა ფაქტორებმაც, როგორიცაა სატრანსპორტო დანახარჯები, ბაჟები, სავალუტო კურსის მერყეობა და სხვა.

ამგვარად, შეფარდებითი უპირატესობის მოდელში მრავალი საქონლის შემოღებით მისი არსი არ იცვლება: ვაჭრობას ადგილი აქვს იქ, სადაც მსოფლიო ფასი აღემატება შეფარდე-

ბით დანახარჯებს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ადგილი აქვს შეფარდებითი უპირატესობის არასწორ გაგებას. შეცდომები ძირითადად შემდეგი ხასიათისაა:

მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანობა. "თავისუფალი ვაჭრობა კარგია მაშინ, როცა ქვეყანაში საკმაოდ მაღალია შრომის მწარმოებლურობა და მას შეუძლია გაუძლოს საერთაშორისო კონკურენციას" — ესაა არგუმენტი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ. ისინი მოითხოვენ, რომ მათი ბაზრები იზოლირებული იყოს მსოფლიო ეკონომიკისაგან მანამდე, სანამ კონკურენტუნარიანნი არ გახდებიან. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა შეფარდებითი უპირატესობის არასწორი გაგება. კერძოდ, ისინი ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია არა მარტო შრომის მწარმოებლურობაზე უცხო ქვეყნის ანალოგიურ დარგთან შედარებით, არამედ ხელფასის დონეებს შორის არსებულ თანაფარდობაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ხელფასის დონე ქვეყანაში კი თავის მხრივ დამოკიდებულია ყველა დარგში მწარმოებლურობის დონეზე. ასე მაგალითად, ტანსაცმლის წარმოებაში, პორტუგალიაში შრომის მწარმოებლურობის დონე გაცილებით დაბალია აშშ-თან შედარებით, მაგრამ იმავე პორტუგალიის სხვა დარგებში შრომის მწარმოებლურობა კიდევ უფრო დაბალ დონეზეა, რაც საშუალებას აძლევს ტანსაცმლის მწარმოებლებს, თავიანთ მომუშავეებს იმდენად დაბალი ხელფასი გადაუხადონ, რომ მიაღწიონ შეფარდებით უპირატესობას სართაშორისო ვაჭრობაში. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა უსამართლოდ ჩაითვალოს კონკურენტული უპირატესობა, თუ ის დაბალ ხელფასს ემყარება? ბევრი თვლის, რომ ეს ასეა. სწორედ ამაშია შეფარდებითი უპირატესობის გაგებაში მორიგი შეცდომა.

იაფი სამუშაო ძალის არგუმენტი. "უცხოური კონკურენცია უსამართლოა და დიდ ზარალს აყენებს სხვა ქვეყნებს, როცა იგი ემყარება ხელფასის დაბალ დონეს" — ესაა არგუმენტი, რომელსაც ხშირად იყენებენ პროფკავშირების წარმომადგენლები უცხოელ კონკურენტებთან ბრძოლაში. ამ არგუმენტის მომხრეე-

ბი ამტკიცებენ, რომ სამამულო მრეწველობამ არ უნდა დაიჭიროს საქმე იმ უცხოელ კონკურენტებთან, რომლებსაც დაბალი მწარმოებლურობა ახასიათებთ და საკუთარ მომუშავეს უფრო დაბალ ხელფასს უხდიან. ამ არგუმენტის უსაფუძვლობის დასამტკიცებლად დავუბრუნდებით ჩვენს მაგალითს. სამამულო ეკონომიკა უფრო მწარმოებლურია ორივე დარგში, ვიდრე უცხოური. ამ უკანასკნელში ღვინოს წარმოების უფრო დაბალი დანახარჯები განპირობებულია იქ არსებული ხელფასის უფრო დაბალი დონით, მაგრამ უცხოეთში ხელფასის დაბალ დონეს არაფერი აქვს საერთო ჩვენს მიერ ვაჭრობიდან მიღებულ სარგებელთან. ჩვენთვის არაა აქვს მნიშვნელობა, თუ რატომაა უცხოეთში ღვინოს წარმოებაში ნაკლები დანაარჯები — შრომის მაღალი მწარმოებლურობისაგან თუ დაბალი ხელფასისაგან. ერთადერთი, რაც მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკისათვის, ვაწარმოოთ იაფად მაუდი და გავცვალოთ იგი ღვინოზე (რომელიც ჩვენ ძვირი გვიჯდება), ვიდრე საკუთარ ძალებით, მაგრამ შედარებით მაღალი დანახარჯებით ვაწარმოოთ ღვინო.

არაეკვივალენტური გაცვლა. იმ შემთხვევაში, როდესაც დგება საკითხი მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის სიმდიდრის გადანაწილების შესახებ ხშირად გამოიყენება ეგრთ წოდებული არაეკვივალენტური გაცვლის დოქტრინა, რომელიც კ. მარქსის ცნობილი დებულებიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც ღირებულებას ქმნის მხოლოდ შრომა. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: "საერთაშორისო ვაჭრობა იწვეს იმ ქვეყნის ექსპლუატაციას, რომლის საექსპორტო საქონელში უფრო მეტი შრომაა ჩადებული, ვიდრე იმ იმპორტულ საქონელში, რომლებსაც ისინი მსოფლიო ბაზარზე იძენენ". მიუხედავად იმისა, რომ მსგავს მსჯელობაში სიმართლის გარკვეული ელემენტები არსებობენ, არათანაბარი გაცვლა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დაბალი ხელფასის ქვეყნები საერთაშორისო ვაჭრობიდან ზარალობენ. თუ გვსურს ვიცოდეთ, ურთიერთსასარგებლოა თუ არა ვაჭრობა, ერთმანეთს არ უნდა შევუდაროთ თქვენს მიერ საექსპორტო საქონელზე გაწეული დანახარჯები, იმპორტულ საქონელზე უცხოელების მიერ გაწეულ დანახარჯებს. ამ შემ-

თხვევაში მიზანშეწონილია გაიანგარიშოთ თქვენ თვითონ რა დაგიჯდებოდათ იმ იმპორტული საქონლის წარმოება, რომელსაც თქვენ მსოფლიო ბაზარზე შეიძენთ. თუ სხვა ქვეყანას შეუძლია უფრო იაფად აწარმოოს ის, რასაც თქვენ იმპორტით შეიძენთ, მით უკეთესი მათთვის, მაგრამ ეს გარემოება არაფრით არ ამცირებს თქვენს სარგებელ ვაჭრობიდან.

დასკვნა:

1. სართაშორისო ვაჭრობის ბუნების შესახებ შეხედულებები პირველად სისტემატიზირებული სახით ჩამოყალიბებული იქნა მერკანტილისტების მიერ. მათი წარმოდგენით, ვაჭრობიდან სარგებელს ღებულობს ქვეყანა, რომელიც ზრდის ექსპორტს და ზღუდავს იმპორტს, რათა დააგროვოს ოქროსა და ვერცხლის მარაგები;
2. ადამ სმითმა ჩამოაყალიბა აბსოლუტური უპირატესობის იდეა, რომლის თანახმად ქვეყანა იმ საქონლის ექსპორტს ახორციელებს, რომლის წარმოებაც სავაჭრო პარტნიორთან შედარებით უფრო იაფი უჯდება;
3. დავიდ რიკარდომ ჩამოაყალიბა შეფარდებითი უპირატესობის თეორია. მან ახსნა თუ რატომაა ვაჭრობაში მონაწილეობა სასარგებლო იმ ქვეყნისთვისაც, რომელსაც უპირატესობა არ გააჩნია შრომის მწარმოებლურობის მიხედვით;
4. ვაჭრობა გულისხმობს სპეციალიზაციას ანუ რესურსების გადინებას იმ პროდუქტების წარმოებაში, რომელითაც შეფარდებით უპირატესობა გაჩნია. წარმოების სტრუქტურაში ცვლილება აისახება წარმოებითი შესაძლებლობები მრუდში;
5. საგარეო ვაჭრობიდან სარგებელს ღებულობს ყველა მოვაჭრე მხარე;

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. როგორია მერკანტილისტების შეხედულებები სართაშორისო ვაჭრობის შესახებ?

2. რატომ ვაჭრობენ ქეყნები ერთმანეთთან? რატომ ხდება საქონელთა დარგთაშორისო გაცვლა?
3. რომელი საქონლის წარმოებაზე სპეციალიზირდება ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობაში?
4. რაში მდგომარეობს ადამ სმითის აბსოლუტური უპირატეობის არსი?
6. რითი განსხვავდება დ. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორია ადამ სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორიისაგან?
7. რატომ არ შეიძლება სრული სპეციალიზაცია?
8. რა არის ალტერნატიული დანახარჯები?
9. რაში მდგომარეობს სართაშორისო ვაჭრობაში მონაწილე მხარეები სარგებელი?
10. შეიძლება თუ არა შეფარდებითი უპირატესობა წარმოიშვას რამდენიმე საქონლით ვაჭრობისას?
11. რაში მდგომარეობს შეცდომები შეფარდებითი უპირატესობის გაგებაში?

თემა 3. საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიები

§ 1. ჰექშერ-ოლინის თეორია

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებს შორის ყოვლისმომცველობით და საგარეო ვაჭრობის ტენდენციების ახსნის მცდელობის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის ანუ ჰექშერ-ოლინის თეორიას. ეკონომიკური თეორიის ცნობილმა შვედმა სპეციალისტმა, ელი ჰექშერმა ამ თეორიას საფუძვლები 1919 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ჩაუყარა, ხოლო შემდეგ ბერტილ ოლინმა განავითარა. პ. სამუელსონის მიერ ამ თეორიაში შეტანილი დაზუსტებების შემდეგ თეორიამ მიიღო ფაქტორთა თანაფარდობის თეორიის სახელწოდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება თეორიის შემოკლებული სახელწოდება ჰექშერ-ოლინის თეორია (ჰ-ო თეორია). საბოლოოდ თეორიამ კონგლომერატული სახე მიიღო, რომელიც მოიცავს ჰ-ო თეორიას და წარმოების ფაქტორებზე ფასთა გათანაბრების თეორიას. ჰ-ო თეორია გვიხსნის ვაჭრობის სტრუქტურას და მიზეზებს, ხოლო მეორე თუ როგორ ზემოქმედებს საგარეო ვაჭრობა წარმოების ფაქტორების ფასზე და შემოსავლების განაწილებაზე.

ჰექშერ-ოლინის თეორიის მიხედვით:

ქვეყანა ახორციელებს იმ საქონლის ექსპორტს, რომლის საწარმოებლად ინტენსიურად გამოიყენებიან შეფარდებით ჭარბი ფაქტორები, ხოლო იმპორტის სახით შემოაქვს ისეთი საქონელი, რომლის წარმოებისთვის ქვეყანაში არსებული დეფიციტური წარმოების ფაქტორები გამოიყენებიან. ამასთან, საქონლის ექსპორტი შეიძლება შეიცვალოს წარმოების ფაქტორების გადაადგილებით.

წარმოების ფაქტორებზე ფასთა გამოთანაბრების თეორიის მიხედვით:

საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს არა მარტო საქონელზე ფასების გამოთანაბრებას, არამედ წარმოშობს წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების ტენდენციასაც, რაც საბოლოოდ განაპირობებს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოების ერთსა და იმავე ფაქტორებზე შემოსავლების გათანაბრებას.

ტერმინი "ფაქტორული უპირატესობის" დაზუსტებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ქვეყანა ჭარბი კაპიტალის მქონედ ითვლება, თუ ამ ქვეყანაში თანაფარდობა კაპიტალს და წარმოების სხვა ფაქტორებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. შესაბამისად ხდება წარმოების სხვა ფაქტორების დეფიციტის თუ სიჭარბის განსაზღვრა.

ჰექშერ-ოლინის ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით კარგად შეიძლება მეტროპლიებს და კოლონიებს შორის ვაჭრობის ახსნა.

ჰ-ო თეორიის მიხედვით, ვაჭრობა განსაკუთრებით ეფექტიანია იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის სხვაობიდან გამომდინარე განსხვავებული ეკონომიკური სტრუქტურა გააჩნიათ. ამ თეორიის მიხედვით ვაჭრობის განვითარება, ქვეყნებს უბიძგებს უარი თქვან გარკვეული საქონლის წარმოებაზე ანუ ხდება საერთაშორისო სპეციალიზაციის გარღმავება.

საერთაშორისო ვაჭრობაში წარმოების ფაქტორების ჩართვა ნიშნავს ქვეყნებს შორის მათი გადაადგილების შესაძლებლობას, ანუ მათ მობილურობას. წარმოების ფაქტორებს, რომლებიც გადაადგილდებინ ქვეყნებს და დარგებს შორის ეწოდებათ წარმოების მობილური ფაქტორები. ხოლო ფაქტორებს, რომლებიც დარგებს შორის არ გადაადგილდებიან და შეზღუდულად გამოიყენებიან ეწოდებათ წარმოების სპეციფიკური ფაქტორები.

ჰექშერ-ოლინის თეორიაში, კლასიკური თეორიებისაგან განსხვავებით, სადაც მარტო წარმოების ერთი ფაქტორი შრომაა გათვალისწინებული, ჩართულია წარმოების ორი ფაქტორი (შრომა და კაპიტალი). ისევე, როგორც ყველა სხვა თეორია, ჰექშერ-ოლინის თეორიაც მოითხოვს გარკვეული მოდე-

ლის აგებას და პირობების გარკვეულ გამარტივებას. ამ მოდელში ფიგურირებს ორი ქვეყანა (სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყანა), ორი საქონელი (ქსოვილი და ხორბალი), წარმოების ორი ფაქტორი (შრომა და კაპიტალი). ასევე იგულისხმება, რომ ორივე ქვეყანა იყენებს ერთნაირ ტექნოლოგიებს და ხასიათდებიან მომხმარებელთა გემოვნების ერთგვაროვნებით; ორივე ქვეყნის ბაზარზე არსებობს თავისუფალი კონკურენცია; წარმოების ფაქტორები ხასიათდებიან შიდა მობილურობით, მაგრამ ქვეყნებს შორის ვერ გადაადგილდებიან; არ არსებობს ტრანსპორტზე დანახარჯები და საბაჟო ბარიერები.

წარმოების ფაქტორის გამოყენების ინტენსიობას ასახავს ტერმინი ფაქტორტევადობა. დავუშვათ, რომ ხორბლის წარმოება არის შრომატევადი, ხოლო ქსოვილის წარმოება კაპიტალტევადი. ქვეყანა თუ რა სახის საქონლის წარმოებაზე დასპეციალიზდება დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყანაში წარმოების ფაქტორის სიჭარბეზე.

შრომის ჭარბი რაოდენობის მქონე იქნება ის ქვეყანა, სადაც შრომის საერთო მიწოდების კაპიტალის საერთო მიწოდებასთან შეფარდება უფრო მაღალია, მეორე ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქვეყანა ხასიათდება კაპიტალის სიჭარბით, თუ კაპიტალის საერთო მიწოდების შეფარდება შრომის საერთო მიწოდებასთან უფრო მაღალია, ვიდრე მეორე ქვეყანაში. საბაზრო წონასწორობის პირობებში წარმოების ფაქტორთა შეფარდებას ასახავს წარმოების ფაქტორთა შეფარდებითი ფასი. ამრიგად, წარმოების ფაქტორთა ფასების შეფარდებით შეიძლება განისაზღვროს ცალკეულ ქვეყანაში ამა თუ იმ ფაქტორის სიჭარბე თუ დეფიციტი (შრომის ფასს წარმოადგენს – ხელფასი w, ხოლი კაპიტალის – საპროცენტო განაკვეთი r). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანა სადაც მეტია მუშათა რაოდენობა და მცირეა ხელფასი კაპიტალის ერთ ერთეულზე, ხასიათდება შრომის ჭარბი რაოდენობით და პირიქით.

ვთქვათ, საზღვარგარეთის ქვეყანში არსებობს კაპიტალის სიჭარბე შრომასთან შედარებით, ხოლო სამამულო ქვეყანაში პირიქით შრომის სიჭარბე კაპიტალთან შედარებით. ცხადია,

რომ საზღვარგარეთის ქვეყანა სპეციალიზებას მოახდენს იმ საქონლის წარმოებაზე, რომლის საწარმოებლადაც ინტენსიურად გამოიყენება კაპიტალი, ვიდრე შრომა, ანუ სპეციალიზდება ქსოვილის წარმოებაზე, ხოლო სამამულო ქვეყანა პირიქით, სპეციალიზდება იმ საქონლის წარმოებაზე, რომლის წარმოებისთვის ინტენსიურად გამოიყენება შრომა, ვიდრე კაპიტალი, ანუ სპეციალიზაციას ახდენს ხორბლის წარმოებაზე.

გრაფიკულად ეს ასე გამოისახება:



ნახ. 3.1

სამამულო ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების მრუდი უფრო მეტად დახრილია აბცისთა ღერძისკენ, რომელზეც გამოსახულია ხორბლის წარმოება, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების მრუდი პირიქით, ორდინატთა ღერძისკენ. ავტარკიის[9] პირობებში სამამულო ქვეყანა აწარმოებს უფრო მეტ ხორბალს, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყანა

[9] ავტარკია - ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ქსოვილს. სამამულო ქვეყანაში მის ხელთ არსებული ყველა რესურსის ქსოვილის საწარმოებლად გადართვის შემთხვევაშიც კი არ ძალუძს საზღვარგარეთის ქვეყანაზე მეტი ქსოვილის წარმოება. აღსანიშნავია, რომ არცერთ ქვეყანას არ ძალუძს სრული სპეციალიზაცია მოახდინოს რომელიმე საქონლის წარმოებაზე, როგორც ავტარკიის, ისე ვაჭრობის პირობებში. თუმცა, სპეციალიზაცია იმ დონემდე, როცა ჩანაცვლების დანახარჯები გაუტოლდება მსოფლიო ფასს, სრულიად შესაძლებელია.

ყოველივე აღნიშნულიდან ნათელია, რომ ქვეყანა იმ საქონლის წარმოებაშია უფრო ეფექტიანი, რომლის საწარმოებლადაც საჭირო წარმოების ფაქტორებს ფლობს ჭარბი რაოდენობით.

სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყანას შორის ვაჭრობის დაწყება კი უზრუნველყოფს წარმოების ორივე ფაქტორის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას.

საერთაშორისო ვაჭრობაში ნებისმიერი ქვეყნის მონაწილეობა განპირობებულია კეთილდღეობის დონის ამაღლებით. კეთილდღეობის დონის ცვლილება ჩვენს გამარტივებულ მაგალითში ნიშნავს, ორივე საქონლის მოხმარების ზრდას ან ერთი საქონლის მოხმარების ზრდის და მეორე საქონლის მოხმარების შემცირების ისეთ კომბინაციას, რომელიც იწვევს მოხმარებული საქონლის სარგებლიანობის ზრდას. ასეთ ცვლილებებს მომხმარებელთა არჩევანში ასახავს ე.წ. "გულგრილობის" ანუ "ინდეფერენტულობის" მრუდები, რომლებზეც მოხმარებული საქონლების ყველა კომბინაცია უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის სარგებლიანობის ერთნაირ დონეს.



ნახ. 3.2

გულგრილობის ყველა მრუდიდან მხოლოდ ის მიიღება მხედველობაში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მოხმარებას და წარმოებას, ანუ რომელსაც აქვს შეხების წერტილი საწარმოო შესაძლებლობის მრუდთან. ვაჭრობის დაწყების შემდეგ მყარდება მოხმარების ახალი დონე წარმოების ფაქტორის ახალი ფასის და მსოფლიო ფასის შესაბამისად.

ფასების მოძრაობა გრაფიკულად ასე გამოისახება:



ნახ. 3.3.

ხორბალზე მსოფლიო ფასის ჩამოყალიბება

რამდენადაც მომხმარებელს ორივე ქვეყანაში ერთგვაროვანი გემოვნება აქვს, მოთხოვნა გამოსახულია ერთი მრუდით, რომელიც მიწოდების სხვადასხვა მრუდით იკვეთება. სამამულო ქვეყანაში ვაჭრობის წინა ფასი იყო **Px/Pc**, სადაც ხორბალზე მოთხოვნის მრუდი იკვეთება ხორბლის მიწოდების მრუდით, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყანაში შესაბამისად **Px'/Pc'**. სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ მყარდება მსოფლიო ფასი **Pw**.

§ 2. წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრების თეორია

განსახილველი მოდელიდან გამომდინარე, სამამულო ქვეყანაში ადგილი აქვს შრომის სიჭარბეს და შესაბამისად დაბალია ხელფასი, რაც სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ შესაძლებლობას იძლევა ქვეყანა დასპეციალიზდეს ხორბლის წარმოებაზე. შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე და ხელფასიც. სამამულო ქვეყანაში კაპიტალზე მოთხოვნის შემცირება იწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, მაშინ როდესაც საზღვარგარეთის ქვეყანაში მიმდინარეობს საწინააღმდეგო პროცესი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სავაჭრო ურთიერთობების დამყარებამდე, სამამულო ქვეყანაში ხელფასი დაბალი იყო, ხოლო საზღვარგარეთ მაღალი, საპროცენტო განაკვეთი კი პირიქით საზღვარგარეთ დაბალი, ხოლო სამამულო ქვეყანაში მაღალი. სავაჭრო ურთიერთობების დამყარება იწვევს სამამულო ქვეყანაში ხელფასის, ხოლო საზღვარგარეთ საპროცენტო განაკვეთის ზრდას, ანუ ორივე ქვეყანაში სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ სარგებელს ღებულობენ ჭარბი წარმოების ფაქტორების მფლობელები, რასაც ორივე ქვეყანაში ხელფასის დონის და საპროცენტო განაკვეთის გამოთანაბრებისკენ მივყევართ.

ამრიგად, ვაჭრობის შედეგად წინასავაჭრო ფასების მსოფლიო ფასთან მიახლოება იწვევს წარმოების ფაქტორებზე ფასების დაახლოებას ან გათანაბრებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ვაჭრობა არა მხოლოდ საქონელთა, არამედ საქონელთა წარმოებისთვის გამოყენებული წარმოების ფაქტორების ირიბი გაცვლაცაა. სამამულო ქვეყანა ახდენს რა ხორბლის ექსპორტირებას, რომლის საწარმოებლად ძირითადად შრომაა გამოყენებული, ახდენს ამ წარმოების ფაქტორის ირიბ ექსპორტს, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყანა პირიქით, ახდენს რა კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტს, ამით ახდენს კაპიტალის ირიბ ექსპორტს. საბოლოოდ ეს იწვევს საქონელზე და წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრებას ან დაახლოებას.

თეორიული მოდელის შედეგებისგან განსხვავებით, რეალურად სავაჭრო ურთიერთობებში ჩართულ ქვეყნებში, ხელფასი და საპროცენტო განაკვეთი სხვადასხვაა, რაც იქედან გამომდინარეობს, რომ ქვეყნები რეალურ სინამდვილეში უამრავ საქონელს აწარმოებენ. ადგილი აქვს გამოყენებული ტექნოლოგიების მრავალფეროვნებას, რაც თავის მხრივ იწვევს კაპიტალის უფრო მაღალ შემოსავლიანობას, ასევე ხშირ შემთხვევაში ხელფასის უფრო მაღალ დონეს. ამავდროულად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სატრანსპორტო დანახარჯების და საბაჟო ბარიერების რეალური არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰექშერ-ოლინის თეორია ყველაზე ახლოსაა თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებებისა და სტრუქტურის ახსნასთან, არსებობს რიგი მიზეზები, რომლებიც ამ თეორიის სიზუსტეში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევიან:

1. **განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მზარდი ტენდენცია ომის შემდგომ პერიოდში.** განვითარებულ ქვეყნებს შორის აღნიშნული ტენდენცია განუხრელად იზრდება მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ჰექშერ-ოლინის თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობა პირიქით უნდა შემცირებულიყო, რამდენადაც განვითარებული ქვეყნების წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის სტრუქტურა ძალიან ემსგავსება ერთმანეთს.
2. **ვაჭრობის სიმძიმის ცენტრის დარგთაშორის ვაჭრობიდან შიდადარგობრივ ვაჭრობაზე გადასვლა.** ცალკეული ქვეყნები, უპირატესად განვითარებული ქვეყნები ერთმანეთთან ერთგვაროვანი საქონლით ვაჭრობენ და საერთაშორისო ვაჭრობაში სწორედ ამ სახის საქონლით ვაჭრობა ხასიათდება მზარდი ტენდენციით.

§ 3. ჰექშერ-ოლინის თეორიის ემპირული შემოწმება. ლეონტიევის პარადოქსი

ჰექშერ-ოლინის თეორიის შეუსაბამობამ საერთაშორისო ვაჭრობის არსებულ ტენდენციებთან ბიძგი მისცა ამ თეორიის ემპირული შემოწმების ტენდენციას.

ვასილ ლეონტიევმა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში გადაწყვიტა შეემოწმებინა ჰექშერ-ოლინის თეორიის დასკვნა იმის შესახებ, რომ ქვეყნები ახდენენ იმ საქონლის ექსპორტს, რომლის წარმოებაშიც ინტენსიურად გამოიყენება ამ ქვეყანში არსებული წარმოების ჭარბი ფაქტორები, ხოლო უცხოეთიდან შემოაქვთ ის საქონელი, რომლის საწარმოებლადაც საჭირო წარმოების ფაქტორები ამ ქვეყანაში დეფიციტურია. ვ. ლეონტიევს სურდა ერთდროულად შეემოწმებინა ორი ვარაუდი: 1. ჰექშერ-ოლინის თეორია და 2. აშშ-ს ეკონომიკაში კაპიტალი უფრო ჭარბია თუ მასთან მოვაჭრე ქვეყანაში. შემოწმების პირობები ასეთი იყო: თუ ჰექშერ-ოლინის თეორია სწორია, ხოლო აშშ-ში კაპიტალი მართლაც შედარებით ჭარბია, მაშინ კაპიტალის ხარჯების მაჩვენებელი ერთ მუშაზე გაანგარიშებით (Kx/Lx) აშშ-დან ექსპორტირებული საქონლის სტანდარტულ ნაკრებში უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი (Km/Lm) იმპორტშემცვლელ პროდუქციაში, რომელიც აშშ-ში შემოზიდულ საქონელთა სტანდარტულ ნაკრებში შედის. შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ აშშ სხვა ქვეყნებზე ყიდდა შრომატევად საქონელს და ყიდულობდა კაპიტალტევადს. სწორედ ამას ეწოდება ლეონტივის პარადოქსი. ვ. ლეონტიევი და სხვა ეკონომისტები მრავალი მხრიდან ცდილობდნენ აღნიშნული პარადოქსის ახსნას. ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა მოდელში წარმოების სხვა ფაქტორების გათვალისწინება. ამ მიმართულებით ჩატარებულმა მრავალმა გამოკვლევამ ორ ძირითად შედეგამდე მიგვიყვანა: 1. დადასტურდა "პარადოქსის" არსებობა ომისშემდგომი პერიოდის უმეტეს მონაკვეთზე. 2. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წარმოდგენა წარმოების ფაქტორების გამოყე-

ნების ინტენსივობის შესახებ. პირველი უარყოფს ჰექშერ-ოლინის თეორიას, მეორე კი იცავს მას.

ამავე დროს, ლეონტიევის პარადოქსის ამოხსნის მცდელობისას, მეცნიერებმა დაიწყეს მოდელში კაპიტალისა და შრომის გარდა წარმოების სხვა ფაქტორების შეყვანა. აშშ-ს ჰქონდა კაპიტალი გარკვეული სიჭარბე და ამასთან ექსპორტისათვის ამ ფაქტორის მომსახურებას ნაკლებად იყენებდა, ვიდრე იმპორტით ღებდა. თუმცა, შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ აშშ-ში კაპიტალი სრულიადაც არ არის წარმოების ყველაზე ჭარბი ფაქტორი. აქ პირველი ადგილი ეკუთვნის სამეცნიერო-ტექნიკურ კადრებს, ანუ კვალიფიცირებულ სამუშაო ძალას. აშშ იმ საქონლის ექსპორტიორია, სადაც ინტენსიურად სწორედ წარმოების აღნიშნული ფაქტორი გამოიყენება, ანუ აშშ უპირატესად სწორედ მეცნიერებატევადი საქონლის ექსპორტიორია, რაც სრულიად შეესაბამება ჰექშერ-ოლინის თეორიას.

ამავე დროს, ლეონტიევის იდეის განვითარების მიმართულებით კვლევები წარმოებდა სხვა ქვეყნებშიც. 1959 წლისათვის იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ანალიზმა ცხადყო, რომ იაპონია ახენდა კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტს და შრომატევადის იმპორტს, რაც ეწინააღმდეგებოდა ჰექშერ-ოლინის კონცეფციას. თუმცა, აშშ-იაპონიის ორმხრივი ვაჭრობის შედეგებმა სრულიად საწინააღმდეგო შედეგები გამოავლინა, რომელიც ჰექშერ-ოლინის თეორიას შეესაბამებოდა.

ლეონტიევის პარადოქსის შემდგომი გადამოწმებისადმი მიძღვნილი ასობით პუბლიკაციიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამერიკელი მეცნიერების ბ. ბოუენის, ე. ლიმერის და ლ. სვეისკაუსის კვლევები. მათი კვლევების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ჰ-ო თეორია მტკიცდება მხოლოდ ნახევარზე მეტ შემთხვევაში, ანუ თეორია არ დასტურდება ბევრ საქონელზე და წარმოების ფაქტორზე. თუმცა ის, რომ თეორია დასტურდება ნახევარზე მეტ შემთხვევაში, მიუთითებს თეორიის დამაკმაყოფილებელ ხასიათზე, თუმცა ის მთლიანად ვერ ხსნის საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციებს.

მიუხედავად ამისა, სწორედ ლეონტიევის პარადოქსს უნდა ვუმადლოდეთ საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიების წარმოშობას. ასე მაგალითად: წარმოების ფაქტორების უფრო დეტალური ანალიზის მომხრეების მიერ წამოყენებულ იქნა ადამიანისეული კაპიტალის თეორია, რომელიც ხსნიდა თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობის ბევრ მოვლენას და ბიძგი მისცა ისეთი თეორიული მიდგომების განვითარებას, როგორიცაა ადამიანისეული რესურსები და ადამიანისეული განვითარება.

§ 4. საერთაშორისო ვაჭრობის უახლესი თეორიები

ლინდერის უპირატესი მოთხოვნის ჰიპოთეზა. შვედი ეკონომისტის და პოლიტიკოსის ს. ლინდერის ჰიპოთეზა ამყარებს მიზეზობრივ კავშირს მოთხოვნასა და საგარეო ვაჭრობას შორის და მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი შემდეგ სახეს ღებულობს: შემოსავალი-არჩევანი-ტექნოლოგია-საგარეო ვაჭრობა. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა განაპირობებს ამ ქვეყნის მოხმარების სტრუქტურაში ფუფუნების საგნების წილის ზრდას. აღნიშნულ საქონელზე მოთხოვნის ზრდა მწარმოებლებს უბიძგებს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისაკენ. მწარმოებლურობის გადიდება უსწრებს ამ საქონელზე მოთხოვნის ზრდას, შესაბამისად მცირდება საქონლის ფასი, ქვეყანა იძენს ფასისმიერ კონკურენტუნარიანობას და ადგილი აქვს ამ საქონლის ექსპორტს. ამრიგად, კომპანიის მიერ საგარეო ბაზარზე გასვლა ხდება იმ საქონლით, რომელზეც შიდა ბაზარზე მოთხოვნა მაღალია, თუმცა საჭიროა, რომ იმპორტიორ ქვეყანაში მოხმარების სტუქტურა მიახლოებული იყოს ექსპორტიორი ქვეყნის მოხმარების სტრუქტურასთან.

აღსანიშნავია, რომ ლინდერის თეორია დაუსრულებელი იყო, რამდენადაც მოიცავდა საგარეო ბაზარზე ტექნოლოგიურად რთული საქონლის ექსპორტის მხოლოდ შეზღუდულ ასპექტს. ამ თეორიის შემდომმა განვითარებამ მიგვიყვანა "პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის" თეორიის ჩამოყალიბებასთან.

"პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის" თეორია: ამ თეორიის შემქმნელები არიან ამერიკელი მეცნიერები რ. ვერნონი, ჩ. კინდელბერგერი და ლ. უელსი. აღნიშნულმა თეორიამ ასახა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში არსებული რეალობა, როცა აშშ-ს შიდა ბაზრისთვის წარმოებული პროდუქცია თანდათანობით სხვა განვითარებულ ქვეყნებში ვრცელდებოდა. აშშ-ში ახალი პროდუქციის წარმოება იწვევს მის ექსპორტს იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობის მოთხოვნა ემსგავსება აშშ-ში არსებულ მოთხოვნას.

ექსპორტის ზრდის შემდეგ, იმპორტიორი ქვეყნის მწარმოებლები იწყებენ ამ საქონლის წარმოების დაწყებას, მათ აქვთ გარკვეული კონკურენტული უპირატესობა - შიდა ბაზრის მოთხოვნის უკეთესი განსაზღვრის შესაძლებლობა და შედარებით იაფი სამუშაო ძალა. იწყება ამერიკელი ექსპორტიორების შეიწროება იმპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე, აშშ-ში მცირდება ამ პროდუქციის წარმოება. იმპორტიორი ქვეყანა ფლობს რა კონკურენტულ უპირატესობას პროდუქციის წარმოებაში, იწყებს ამ პროდუქციის ექსპორტს აშშ-ს ბაზარზე. აშშ-ს კომპანიები გადადიან ახალი, რთული პროდუქციის წარმოებაზე. ზოგიერთი მკვლევარი ამატებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის კიდევ ერთ ფაზას, პროდუქტის წარმოების გადატანას განვითარებად ქვეყნებში და შემდგომ ამ ქვეყნებიდან ექსპორტს აშშ-ს ბაზარზე.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიამ ფართო გავრცელება ჰპოვა, რამდენადაც ის იძლეოდა ცალკეული პროდუქციის საგარეო ვაჭრობის კანონზომიერებების ახსნის შესაძლებლობას. თუმცა შემდგომმა მოვლენებმა გამოავლინეს ამ თეორიის ნაკლოვანებები. 1. ზოგიერთი პროდუქტის წარმოება არ გადადიოდა სხვა ქვეყნებში. 2. თეორია მხოლოდ აშშ-ს უტოვებდა ლიდერის პოზიციას, თუმცა იაპონიას და დასავლეთ ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ გადაასწრო აშშ-ს ცალკეული საქონლის წარმოებაში.

ამრიგად, რჩებოდა საგარეო ვაჭრობის რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები. საჭირო იყო ახალი თეორია. ამერიკელმა

ეკონომისტმა მ. პორტერმა ნეოკლასიკური თეორიის და კომპანიის საგარეო-სავაჭრო საქმიანობის თეორიის სინთეზის საფუძველზე სცადა პასუხი გაეცა შეკითხვაზე "რატომაა, რომ კონკრეტული ქვეყნის ფირმები ფლობენ კონკურენტულ უპირატესობას ცალკეულ დარგებში?".

მ. პორტერის "კონკურენტულ უპირატესობათა თეორია": გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების უმთავრეს მიზანს. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში, რომლის სტაბილური განვითარება მსოფლიო მასშტაბით პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებას ეფუძნება. ამავე დროს, როგორც ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი მ. პორტერი აღნიშნავს, არცერთ ქვეყანას არ ძალუძს კონკურენტუნარიანი იყოს აბსოლუტურად ყველა პოზიციაში, რამდენადაც მისი რესურსები შეზღუდულია. აღნიშნული ერთნაირად ეხება როგორც განვითარების პოსტინდუსტრიულ, ისე ინდუსტრიულ-აგრარულ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მკვლევარი გამოყოფს ქვეყნის კონკურენტული ზრდის შემდეგ სტადიებს 1. ზრდა ბუნებრივი რესურსების, 2. ინვესტიციების, 3. ინოვაციების და ბოლოს 4. სიმდიდრის საფუძველზე. მ. პორტერი გამოყოფს "კონკურენტული რომბის" ოთხ უმთავრეს თვისებას ანუ დეტერმინანტს. რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას. აღნიშნულ ოთხ დეტერმინანტს წარმოადგენს: 1. ფაქტორული პირობები, 2. შიდა მოთხოვნის პირობები. 3. მონათესავე დარგების არსებობა. 4. ფირმის სტრუქტურა, სტრატეგია და შიდადარგობრივი კონკურენცია, ასევე ორი დამხმარე დეტერმინანტი, სახელმწიფოს (მთავრობის) როლი და შემთხვევა.

დასკვნა:

1. ჰექშერ-ოლინის თეორიის თანახმად ქვეყნებს შორის საქონელგაცვლისას ხდება წარმოების ჭარბი ფაქტორებით წარმოებული საქონლის ექსპორტი და იმ საქონლის იმპორტი, რომლის საწარმოებლადაც საჭირო რესურსები ქვეყანაში მცირეა.
2. საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს ფასთა გათანაბრებას არა მარტო საქონელზე, არამედ ტენდენციაში წარმოების ფაქტორებზეც, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოების ერთგვაროვან ფაქტორებზე შემოსავლების გათანაბრებას.
3. ფაქტორთა თანაფარდობის თეორია აერთიანებს ორ თეორემას: ჰექშერ-ოლინის თეორემას და წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების თეორემას.
4. გულგრილობის ყველა მრუდიდან მხოლოდ ის მიიღება მხედველობაში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მოხმარებას და წარმოებას, ანუ რომელსაც აქვს შეხების წერტილი საწარმოო შესაძლებლობის მრუდთან.
5. ჰექშერ-ოლინის თეორიის ემპირიულმა შემოწმებამ ეჭვქვეშ დააყენა თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულება. ლეონტიევის პარადოქსმა და სხვა კვლევებმა ნათელყო, რომ მთლიანობაში ჰექშერ-ოლინის თეორია დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ის სრულფასოვნად ვერ ხსნის თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულ ტენდენციებს.
6. ჰექშერ-ოლინის თეორიის საშუალებით საერთაშორისო ვაჭრობის ახსნის არასრულფასოვნებამ ბიძგი მისცა საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიების წარმოქმნას, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლინდერის უპირატესი მოთხოვნის ჰიპოთეზა, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორია და სხვა.
7. მ. პორტერი გამოყოფს ქვეყნის კონკურენტული ზრდის შემდეგ სტადიებს: 1. ზრდა ბუნებრივი რესურსების, 2. ინვესტიციების, 3. ინოვაციების და ბოლოს 4. სიმდიდრის სა-

ფუძველზე. მ. პორტერი გამოყოფს "კონკურენტული რომბის" ოთხ უმთავრეს თვისებას ანუ დეტერმინანტს. რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას. აღნიშნულ ოთხ დეტერმინანტს წარმოადგენს: 1. ფაქტორული პირობები, 2. შიდა მოთხოვნის პირობები. 3. მონათესავე დარგების არსებობა. 4. ფირმის სტრუქტურა, სტრატეგია და შიდადარგობრივი კონკურენცია, ასევე ორი დამხმარე დეტერმინანტი, სახელმწიფოს (მთავრობის) როლი და შემთხვევა.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. ახსენით ჰექშერ-ოლინის თეორიის არსი;
2. რას გულისხმობს ლეონტიევის პარადოქსი;
3. რა ფაქტორებით ხსნის ლინდერის ჰიპოთეზა საგარეო ვაჭრობა;
4. რას ნიშნავს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი;
5. ჩამოთვალეთ მ. პორტერის "კონკურენტული ზრდის სტადიები";
6. რას გულისხმობს კონკურენტული უპირატესობის რომბი და მისი დეტერმინანტები;
7. თქვენი აზრით, რომელი თეორია ხსნის საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციებს შედარებით ამომწურავად და რატომ?

თემა 4. საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული მოდელი

შეფარდებითი უპირატესობა, რომელიც გამომდინარეობს შრომის მწარმოებლურობაში ან წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფაში განსხვავებიდან, ძირითადად ახასითებს პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ანუ საქონლის მიწოდებას. თუმცა, პროდუქციის წარმოების ზრდისათვის აუცილებელია, რომ საქონელი იყიდებოდეს. ამისთვის, თავის მხრივ საჭიროა ფასების დონის ცოდნა. მოდელში მოთხოვნის ჩართვა იძლევა საერთაშორისო ვაჭრობის შედარებით რეალისტური მოდელის აგების შესაძლებლობას. საერთაშორისო ვაჭრობის მოდელს, რომელშიც ასახულია მოთხოვნა და მიწოდება ეწოდება საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული მოდელი. აღნიშნული მოდელი შემოსავლებზე საერთაშორისო ვაჭრობის ზეგავლენის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

ვთქვათ, სამამულო ქვეყანა და საზღვარგარეთის ქვეყანა აწარმოებენ ხორბალს და ქსოვილს. მოთხოვნის და მიწოდების მრუდების საშუალებით ვაჩვენოთ, თუ როგორ დგინდება მოთხოვნის და მიწოდების წონასწორობითი დონე და წონასწორობის ფასი ეროვნულ, საზღვარგარეთის და მსოფლიო ბაზარზე.



ნახ. 4.1

ხორბლის მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების ურთიერთქმედება, საქონელზე მსოფლიო ფასის ჩამოყალიბება.

§ 1. მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედება

ჰორიზონტალურ ღერძზე გამოისახება ხორბლის რაოდენობა, ვერტიკალურზე ხორბლის შეფარდებითი ფასი Px/Pt, (ნახ. 4.1), რომელიც უტოლდება ჩანაცვლების ზღვრულ დანახარჯებს და აჩვენებს, თუ რა რაოდენობის ქსოვლის წამოებაზე უნდა ვთქვათ უარი, რომ ვაწარმოოთ დამატებითი ერთეული ხორბალი.

ვაჭრობის არარსებობის შემთხვევაში საშუალოდ ქვეყანა აწარმოებს A რაოდენობის ხორბალს P_1 ფასის შემთხვევაში, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყანა A', P_3 ფასის შემთხვევაში. სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემთხვევაში, მწარმოებლები საზღვარგარეთისათვის უფრო მაღალ ფასად ხორბლის მიყიდვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ზრდიან წამოებას. P_1-ზე მაღალი ფასის შემთხვევაში ამ ქვეყანაში იზრდება ხორბლის წარმოება, რომელიც აჭარბებს ვაჭრობამდე არსებულ მოთხოვნას, მიწოდების სიჭარბე მოთხოვნაზე – ექსპორტირებული იქნება საზღვარგარეთ. ამავე დროს, საზღვარგარეთის ქვეყანაში p_3 -ზე ნაკლებ ფასად მიწოდების ზრდა იწვევს მოხმარების ზრდას, ანუ ხორბლის მოხმარება იზრდება, რომელიც იფარება B' C' იმპორტის მეშვეობით. შუა გრაფიკში კი მოთხოვნის და მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილი ასახავს, ხორბალზე მსოფლიო ფასს (P_2). ამ შემთხვევაში სამამულო ქვეყანაში ხორბლის სიჭარბე, ანუ ექსპორტი, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნის დეფიციტი, რომელიც იმპორტით იფარება, გათანაბრებულია. წონასწორობითი ფასი შეიძლება იყოს მხოლოდ P_2, რამდენადაც $Px/Pt>P_2$ შემთხვევაში, სამამულო ქვეყნიდან ხორბლის მიწოდება გადააჭარბებს საზღვარგარეთის ქვეყნის იმპორტზე მოთხოვნის მოცულობას და ფასი P_2-მდე შემცირდება, ხოლო როცა ფასი $Px/Pt<P_2$ საზღვარგარეთის ქვეყნის იმპორტზე მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა სამამულო ქვეყნის ექსპორტით და შესაბამისად, ფასი გაიზრდება. ანალოგიური მდგომარეობა იქნება ქსოვილის შემთხვევაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საზღვარგარეთის ქვეყანა იქნება ქსოვილის ექსპორტიორი, ხოლო სამამულო ქვეყანა იმპორტიორი.

§ 2. მსოფლიო ფასი. ვაჭრობის პირობები

4.1 ნახაზის შუა გრაფიკი ასახავს, მოთხოვნას და მიწოდებას ექსპორტზე ანუ საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც წარმოიქმნება შიდა ბაზარზე წარმოებას და მოხმარებას შორის სხვაობით. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სწორედ ექსპორტირებული ხორბალი არის ხორბლის მსოფლიო ფასის განმსაზღვრელი. ასეთი შეხედულება დასტურდება რეალური პრაქტიკის ზოგიერთი ფაქტით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ იზოლირებული მსოფლიო ბაზარი არ არსებობს და ის ეროვნულ ბაზართა ერთობლიობაა. მსოფლიო ბაზრის ფასი მეტნაკლებად ასახავს ეროვნული ბაზრების წონასწორობით ფასს. ჩვენს მაგალითშიც მსოფლიო ფასი ხორბალზე Px/Pt შეესაბამება მიწოდების იმ დონეს, რომელიც პოულობს მომხმარებელს ანუ არსებობს მოთხოვნა. მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს უტოლდება ფასის იმ დონეზე, რომელიც ერთნაირად აწყობს როგორც მწარმოებელს, ისე მომხმარებელს.

ხორბლის შეფარდებითი ფასი Px/Pt არის ქსოვილის შეფარდებითი ფასის Pt /Px უკუამსახველი. შეფარდებითი ფასის Px/Pt ზრდის შემთხვევაში, ხორბლის ექსპორტიორი ქვეყნის კეთილდღეობა გაიზრდება, რამდენადაც ერთი და იგივე რაოდენობის ხორბლის გაყიდვით შესაძლებელია უკვე გაიაფებული მეტი რაოდენობის ქსოვილის შეძენა (Px/Pt ზრდა იგივეა, რაც Pt/Px შემცირება). Px/Pt შემცირება იძლევა საპირისპირო ეფექტს. ქსოვილის ექსპორტიორ-ქვეყანაში Px/Pt ფასის ზრდა გამოიწვევს კეთილდღეობის დონის შემცირებას, რადგან ხორბლის გაძვირების პირობებში მათ მოუხდებათ უფრო მეტი რაოდენობის ქსოვილის გაყიდვა ან ხორბლის მოხმარების შემცირება. პირიქით, Px/Pt ფასის შემცირება ნიშნავს ქსოვილის ექსპორტიორ-ქვეყანაში ხორბლის მოხმარების ზრდას. შეფარდებითი ფასების ცვლილების ყველა კომბინაცია შესაძლებელია გამოიხატოს ტერმინით "ვაჭრობის პირობები", რომელიც გულისხმობს ექსპორტირებული საქონლის ფასის მიმართებას იმპორტირებული საქონლის ფასთან.

თუ ცნება "ვაჭრობის პირობები" ეხება ორზე მეტ საქონელს, იგი უნდა განისაზღვროს როგორც საექსპორტო და საიმპორტო ფასების ინდექსით (ეროვნული ან სხვა ვალუტის ერთეულებში), რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

$$Px = \sum_{i=1}^{n} xi\, pi$$

სადაც xi ცალკეული (i –რი) საქონლის ხვედრითი წონაა ექსპორტის მთლიან ღირებულებაში საბაზისო წელს, ხოლო pi არის ამ საქონელზე მიმდინარე ფასის შეფარდება მის ფასთან საბაზისო წელს. ასეთივე ინდექსი შეიძლება გავიანგარიშოთ საიმპორტო ფასებისათვის. ანუ

$$Pm = \sum_{i=1}^{n} mi\, pi$$

სადაც mi არის თითოეული საქონლის ხვედრითი წონა საბაზისო წელს იმპორტის მთლიან ღირებულებაში, ხოლო pi განისაზღვრება ისე, როგორც ექსპორტის შემთხვევაში. ამრიგად, ვაჭრობის პირობები ტოლია ორი ინდექსის შეფარდებისა:

$$T = Px/Pm$$

ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება ნიშნავს ექსპორტის მსყიდველობითუნარიანობის ზრდას. ვაჭრობის პირობების გაუარესება კი იმპორტის ღირებულების ზრდას ან ექსპორტის მსყიდველობითუნარიანობის და შესაბამისად ქვეყნის კეთილდღეობის შემცირებას.

§ 3. საგარეო ვაჭრობის გავლენა შემოსავლების განაწილებაზე

წარმოების ფაქტორების მფლობელების შემოსავლებზე საგარეო ვაჭრობის გავლენა განსხვავებულია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. მოკლევადიან პერიოდში ეს ზემოქმედება წარმოადგენს თანმიმდევრული მოვლენების ჯაჭვს, სადაც თითოეულ მათგანს მოაქვს გარკვეული შედეგები. (ცხრილი 4.1).

წარმოების ფაქტორების მფლობელების შემოსავლებზე საგარეო ვაჭრობის ზეგავლენა

	სამამულო ქვეყანა	საზღვარგარეთი
წინასავაჭრო ფასები	იაფი ხორბალი, ძვირი ქსოვილი	იაფი ქსოვილი, ძვირი ხორბალი
1	2	3
სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ იწყება სპეციალიზაცია და: 1. იცვლება შეფარდებითი ფასები	Px იზრდება Pt მცირდება	Px მცირდება Pt იზრდება
2. ფასზე გამოშვების მოცულობის რეაქცია	Qx იზრდება Qt მცირდება	Qx მცირდება Qt იზრდება
3. იცვლება წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის სტრუქტურა	Qx (ხორბლის გამოშვება) ზრდა მოითხოვს მეტ სამუშაო ძალას და ნაკლებ კაპიტალს, Qt შემცირება იწვევს ნაკლები სამუშაო ძალის და მეტი კაპიტალის გამოთავისუფლებას.	Qt (ქსოვილის გამოშვება) ზრდა მოითხოვს მეტ კაპიტალს და ნაკლებ სამუშაო ძალას. Qx შემცირება იწვევს მეტი სამუშაო ძალის და ნაკლები კაპიტალის გამოთავისუფლებას.
4. წარმოების ფაქტორების ფასების მოკლევადიანი რეაქცია	იზრდება შემოსავლები ხორბლის წარმოების სექტორში, ამავე დროს ხელფასის ზრდა უსწრებს საპროცენტო განაკვეთის ზრდას	იზრდება შემოსავლები ქსოვილის წარმოების სექტორში, ამავე დროს საპროცენტო განაკვეთის ზრდა უსწრებს ხელფასის ზრდას.

ცხრილიდან ჩანს, რომ მოკლევადიან პერიოდში სარგებლის მიღება დამოკიდებულია თუ რომელ სექტორში გამოიყენება წარმოების ფაქტორი, მზარდ სექტორში თუ სექტორში, სადაც წარმოების მოცულობა მცირდება. სამამულო ქვეყანაში უფრო ხელსაყრელი პირობები ყალიბდება მუშებისათვის და შესაბამისად ძნელდება კაპიტალის დაბანდება. ეს, თავის მხრივ იწვევს ხელფასის ზრდას და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. სამუშაო ძალის ნაწილს, რომელიც დასაქმებულია ქსოვილის წარმოებაში, შეუძლია ისარგებლოს ქვეყანაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდით და ქსოვილის ფაბრიკების მეპატრონეებს მოსთხოვოს ხელფასის გაზრდა. საზღვარგარეთის ქვეყანაში კი უფრო ხელსაყრელი პირობებია კაპიტალის დაბანდებისათვის, რითაც შეუძლიათ ისარგებლონ როგორც ქსოვილის მწარმოებლებს, ისე ზოგიერთ ხორბლის მწარმოებელსაც.

გრძელვადიან პერიოდში იმ წარმოების ფაქტორების მფლობელები, რომლებზეც მოთხოვნა შემცირდა დაიწყებენ გამოსავალის ძებნას. სამამულო ქვეყანაში, ქსოვლის წარმოებაში დასაქმებული სამუშაო ძალის ნაწილი გადავა ხორბლის წარმოების სექტორში, რამდენადაც ამ სექტორში უფრო მაღალი ხელფასებია. უფრო ნაკლები შანსები აქვთ ქსოვილის ფაბრიკის მეპატრონეებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი შეეცდება გადავიდეს ხორბლის წარმოებაზე. საწინააღმდეგო სურათი იქნება საზღვარგარეთის ქვეყანაში, სადაც უფრო მეტი შანსი გადავიდეს ქსოვილის მზარდ სექტორში აქვთ ხორბლის მწარმოებლებს, ვიდრე ხორბლის წარმოებაში დასაქმებულ მუშებს. თუმცა მუშების ნაწილი იპოვის სამუშაოს ქსოვილის მზარდ წარმოებაში. ნათელია, რომ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში საჭიროა წარმოების ფაქტორების მობილურობის ჩართვა.

(ცხრილი 4.1-ის გაგრძელება).

1	2	3
5. წარმოების ფაქტორების მობილურობა	მუშების დიდი ნაწილი გადადის ხორბლის წარმოებაში, მეწარმეები ნაწილობრივ. დროებით რთულდება კაპიტალის დაბანდება.	მეწარმეების დიდი ნაწილი გადადის ქსოვილის წარმოებაზე. მუშები ნაწილობრივ. დროებით იზრდება სტრუქტურული უმუშევრობა.
6. წარმოების ფაქტორების ფასების გრძელვადიანი რეაქცია	გაღრმავდა სპეციალიზაცია. საქონელზე გათანაბრდა ფასები (მსოფლიო ფასის დონეზე) და მათი ზეგავლენით ფასები წარმოების ფაქტორებზე. ორივე მხარე რჩება მოგებული. სამამულო ქვეყანაში იზრდება მუშების შემოსავალი, მცირდება კაპიტლის მფლობელთა შემოსავლები. საზღვარგარეთის ქვეყანაში იზრდება კაპიტალის მფლობელთა შემოსავლები, მცირდება მუშების ხელფასები. ზოგადად, სამამულო ქვეყანა რჩება მაღალი ხელფასის ქვეყანად, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყანაში მაღალია კაპიტალზე შემოსავლები. ამავე დროს, ადგილი აქვს წარმოების ფაქტორებზე ფასების ირიბ გამოთანაბრებას. უფრო მნიშვნელოვანი გამოთანაბრება გულისხმობს სამუშაო ძალის და კაპიტალის საერთაშორისო მობილურობას.	

ზემოთმოყვანილი ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: წარმოების ფაქტორი რაც უფრო მეტადაა სპეციალიზებული საექსპორტო საქონლის წარმოებაზე, მით უფრო მეტია წარმოების ამ ფაქტორის მფლობელის სარგებლი საგარეო ვაჭრობიდან და პირიქით, საგარეო ვაჭრობიდან მით უფრო მეტია წარმოების ფაქტორის მფლობელის ზარალი, რაც უფრო მეტადაა წარმოების აღნიშნული ფაქტორი კონცენტრირებული იმპორტთან კონკურირებადი საქონლის წარმოებაზე. ეს დასკვნა პირდაპირაა დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არჩევასთან, ქვეყანა აირჩევს ექსპორტგამაფართოებელ თუ იმპორტშემცველი ეკონომიკური ზრდის სტრატეგიას.

§ 4. საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკური ზრდა

დროთა განმავლობაში წარმოების ყველა ფაქტორის მიწოდება იზრდება. სწრაფად გროვდება კაპიტალი და კვალიფიკაცია. უფრო ნელა, მაგრამ ზრდის ტენდენციით ხასიათდება შრომითი რესურსები, რაც თავის მხრივ იწვევს საწარმოო შესაძლებლობების მრუდის ცვლილებებს. რა ზეგავლენას ახდენს ახალი საწარმოო შესაძლებლობების მრუდი საერთაშორისო ვაჭრობაზე?

საკუთრივ ნეიტრალური ზრდა. ცალკეული ფაქტორების ზრდის ტემპებს შორის განსხვავებათა მნიშვნელობაში დასარწმუნებლად, განვიხილოთ თუ როგორ წარიმართებოდა ვაჭრობა სპეციფიკურ, შეუძლებელ პირობებში. ვთქვათ, წარმოების ყველა ფაქტორი ერთნაირი ტემპით იზრდება. ამ შემთხვევაში საწარმოო შესაძლებლობების მრუდი გაფართოვდებოდა. ასევე უცვლელი დარჩება ყველა თანაფარდობა საგარეო ვაჭრობის დიაგრამებზე. ასეთ ნეიტრალურ პირობებში შენარჩუნდება ქვეყნებსშორისი ვაჭრობის იგივე სტრუქტურა, მსოფლიო ფასების იგივე პროპორციები და თანაფარდობანი, შეიცვლება მხოლოდ მოცულობა.

დაუბალანსებელი ზრდა ერთ ქვეყანაში: საგარეო ვაჭრობაზე წარმოების ფაქტორების ზრდის ზეგავლენა უპირველეს ყოვლის იმით განისაზღვრება, თუ სახელდობრ რომელი ფაქტორები იზრდება: ისინი რომლებიც ჩართულია უპირატესად იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებში, თუ ისინი, რომლებიც საექსპორტო დარგებში მონაწილეობს.

იმპორტ შემცველი ზრდა: ვთქვათ, ქვეყანაში იმპორტთან კონკურენციაში მყოფი დარგი (ქსოვილის წარმოება) შედარებით ინტენსიურად იყენებს კაპიტალს, რომელიც ამ ქვეყანაში მაღალი ტემპით იზრდება, ხოლო საექსპორტო საქონლის წარმოებასთან (ხორბლის) დაკავშირებული სხვა ფაქტორების სიდიდე უცვლელი რჩება. უფრო იაფი კაპიტალის არსებობის შემთხვევაში ფირმები შეეცდებიან წარმოების მოცულობის გაზრდას, მაგრამ წარმოების ზრდის ტემპი სხვადასხვა დარგში განსხვავებული იქნება. როგორც აღვნიშნეთ, კაპიტალი უფრო ინტენსიუ-

რად გამოიყენება ქსოვილის წარმოებაში, მაშასადამე, მისი გაიაფებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ქსოვილის მწარმოებლებისათვის, ვიდრე ფერმერებისათვის და შესაბამისად, ქსოვილის წარმოება ხორბლის მოყვანასთან შედარებით უფრო სწრაფად გაიზრდება. ქსოვილის წარმოების ზრდა ნაწილობრივ ჩაანაცვლებს მის იმპორტს, რადგან კაპიტალის გაიაფება საშუალებას იძლევა გაიზარდოს მისი წარმოება და გაყიდვა იმ დონემდე, სანამ ზღვრული ხარჯები ამ ქვეყანაში მსოფლიო ფასის დონეს მიაღწევს. თუ მოცემული ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები ზეგავლენას მოახდენდა ქსოვილის მსოფლიო ფასზე, მაშინ ეს უკანასკნელი დაიწევდა, რამდენადაც ამ ქვეყანაში ქსოვილის იმპორტზე მოთხოვნა შემცირდა.

ამრიგად, იმპორტთან კონკურირებად წარმოებაში ინტენსიურად გამოყენებული ფაქტორების ზრდა იწვევს, მსოფლიო ბაზარზე ამ საქონელზე მოთხოვნის შემცირებას და შესაძლოა იმპორტირებული საქონლის ფასისა და მსოფლიო ვაჭრობის შემცირებასაც.

ექსპორტგამაფართოებელი ზრდა: ვთქვათ, ქვეყანაში იზრდება საექსპორტო საქონლის წარმოებაში ჩართული ფაქტორის (ხორბლის მოსაყვანად ვარგისი მიწების) გამოყენება. ამასთან, სხვა ფაქტორების მიწოდება უცვლელი რჩება. დამატებითი მიწების მიწოდება გამოიწვევს არენდის ღირებულების შემცირებას. მიწის გაიაფება ფერმერებს უბიძგებს ხორბლის ნათესების გაფართოებისაკენ. ხორბლის წარმოების ზრდა გაუსწრებს ქსოვილის წარმოების ზრდას. დაიწყება დამატებით წარმოებული ხორბლის ექსპორტირება, რადგან უფრო იაფი მიწა საშუალებას იძლევა გაიზარდის ხორბლის წარმოება და გაყიდვა იმ დონემდე, ვიდრე ქვეყანაში წარმოებული ხორბლის ხარჯები კვლავ მსოფლიო ფასის დონემდე არ აიწევს. თუ ამ ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები ზემოქმედებას მოახდენს ხორბლის მსოფლიო ფასზე, მაშინ ფასი დაიწევს, რადგან გაიზრდება ხორბლის ექსპორტი. ასეთ ექსპორტგამაფართოებელ ზრდის შედეგია ვაჭრობის გაფართოება და საექსპორტო საქონლის შეფარდებითი ფასის დაწევა.

დასკვნები ეკონომიკური პოლიტიკისათვის: ამრიგად, იმპორტშემცვლელი და ექსპორტგამაფართოებელი ზრდა განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს საგარეო ვაჭრობაზე. სახელმწიფომ უნდა აირჩიოს, თუ რომელი დარგი ან წარმოების ფაქტორები წაახალისოს კაპიტალდაბანდებების გამოყოფის ან საგადასახადო განაკვეთების შემცირების გზით. ვთქვათ, წარმოების ფაქტორების ზრდას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიო ფასების თანაფარდობაზე, როგორც ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი ქვეყანა მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში იმპორტშემცვლელი ზრდა მიგვიყვანდა ამ ქვეყნის საავჭრო პირობების გაუმჯობესებამდე (მის მიერ იმპორტირებული საქონლის მსოფლიო ფასის შემცირებამდე), მაშინ როდესაც ექსპორტგამაფართოებელმა ზრდამ განაპირობა მათი გაუარესება (ექსპორტის შეფარდებითი ფასის შემცირება). საბოლოოდ, ჩვენ მივიღეთ ახალი არგუმენტი ეკონომიკური განვითარების ისეთი ტიპის დასაცავად, რომელიც საგარეო ვაჭრობას ეწინააღმდეგება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ნამდვილად შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიო ფასზე და ანგარიშს არ უწევს სხვა სახელმწიფოთა კეთილდღეობას.

რიბჩინსკის თეორია: ფაქტორების არათანაბარი ზრდას თან ახლავს სხვა შედეგებიც. ერთ-ერთი წარმოების ფაქტორის წინგამსწრები ზრდა არა მხოლოდ ზრდის იმ სექტორის ხვედრით წონას, რომელშიც იგი ინტენსიურად გამოიყენება, არამედ უცვლელი მსოფლიო ფასების შემთხვევაში მცირდება დანარჩენ სექტორებში პროდუქციის გამოშვება. ეს ხდება იმის გამო, რომ სექტორი, რომელშიც უფრო ინტენსიურად გამოიყენება წარმოების გაიაფებული ფაქტორი, მოიზიდავს სხვა სექტორებიდან წარმოების ყველა მობილურ ფაქტორს. სწორედ ამაში მდგომარეობს რიბჩინსკის თეორია: უცვლელი ფასებისა და ეკონომიკაში მხოლოდ ორი სექტორის არსებობის შემთხვევაში, წარმოების ერთ-ერთი ფაქტორის ზრდას მივყევართ ერთ-ერთი საქონლის გამოშვების შემცირებამდე.

რიბჩინსკის დასკვნა გვიჩვენებს, რომ ახალი საბადოების დამუშავებამ (მაგალითად, ნავთობის ან გაზის) შეიძლება დაა-

მუხრუჭოს სხვა დარგების განვითარება. კერძოდ, გადამამუშავებელ მრეწველობაში და პირიქით, კაპიტალის და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ზრდას, განვითარებული საგარეო ვაჭრობის მქონე სწრაფად მზარდ ეკონომიკაში შეუძლია მიგვიყვანოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემცირებამდე და განაპირობოს იმპორტზე დამოკიდებულების გაძლიერება.

"ჰოლანდიური დაავადება" და დეინდუსტრიალიზაცია: ახალი საექსპორტო რესურსების დამუშავებამ შეიძლება არაერთი პრობლემა წამოჭრას. ერთ-ერთი პრობლემა არის ე.წ. "გამაკოტრებელი ზრდა". ეს პრობლემა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტის შემდგომი გაფართოება იწვევს მსოფლიო ბაზარზე მისი ფასის დაცემას. მეორე პრობლემას ეწოდება "ჰოლანდიური დაავადება". ამ პრობლემას წააწყდა ჰოლანდია ჩრდილოეთის ზღვაში ბუნებრივი გაზის საბადოს დამუშავების პროცესში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბუნებრივი გაზის მოპოვების ზრდასთან ერთად მცირდებოდა ჰოლანდიის სამრეწველო ექსპორტი. ბუნებრივი რესურსების მდიდარ საბადოთა მოულოდნელი აღმოჩენა ნამდვილად იწვევს მოგებისა და წარმოების ეროზიას გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში. დეინდუსტრიალიზაციის მიზეზი ისეთია, როგორზეც რიბჩინსკის თეორემა მიუთითებს. ახალი სექტორი გადაქაჩავს რესურსებს მრეწველობიდან. კერძოდ, სამუშაო ძალის მოზიდვა ხდება ხელფასის განაკვეთებზე, ხოლო კაპიტალისა – პროცენტის განაკვეთზე ამამაღლებელი დაწოლით. წარმოების ხარჯებზე ასეთი დაწოლის შედეგად გადამამუშავებელ მრეწველობაში პროდუქციის გამოშვება მცირდება. შესაძლებელია ითქვას, რომ "ჰოლანდიური დაავადება" ნამდვილად იწვევს დეინდუსტრიალიზაციას. პრობლემის მკვლევარი ეკონომისტები ამ დასკვნას ძალზე რეალისტურად მიიჩნევენ. მაგრამ ასეთ პირობებშიც რჩება სამრეწველო ზრდის მხარდაჭერის შესაძლებლობები: ჯერ ერთი, თუ განსახილველი რესურსების ფასი ეცემა და ეს რესურსი ხარჯთა უმნიშვნელოვანესი ელემენტია (როგორც ნავთობი), მაშინ მოგება და წარმოების მოცულობა ეკონომიკის სამრეწველო სექტორში დაცემის ნაცვლად გაიზრდება, მეორე, ახალ ბუნებ-

რივ რესურსებზე შეიძლება გადასახადის დაწესება, ხოლო მიღებული შემოსავლის გამოყენება სამრეწველო საქონლის სტიმულირებისათვის.

წარმოების ფაქტორების "გამაკოტრებელი" ზრდა: გამაკოტრებელი ზრდის შესაძლებლობაზე ყურადღება გაამახვილა იაგდიშ ბჰაგვატიმ. გამაკოტრებელი ზრდის შესაძლებლობა დაკავშირებულია იმ უბრალო ფაქტთან, რომ ზოგიერთი (უკვე ექსპორტირებადი) საქონლის გაფართოების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ფასის დაცემა მსოფლიო ბაზარზე, თანაც დაცემის მასშტაბი შეიძლება გამანადგურებელი აღმოჩნდეს. ვთქვათ, ბრაზილიაში ყავის მარცვლის წარმოების შესაძლებლობები უფრო სწრაფად ფართოვდება, ვიდრე გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეები. ეს იწვევს ბრაზილიის მხრიდან ყავის ექსპორტის ზრდას. მაგრამ, რამდენადაც ბრაზილიის წილი ყავით მსოფლიო ვაჭრობაში ისედაც დიდია, ხოლო ყავაზე დანარჩენი ქვეყნების მოთხოვნა ფასის მიხედვით არაელასტიურია, ყავის მიწოდების ზრდა იწვევს ყავის მსოფლიო ფასის დაწევას და ბრაზილიის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, ვაჭრობის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად. საგულისხმოა ისიც, რომ ყავის წარმოებას და ექსპორტს აფართოებდნენ წვრილი, კონკურენტი ფერმერები, რომელთაგან ყველა სამართლიანად ვარაუდობდა, რომ პირადად მის მიერ წარმოების გაფართოება რაიმე გავლენას არ მოახდენდა მსოფლიო ფასზე. ინდივიდების რაციონალური ქცევა საბოლოოდ ირაციონალურობას იძლევა.

რა პირობებშია ზრდა გამაკოტრებელი? გადამწყვეტია შემდეგი სამი პირობა:

1. ეკონომიკური ზრდა დაკავშირებული უნდა იყოს საექსპორტო დარგების განვითარებასთან.
2. ამ ქვეყნიდან ექსპორტირებულ საქონელზე საგარეო მოთხოვნა უნდა იყოს ფასის მიერ არაელასტიური ისე, რომ მიწოდების გაფართოება იწვევდეს ფასის მნიშვნელოვან დაწევას.

3. განსახილველი ქვეყნის საგარეო ვაჭრობა უკვე საკმაოდ განვითარებული უნდა იყოს, რათა ვაჭრობის პირობების გაუარესების უარყოფითმა შედეგებმა გადასწონოს მიწოდების გადიდებით მიღებული მოგება.

ნაკლებად სარწმუნოა, რომ განვითარებადი ქვეყნები ასეთ პირობებში მოხვდენენ, განსაკუთრებით, თანამედროვე სარეწველო საქონლის ექსპორტით. საქმე ისაა, რომ მათი წილი მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მცირეა, თუმცა გამაკოტრებელი ზრდა, როგორც შესაძლებლობა შენარჩუნებულია, როდესაც ექსპორტის გაფართოება არა მარტო ნაკლებმომგებიანია, ვიდრე ეკონომიკური ზრდის სხვა ვარიანტები, არამედ პირდაპირ ზარალი მოაქვს საზოგადოებისათვის.

დასკვნა:

1. საერთაშორისო ვაჭრობის მოდელს, რომელშიც ასახულია მოთხოვნა და მიწოდება ეწოდება სტანდარტული მოდელი. მოთხონის და მიწოდების ურთიერთქმედება აჩვენებს, ერთი საქონლის ბაზარზე წინასავაჭრო პერიოდში შიდა წონასწორობითი ფასიდან მსოფლიო ფასზე გადასვლას.
2. საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად შეფარდებითი ფასების ცვლილების ყველა კომბინაცია შესაძლებელია გამოიხატოს ტერმინით "ვაჭრობის პირობები", რომელიც გულისხმობს ექსპორტირებული საქონლის ფასის მიმართებას იმპორტირებული საქონლის ფასთან.
3. ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება ნიშნავს ექსპორტის მსყიდველობითუნარიანობის ზრდას. ვაჭრობის პირობების გაუარესება კი იმპორტის ღირებულების ზრდას ან ექსპორტის მსყიდველობითუნარიანობის და შესაბამისად ქვეყნის კეთილდღეობის შემცირებას.
4. საერთაშორისო ვაჭრობის შემოსავლებზე ზემოქმედების ანალიზიდან ნათელია, რომ წარმოების ფაქტორი რაც უფრო მეტადაა სპეციალიზებული საექსპორტო საქონლის წარმოებაზე, მით უფრო მეტია წარმოების ამ ფაქტორის მფლობე-

ლის სარგებლი საგარეო ვაჭრობიდან და პირიქით, საგარეო ვაჭრობიდან მით უფრო მეტია წარმოების ფაქტორის მფლობელის ზარალი, რაც უფრო მეტადაა წარმოების აღნიშნული ფაქტორი კონცენტრირებული იმპორტთან კონკურირებადი საქონლის წარმოებაზე.

5. საერთაშორისო ვაჭრობის შემოსავლებზე ზემოქმედება განსხვავებულია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.
6. იმპორტშემცვლელი ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის ანალიზი ნათლად ავლენს ეკონომიკური განვითარების აღნიშნული სტრატეგიის არაეფექტიანობას.
7. ექსპორტგამაფართოებელი ეკონომიკური ზრდის სტრატეგიასთან არის დაკავშირებული "გამაკოტრებელი ზრდის" და რიბჩინსკის თეორიაზე დაფუძნებული ე.წ. "ჰოლანდიური დაავადების" ეფექტები.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა განსხვავებაა საგარეო ვაჭრობის სტანდარტულ მოდელსა და ადრე განხილულ მოდელებს შორის?
2. რას აღნიშნავს და რა ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდება საქონლის მსოფლიო ფასი?
3. რას აღნიშნავს ე.წ. "გულგრილობის მრუდები"?
4. გაანალიზეთ საგარეო ვაჭრობის ზეგავლენა წარმოების ფაქტორების მფლობელების შემოსავლებზე მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.
5. რას აღნიშნავს ვაჭრობის პირობები? ვაჭრობის პირობების გაუარესება და გაუმჯობესება?
6. დაახასიათეთ ექსპორტგამაფართოებელი და იმპორტშემცვლელი ზრდა.
7. აღწერეთ და ახსენით რა პირობებშია შესაძლებელი ე.წ. "გამაკოტრებელი ზრდა"?

თემა 5. საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ფორმები და მეთოდები

§ 1. საერთაშორისო კომერციული გარიგებების ფორმები

საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უძველეს და უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც კომერციული გარიგებების ფორმები მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას განიცდიდნენ. კომერციული გარიგებების ძირითად ფორმებს, რომლებიც ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტით ფორმდება, მიეკუთნებათ: საექსპორტო, საიმპორტო, რეექსპორტული და რეიმპორტული გარიგებები.

საექსპორტო გარიგებები — ესაა კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული წარმოების საქონლის უცხოეთში გატანასა და გაყიდვასთან. გარიგების განხორციელებისათვის ექსპორტიორმა უნდა შეისწავლოს უცხო ქვეყნის ბაზრის კონიუნქტურა, შეარჩიოს ბაზარზე მოქმედების სტრატეგია, შეისწავლოს ქვეყანა-იმპორტიორის საბაჟო რეჟიმი, განახორციელოს სარეალიზაციო საქონლის რეკლამა, დადოს ხელშეკრულება პოტენციურ მყიდველებთან და შემდგომ, კონტროლი გაუწიოს კონტრაქტის შესრულებას.

საიმპორტო გარიგებები დაკავშირებულია ქვეყანაში უცხოური საქონლის შემოტანასთან, მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ამ სახის გარიგებების განხორციელებისათვის, როგორც წესი ინიციატივას იმპორტიორი იჩენს. იგი სწავლობს მისთვის საინტერესო საქონელზე ფასს, შეარჩევს პოტენციურ ექსპორტიორებს, მართავს მათთან მოლაპარაკებებს და დებს ხელშეკრელებას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საქონლის იმპორტი და მისი ანაზღაურება.

რეექსპორტული გარიგებები — ესაა კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ადრე შემოტანილი საქონლის უცხოეთში გაყიდვასთან, მისი ყოველგვარი გადამუშავების გარეშე. გარკვეული თვალსაზრისით ასეთი ქვეყანა შუ-

ამავლის როლს ასრულებს. რეექსპორტი ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ქვეყანას იმპორტირებული საქონლის სარფიანი რეალიზაციის შესაძლებობები გაჩნია.

რეიმპორტული გარიგებები — ესაა განუხორციელებელი საექსპორტო გარიგება, როდესაც ქვეყანაში ბრუნდება უცხოურ ბაზარზე გატანილი, მაგრამ გაუყიდავი საქონელი.

საერთაშორისო საქონელბრუნვა ქვეყნისთვის ეკონომიურად მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა სწორადაა ფორმირებული. ამასთან, ექსპორტს პირველადი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მისი საშუალებით ქვეყანამ უნდა მიიღოს უცხოური ვალუტა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას გარკვეული მოცულობის იმპორტი განახორციელოს.

შრომის საერთაშორისო დანაწილებისაგან მაქსიმალურად მაღალი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად ქვეყანას მართებს ხელი შეუწყოს საექსპორტო საქონლის წარმოებას, რომელიც დახარჯული საზოგადოებრივი შრომის ყოველ ერთეულზე სავალუტო შემოსავლის მაქსიმალურად მაღალ დონეს უზრუნველყოფს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შედარებით მაღალი ეკონომიკური ეფექტი მიიღება მეცნიერებატევადი საქონლის ექსპორტისას. ასე მაგალითად: სართაშორისო საქონელბრუნვის 40% მოდის სანედლეულო საქონელზე, ხოლო 60% — მზა სამრეწველო პროდუქციაზე.

ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილ საქონელს უნდა გააჩნდეს: პირველი, სამომხმარებლო თვისება ე.ი. უნდა იყოს სასარგებლო პირადი და საზოგადოებრივი მოხმარებისათვის. მეორე, იყოს კონკურენტუნარიანი ანუ მეტად აკმაყოფილებდეს მომხმარებლის მოთხოვნას, სხვა მსგავს საქონელთან შედარებით და იყოს ფასის თვალსაზრისით უფრო ხელმისაწვდომი. საქონლის სამომხმარებლო თვისებასთან და მის კონკურენტუნარიანობას შორის არსებობს კანონზომიერი კავშირი: ნებისმიერი კონკურენტუნარიანი საქონელი ფლობს სამომხმარებლო უნარს, მაგრამ ყოველი საქონელი, რომელსაც სამომხმარებლო თვისება გააჩნია, ყოველთვის არ არის კონკურენტუნარიანი. "საქონლის

კონკურენტუნარიანობა" არის ინტეგრალური და შეფარდებითი ცნება. ინტეგრალური იმიტომ, რომ იგი შეიძლება დავყოთ ცალკეულ შემადგენლებად, ხოლო შეფარდებითი იმიტომ, რომ საქონლის კონკურენტუნარიანობა შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ სხვა საქონელთან შედარებით კონკრეტულ ბაზარზე.

ზოგადად, საქონელი შეიძლება დავყოთ პირადი მოხმარების და საწარმოო მოხმარების საგნებად.

პირადი მოხმარების საგნები იყოფ სამ ჯგუფად;

1). გრძელვადიანი მოხმარების საგნები, რომელთა შეძენაც შედარებით დროის გრძელ მონაკვეთში ხდება;

2). ყოველდღიური მოხმარების საგნები, რომელთა შეძენაც სისტემატურად, დროის მოკლე მონაკვეთზე ხდება;

3). მომსახურება — რომლის შედეგსაც გარკვეული სასარგებლო ეფექტს ვღებულობთ.

სამრეწველო დანიშნულების საქონლის კლასიფიკაცია ხდება შემდეგ კატეგორიებად: ძირითადი მოწყობილობები, დამხმარე მოწყობილობები, კვანძები და აგრეგატები, ძირითადი მასალები, დამხმარე მასალები და ნედლეული. სამრეწელო დანიშნულების საქონლის მსგავსი დაყოფა ეფუძვნება მათ მიმართ მომხმარებელთა განსხვავებულ დამოკიდებულებას.

§ 2. საქონლით შემხვედრი ვაჭრობა

შემხვედრი ვაჭრობა — საერთაშორისო ვაჭრობის უძველეს სახეს წარმოადგენს, რომელიც ადრე საქონელთა ნატურალურ გაცვლაში აისახებოდა. თანამედროვე პირობებში მან მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა. ამჟამად მას მიეკუთნება ისეთი საგარეო-სავაჭრო ოპერაციები, რომელთა განხორციელებისას ერთიან კონტრაქტში ფიქსირდება კონტრაგენტების მყარი ვალდებულებები. ამგვარად, შემხვედრი ვაჭრობის არსი მდგომარეობს იმპორტის სრულ ან ნაწილობრივ დაფარვაში შემხვედრი ექსპორტით. მის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ექსპორტიორების მიერ ისეთი საქონლის შეძენის პრაქტიკა, რო-

მელიც თავიდანვე არაა განკუთვნილი საკუთარ ქვეყანაში მოხმარებისათვის, არამედ მიზნად ისახავს მის რეალიზაციას სხვა ქვეყანაში.

ეკონომიკური თვალსაზრისით შემხვედრი ვაჭრობა მოიცავს გაცვლის ორ სტადიას: პირველზე — ადგილი აქვს საექსპორტო ოპერაციას, ხოლო მეორეზე — შემხვედრ საიმპორტო ოპერაციას. ამის შემდეგ კი დგება შიდა ბაზარზე საქონლის რეალიზაციის ან დამატებითი საექსპორტო ოპერაციის სტადია. შემხვედრი ვაჭრობის მრავალოპერაციულობა ექსპორტის ეფექტიანობას ამცირებს, რაც შეიძლება გამოწვეული იქნას საქონლის მიმოქცევის პროცესის დამატებითი დაფინანსებით — შუამავლების საშუალებით. გარდა ამისა, საექსპორტო ოპერაციის ციკლის გახანგრძლივება, ფულადი საშუალებების ბრუნვის სიჩქარეს ამცირებს, რაც ზრდის მიმოქცევის ხარჯებს. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში შემხვედრი ვაჭრობის ინტენსიობა საკმაოდ სწრაფად იზრდება. იგი მსოფლიო საქონელბრუნვის 40%-ს შეადგენს და მასში 100-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს.

ბარტერული ოპერაციები — ეს შემხვედრი ვაჭრობის შედარებით ტრადიციული ნაირსახეობაა, რომლის დროსაც საქონელი იცვლება პირდაპირ საქონელზე, ვალუტის მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში ექვივალენტურობის გარანტი შეიძლება იყოს მსოფლიო ფასები. სახელშეკრულებო ფასების გამოყენებამ შეიძლება დააკმაყოფილოს ცალკეული საწარმოების სამეურნეო ინტერესები, მაგრამ ისინი არ პასუხობენ სახელმწიფო ინტერესებს.

საბარტერო კონტრაქტი — ესაა ყიდვა-გაყიდვის ორი კონტრაქტი. ორივე კონტრაქტის პირობები აბსოლუტურად იდენტური უნდა იყოს. ამასთან, ბარტერული ოპერაციებისას ურთიერთპრეტენზიები შეიძლება დაძლეული იქნას საქონლის დამატებითი მიწოდებით ან საქონლის მიწოდების ნაწილობრივი შემცირებით. ასე მაგალითად, თუ ძირითადმა ექსპორტიორმა დააგვიანა მიწოდება, მაშინ იგი ვალდებულია ჯარიმის სახით მეორე მხარეს მიაწოდოს დამატებითი მოცულობის საქონელი. ამასთან, თუ რომელი საქონელი უნდა მიეწოდოს დაგვიანების შემთხვევაში წინასწარ უნდა იყოს კონტრაქტში მითითებული,

რადგანაც საქონლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ღირებულების, ასევე დეფიციტის თვალსაზრისით.

ბარტერულ ოპერაციებში მონაწილეობენ ბანკებიც, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ კრედიტორების როლს ასრულებენ შემხვედრი საქონლის მიწოდებიდან მის რეალიზაციამდე. ბარტერული კონტრაქტი, როგორც წესი ერთჯერადი ხასიათისაა.

შემხვედრი შესყიდვები. ხშირ შემთხვევაში, იმპორტიორების გაულენით, ექსპორტიორები საკუთარ თავზე იღებენ შემხვედრ ვალდებულებებს საქონლის შესყიდვის შესახებ, მაგრამ შემხვედრი საქონლის შესყიდვა არ ხდება ექსპორტის სრული ფასით. შემხვედრი შესყიდვების სიდიდე დამოკიდებულია ექსპორტიორებს შორის კონკურენციის დონეზე და მერყეობს საექსპორტო კონტრაქტის თანხის 5%-დან 100%-მდე. დანაკარგების დაფარვის მიზნით ექსპორტიორები ცდილობენ საექსპორტო საქონელი გაზრდილ ფასებში გაყიდონ. გეო-ს მონაცემების მიხედვით ისინი (ფასების ნაზრდი) არ აღემატებიან შემდეგ მაჩვენებლებს: 3% — როცა შემხვედრი ვალდებულებები ძირითადი საექსპორტო კონტრაქტის 10% არ აღემატება; 6% — 20%-მდე ვალდებულებისას; 10% — 30%-მდე; 20% — 50%-მდე.

მოძველებული პროდუქციის შესყიდვა. ახალი საქონლის მიწოდებისას ექსპორტიორები ცდილობენ შეისყიდონ მოძველები საქონელი, რომელთა ნარჩენი ღირებულება გაითვალისწინება ახალი საქონლის ღირებულებაში. მოძველებული საქონლის შესყიდვა, მკაცრი კონკურენციის პირობებში, პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლის გადიდების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. ეს ხერხი შედარებით ხშირად გამოიყენება მსუბუქი ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ეგმის რეალიზაციისას. კერძოდ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, დასავლეთ ევროპაში ახალი მსუბუქი ავტომობილების რეალიზაციის 70% შესაძლებელი გახდა მხოლოდ მოძველებული მოდელების შესყიდვის საშუალებით.

მოძველებული გრძელვადიანი მოხმარების საქონლის შესყიდვით, მწარმოებელი ფირმები ამ საქონლის განახლებას ახორციელებენ და შემდგომ მას იმავე ბაზარზე ყიდიან მოსახ-

ლეობის შედარებით ღარიბ ფენებზე. მსგავსი საქონლის უმეტესობის შეძენა ხდება განვითარებადი ქვეყნების მიერ.

საკომპენსაციო ოპერაციები. საკომპენსაციო გარიგებები ბარტერულისაგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება:

1). ბარტერული გარიგებისას საქონელი იცვლება საქონელზე, ხოლო საკომპენსაციო გარიგებისას საქონელთა ჩამონათვალი — საქონელთა ჩამონათვალზე;

2). ბარტერული ოპერაცია მკაცრად დაბალანსებულია, ხოლო საკომპენსაციო გარიგებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსხვავებას ურთიერთმიწოდებულ საქონელთა ჩამონათვალის ღირებულებას შორის.

საკომპენსაციო გარიგებების განხორციელების ტექნიკა შემდეგში მდგომარეობს:

— თითოეული კონტრაგენტი ამზადებს საქონელთა ორ ჩამონათვალს; პირველში ის საქონელია ჩამოთვლილი, რომლის შეძენაც მას სურს, ხოლო მეორეში — ის, რისი შეთავაზებაც მას შეუძლია;

— მოლაპარაკებებზე კონტრაგენტები განიხილავენ მისაწოდებელი საქონლის ნომენკლატურას და შედეგად ასევე შეჯერდებიან ორ ჩამონათვალზე;

— კონტრაქტი დგება საქონელთა ორ ჩამონათვალზე, რომლის მიწოდება და რომლის შესყიდვაც ხდება, ფასების მითითებით.

§ 3. მზა პროდუქციით ვაჭრობა

მზა პროდუქციის ვაჭრობა, რომელიც საბოლოო მოხმარებისათვისაა განკუთვნილი, ხორციელდება როგორც პირდაპირ, ასევე შუამავლების საშუალებით. იგი შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ:

1. მანქანები, მოწყობილობები, ხელსაწყოები;
2. სანედლეულო საქონელი;

3. სასურსათო საქონელი;

4. სამომხმარებლო საქონელი.

მანქანებითა და მოწყობილობებით ვაჭრობას თავისი სპეციფიკურობა გააჩნია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

— მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთობები, როგორც წესი საქონლის მიწოდებით არ სრულდება;

— თითქმის ყველა სახის მანქანა და მოწყობილობა, გაყიდვამდე გადის გარკვეულ პროცედურებს, რომელიც დაკავშირებულია მონტაჟთან, გამოცდასთან და სხვა სახის შემოწმებასთან, რომელიც მიმწოდებლის მიერ და მის ხარჯზე ხდება.

— მანქანა-მოწყობილობები გაყიდვის შემდეგაც საჭიროებენ გარკვეულ სერვისს, რომელიც აუცილებელია მათი გამართული მუშაობისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მანქანა-მოწყობილობები იმპორტის შესახებ კონტრაქტის დადებისას, იმპორტიორი ვალდებულია გააფორმოს ასევე ხელშეკრულებები მოწყობილობების მონტაჟზე, ადგილობრივი პერსონალის მომზადებასა და გადამზადებაზე, მოწყობილობის რემონტზე საგარანტიო და შემდგომი პერიოდისათვის.

სანედლეულო საქონელთან დაკავშირებული საექსპორტ-საიმპორტო ოპერაციების თავისებურებები შემდეგში მდგომარეობს:

— კონტრაქტები ნედლეულის მიწოდების შესხებ, როგორც წესი დრძელვადიანი ხასიათისაა, რადგანაც იმპორტიორი დაინტერესებულია იმ საწარმოო პროცესის უწყვეტობაში, რომელიც შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე მიმდინარეობს;

— კონტრაქტების გრძელვადიანი ხასიათი წარმოშობს ფასების ინდექსაციის აუცილებლობას ყოველწლიურად;

— საწარმოო პროცესის უწყვეტად წარმოებისათვის აუცილებელია ნედლეულის მიწოდების გრაფიკის მკაცრად დაცვა.

სასურსათო საქონლით ვაჭრობის თავისებურები იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელი ამ სახის საქონელს დამოუკიდებლად არ ყიდულობს. შესყიდვის პროცესი ხორციელდება საშუამავლო ფირმების დახმარებით, რომლების საჭირო საქო-

ნელს შეიძენენ საბითუმო ფასებში, რომელიც როგორც წესი სარეალიზაციო ფასებზე დაბალია.

სამომხმარებლო საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები ასევე ხორციელდება შუამავლების საშუალებით. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეალიზაციო საქონლის რეკლამასა და საცდელ გაყიდვებს.

საერთაშორისო ვაჭრობაში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული მანქანების, მოწყობილობების, სამშენებლო კონსტრუქციების, ავეჯისა და სხვ. დაშლილი სახით ექსპორტი. განვითარებადი ქვეყნები, როგორც წესი ასეთი სახის პროდუქციის იმპორტისას შელავათიან საბაჟო ტარიფებს აწესებენ, რადგანაც ეს ხელს უწყობს ეროვნული წარმოების განვითარებასა და დასაქმების დონის ამაღლებას. მომწოდებლები, მრეწველურად განვითარებული ქვეყნებიდან, სადაც მომუშავეთა ხელფასის დონე მაღალია, ასევე დაინტერესებულნი არიან იაფი სამუშაო ძალის ქვეყნებში განახორციელონ საკუთარი პროდუქციისათვის საბოლო სახის მინიჭება. ასე მაგალითად, ზღვით ტრაქტორების დაშლილი ფორმით ტრანსპორტირება 2-3-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე მზა სახით.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის ამ მეთოდის გამოყენებას თან სდევს დამატებითი პირობების შესრულება ექსპორტიორების მხრიდან. კერძოდ:

— ნაწარმი ისეთნაირად უნდა იყოს დაშლილი, რომ მისი აწყობა არ მოითხოვდეს მომუშავეთა მაღალ კვალიფიკაციას;

— ცალკეული კვანძები და აგრეგატები იმდენად ზუსტად უნდა იყოს დამზადებული, რომ არ საჭიროებდეს დამატებით დამუშავებას;

— ცალკეული ნაწილებისა და კვანძების ექსპორტირება მაქსიმალურად ეკონომიური უნდა იყოს;

— ნაწილების მიწოდების გრაფიკი უნდა უზრუნველყოფდეს ნაწარმის აწყობის უწყვეტობასა და რიტმულობას.

მსგავსი სახის ოპერაციების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხისმგებლობის განა-

წილებას მომწოდებლებსა და იმ ფირმებს შორის, რომლებიც პროდუქციის აწყობის სამუშაოებს აწარმოებენ.

§ 4. საუქციონო ვაჭრობა

საერთაშორისო სავაჭრო აუქციონები წარმოადგენენ გარკვეულ ადგილებში, სპეციალურად ორგანიზებულ, პერიოდულად მოქმედ ბაზრებს, სადაც საჯარო ვაჭრობის საშუალებით, წინასწარ დანიშნულ დროსა და ამისათვის გამოყოფილ ადგილას მომდინარეობს გასაყიდი საქონლის გასინჯვა, რომელიც მათ საკუთრებაში გადადის, ვინც მეტს გადაიხდის. აუქციონებზე ისეთი საქონლით ვაჭრობა მიმდინარეობს, რომლებიც ინდივიდუალურ თვისებებს ფლობენ. ეს გამორიცხავს ერთნაირი დასახელების საქონლის პარტიის შეცვლის შესაძლებლობას, რამეთუ მათ შეიძლება გააჩნდეთ განსხვავებული თვისებები: ხარისხი, გემო, გარეგანი სახე და სხვ. ამიტომ, აუქციონზე წარმოდგენილი საქონელი, მყიდველის მხრიდან განიცდის შემოწმებას და დეგუსტირებას. წინასწარი შემოწმება — საუქციო ვაჭრობის აუცილებელი პირობაა, რადგანაც არც აუქციონის ორგანიზატორები, არც საქონლის გამყიდველები, აუქციონის დასრულებისა და საქონლის რეალიზაციის შემდეგ არანაირ პრეტენზიებს არ ღებულობენ (გარდა დაფარული დეფექტების შემთხვევისა).

საერთაშორისო აუქციონებზე ვაჭრობის საგნებს წარმოადგენს ბეწვეული, გაურეცხავი მატყლი, ჩაი, თამბაქო, ხილი, ბოსტნეული, ყვავილები, თევზეული, ტროპიკული ჯიშის ხეები, პირუტყვი (განსაკუთრებით ცხენები). ამასთან, ბევრი მათგანისათვის აუქციონი, საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს.

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოში არსებობენ ისტორიულად ჩამოყალიბებული საუქციონერო ვაჭრობის ცენტრები, რომლებიც ამა თუ იმ საქონელზე სპეციალიზირდებიან. ასე მაგალითად, ბეწვეულით ვაჭრობა მსოფლიოს 150-ზე მეტ აუქციონზე მიმდინარეობს, მისი ძირითადი ცენტრებია: ნიუ-იორკი,

მონრეალი, ლონდონი, კოპენგაგენი, ოსლო, სტოკჰოლმი, სანკტ-პეტერბურგი.

ჩაით საუქციონერო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია ის, რომ ამ საქონლი წარმოების ადგილი ყოველთვის არ ემთხვევა — ვაჭრობის ადგილებს. კერძოდ, ინდოეთი საკუთარი წარმოების ჩაის 70% ყიდის კალკუტის აუქციონზე, ხოლო 30%-ს ლონდონში, შრი-ლანკა — 70%-ს კოლომბოში, ხოლო 30% — ლონდონში, ინდონეზია საკუთარი წარმოების ჩაის ექსპორტს ლონდონის, ჰამბურგისა და ანტვერპენის აუქციონებზე ახორციელებს და ა.შ.

თამბაქოთი საუქციონერო ვაჭრობები რეგულარულად მიმდინარეობს ნიუ-იორკში, ამსტერდამში, ბრემენში, ლუსაკში (ზამბია). ყვავილებით საუქციონერო ვაჭრობის მსოფლიო ცენტრია ამსტერდამი.

საუქციონერო ვაჭრობის ჩატარების ტექნიკა დამოკიდებულია აუქციონზე გასატანი საქონლის თვისებებზე, რაც შეეხება უშუალოდ აუქციონების ჩატარების წესს იგი თითქმის ერთნაირია ყველა შემთხვევაში. მასში ოთხ სტადიას გამოყოფენ, ესენია: აუქციონის მომზადება, საქონლის დათვალიერება, საუქციონო ვაჭრობა, საუქციონო გარიგების გაფორმება და განხორციელება.

აუქციონების მომზადება მიზნად ისახავს მასში პოტენციური მონაწილების წინასწარ გაფრთხილებას აუქციონის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ. მყიდველების მიერ გასაყიდი საქონლის დათვალიერება — ეს აუქციონის ჩატარების მეორე ეტაპია, რომელიც უშუალოდ აუქციონის ჩატარებამდე ერთი კვირით ან ათი დღით ადრე იწყება.

აუქციონზე გარიგებების განხორციელების ტექნიკა შემდეგში მდგომარეობს: აუქციონატორი აცხადებს საქონლის პარტიის ნომერს, აცხადებს მის საწყის გასაყიდ ფასს, რომელიც თითქმის საქონლის საბაზრო ფასის ტოლია. იმ შემთხვევაში, როცა არავინ გამოთქვამს სურვილს შეიძინოს წარმოდგენილი საქონელი აღნიშნულ ფასად, მაშინ აუქციონატორი დაბლა სწევს ფასს. იმ შემთხვევაში, როცა ვინმეს სურს შეიძინოს აღ-

ნიშნული საქონელი წარმოდგენილ ფასად, იწყება ვაჭრობა. საქონელს იძენს ის, ვინც მეტს გადაიხდის მასში.

აუქციონის დამამთავრებელ სტადიაზე ადგილი აქვს გარიგებების გაფორმებას და მყიდველებისათვის კონტრაქტების გადაცემას, რომელიც შეიძლება აუქციონის ჩატარების ან მომდევნო დღეს შედგეს; კონტრაქტზე ხელს აწერს მყიდველი და მისთვის მასში მოცემული პირობების შესრულება სავალდებულოა. კონტრაქტის ორიგინალი უბრუნდება აუქციონს, ხოლო ასლი გადაეცემა მყიდველს.

საქონლის მყიდველი ფირმა გარიგების ღირებულებას ბანკში გადარიცხავს ორ ნაწილად 30%-ს აუქციონის ანგარიშზე, ხოლო 70% გადაერიცხება საქონლის მიმწოდებელს. იმ შემთხვევაში, თუ 21 დღის მანძილზე გარიგება არ შედგა ანუ 70% არ გადაირიცხა მიმწოდებლის ანგარიშზე, გარიგება გაუქმებულად ითვლება, ხოლო ზარალის ანაზღაურებას ახდენს აუქციონი, მყიდველისაგან ავანსის სახით მიღებული 30%-დან.

§ 5. საერთაშორისო ვაჭრობები

თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო ვაჭრობებმა მეტად ფართო გავრცელება ჰპოვეს. ესაა შეჯიბრებითი ტიპის კომერციული ოპერაცია, რომელიც სპეციფიკური საქონლით ვაჭრობის განსაკუთრებულ მეთოდს წარმოადგენს, სადაც ლიმიტირებულია მყიდველის პირობები. საერთაშორისო ვაჭრობები უდიდეს როლს ასრულებენ იმ კონტრაგენტების მოძებნასა და შერჩევაში, რომლებიც ახორციელებენ მანქანა-მოწყობილობების მიწოდებას, ასრულებენ საპროექტო და საცდელ სამუშაოებს, გზებისა და ხიდების მშენებლობას, სხვადასხვა სახის სამრეწველო და სოციალური ობიექტების მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ბაზრობებში მონაწილეობას სულ უფრო ინტენსიურად ღებულობენ განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები.

ვაჭრობები, როგორც წესი იმართება მისი ორგანიზატორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ადგილებში, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც მის ქვეყანაში, ასევე უცხოეთში. ვაჭრობის ორგანიზაციული პროცედურა გულისხმობს სატენდერო კომისიების შექმნას, რომელთა შემადგენლობაში შედიან: ტექნიკური და კომერციული ექსპერტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სატენდერო კომიტეტის წევრები, როგორც წესი არიან ვაჭრობაში მონაწილე მხარეების წარმომადგენლები. გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობების ჩატარებისას შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ეტაპები: მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება; ვაჭრობაში მონაწილე მხარეებისათვის შესაბამისი წინადადებების გაცნობა; იმ ფირმებთან კონტრაქტების ხელმოწერა, რომლებმაც გაიმარჯვეს ვაჭრობაში.

ვაჭრობის განხორციელების პირველ ეტაპზე, იმპორტიორი გვევლინება, როგორც ორგანიზატორი და შემკვეთი. საკუთარი ქვეყნის სატენდერო კანონმდებლობის შესაბამისად იგი განსაზღვრავს სატენდერო დოკუმენტების ფორმებსა და სახეებს, რომლების ვაჭრობის მონაწილეებს წარედგინებათ.

ვაჭრობის ჩატარების სახის მიხედვით ტენდერი შეიძლება იყოს ღია და დახურული. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველ ფირმასა და ორგანიზაციას. დახურულ ტენდერში მონაწილეობის უფლება ეძლევათ მხოლოდ წინასწარ შერჩეულ და დაშვებულ ფირმებს, რომლებსაც სპეციალური მოსაწვევები ურიგდებათ.

სატენდერო პირობებში მიეთითება:

— იმ მოწყობილობის ან საქონლის დასახელება და რაოდენობა, რომელიც გასაყიდადაა გამოტანილი;

— ყველა ძირითადი ტექნიკური პირობები;

— ძირითადი კომერციული პირობები. მათ შორის მიწოდების ვადები, ფასების დაწესების წესი, მიწოდების საბაზისო პირობები, გადახდის პირობები და სხვა.

სატენდერო პირობებში ცალკეა გამოყოფილი არბიტრაჟის პირობები: ჯარიმები, გარანტიები, მოთხოვნები, მოწყობილობის ტექნიკურ მომსახურებასთან და ა. შ.

ვაჭრობის მონაწილეს ანუ ოფერენტს მოეთხოვება სატენდერო პირობების მკაცრი დაცვა. ორგანიზატორებს უფლება აქვთ არა მარტო არ განიხილონ მათი წინადადებები, ვინც არ აკმაყოფილებს სატენდერო მოთხოვნებს, არამედ საერთოდ არ დაუშვან ისინი ტენდერზე.

სატენდერო ვაჭრობის მეორე ეტაპზე მის მონაწილებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ სხვადასხვა წინადადებებს და შემოთავაზებებს. ასევე, ფასებს.

მესამე ეტაპზე ადგილი აქვს უშუალოდ ვაჭრობის ჩატარებას. ორგანიზაციის მიერ დანიშნულ დღესა და საათს, იხსნება ყველა შემოსული კონვერტი, სადაც დაფიქსირებულია საქონელთა მიწოდების პირობები, მას ეცნობიან ტენდერის მონაწილები. შემდგომ ხდება შემოსული წინადადებების შესწავლა კომერციული პირობების მიხედვით. ვაჭრობაში გამარჯებული ოფერენტების საკონკურსო შერჩევა, ტენდერის სახეებისაგან (ღია, დახურული), ყოველთვის დახურულად მიმდინარეობს.

საკონკურსო შერჩევაში უდიდეს როლს ასრულებს არა მარტო ფასი და სხვა კომერციული პირობები, არამედ ოფერენტის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხი, რომელიც ყველაზე მეტადაა მისაღები შემკვეთისათვის, სამუშაოების შესრულების წესი.

სატენდერო ვაჭრობის ბოლო ეტაპი, როგორც წესი ითვალისწინებს კონტრაქტების ხელმოწერას, რომელიც თითქმის არ განსხვავდება ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებისაგან.

დასკვნა:

1. საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უძველეს და უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც კომერციული გარიგებების ფორმები მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას განიცდიდნენ. კომერციული გარიგებების ძირითად ფორმებს, რომლებიც ყიდვა-გაყიდვის კონტრქტით ფორმდება, მიეკუთნებათ:

საექსპორტო, საიმპორტო, რეექსპორტული და რეიმპორტული გარიგებები.

2. საექსპორტო გარიგებები — ესაა კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული წარმოების საქონლის უცხოეთში გატანასა და გაყიდვასთან.
3. საიმპორტო გარიგებები დაკავშირებულია ქვეყანაში უცხოური საქონლის შემოტანასთან, მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.
4. რეექსპორტული გარიგებები — ესაა კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ადრე შემოტანილი საქონლის უცხოეთში გაყიდვასთან, მისი ყოველგვარი გადამუშავების გარეშე.
5. რეიმპორტული გარიგებები — ესაა განუხორციელებელი საექსპორტო გარიგება, როდესაც ქვეყანაში ბრუნდება უცხოურ ბაზარზე გატანილი, მაგრამ გაუყიდავი საქონელი.
6. საერთაშორისო ვაჭრობის პრქტიკაში ფართოდაა გამოყენებული: საქონლით შემხვედრი ვაჭრობა, ბარტერული ოპერაციები, მზა პროდუქციით ვაჭრობა, საუქციონო ვაჭრობა, საერთაშორისო ვაჭრობები.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რატომაა ქვეყნისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა?
2. რა ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებთ გარიგებებს შემხვედრი ვაჭრობისას?
3. რა თავისებურებებით გამოირჩევიან ბარტერული გარიგებები?
4. რაში მდგომარეობს მზა პროდუქციით, ნედლეულით, სასურსათო და სამომხმარებლო საქონლებით ვაჭრობის თავისებურებები?
5. რა სარგებელს ღებულობენ იმპორტიორები და ექსპორტიორები საქონლის დაშლილი სახით ვაჭრობისას?
6. რა სახის აუქციონები არსებობენ და როგორ ტარდება ისინი?

თემა 6. საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები: თეორია და პრაქტიკა

ეკონომიკურ ლიტერატურაში საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: 1) რეგულირების სატარიფო მეთოდები და 2) ადმინისტრაციული მეთოდები. მათ სხვანაირად საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვას უწოდებენ. სატარიფო რეგულირების მეთოდებს მიეკუთვნება საბაჟო ტარიფები და აქციზი, ხოლო არასატარიფო შეზღუდვის სახეებია საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლია, ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რთული სავალუტო კონტროლი და ა. შ. ზოგადად, საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის 50-მდე სხვადასხვა საშუალება არსებობს, რომელთა შორის ზოგიერთი შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფოს კანონიერ მარეგულირებელ ფუნქციებს, მაშინ როცა ბევრი მათგანი მიმართულია საგარეო ვაჭრობის აშკარა დისკრიმინაციისკენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არასატარიფო ბარიერების მნიშვნელობა გაიზარდა. XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში ბევრი ქვეყანა იყენებდა მათ საერთაშორისო გარიგებათა მიხედვით გადახდაზე მკაცრი კონტროლის შენარჩუნების მიზნით ომის შემდგომი ეკონომიკის აღდგენის ან საერთო ეკონომიკური ჩამორჩენილობის მდგომარეობიდან გამოსვლის პროცესში. 50-იანი წლებიდან დაწყებული, მრავალმხრივ მოლაპარაკებათა შედეგად მოხერხდა ტარიფების დონეთა მნიშვნელოვანი დაწევა, მაგრამ არასატარიფო ბარიერები თითქმის ხელუხლებელი დარჩა. 1967 წელს, კენედის რაუნდის დასრულებისას საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომი გაფართოების გზაზე მთავარი წინააღმდეგობად არასატარიფო ბარიერები იქცა.

ზოგიერთი ბარიერის მიზანია იმპორტის საერთო შეზღუდვა. სხვები მიმართულია გარკვეული ქვეყნების სავაჭრო დისკრიმინაციისკენ სხვა სახელმწიფოებიდან იმპორტის წახალისების გზით, ზოგიერთი ზღუდავს ექსპორტს ან მის სუბსიდირებას ახდენს.

§ 1. საიმპორტო ტარიფები

საიმპორტო ტარიფები წარმოადგენს იმპორტის შეზღუდვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. საიმპორტო ტარიფი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა და იგი იმ საქონლიდან ამოიღება, რომელიც სახელმწიფო საზღვარს გადმოკვეთს. ჩვეულებრივ ორი სახის საიმპორტო ტარიფი არსებობს: სპეციფიკური და ადვალორული. სპეციფიკური ტარიფი გულისხმობს საქონლის ყოველ ფიზიკურ ერთეულზე (მაგ. ლარი ტონაზე) ფიქსირებული ფასნამატის დაწესებას. ადვალორული ტარიფი გაიანგარიშება საქონლის ღირებულების გარკვეული პროცენტის სახით.

ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაზე ტარიფის ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია თვით ქვეყნის ეკონომიკის მოცულობაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში მათ ყოფენ "დიდ" და "მცირე" ეკონომიკებად. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკების ამ სახით კლასიფიკაციისას ქვეყნის ტერიტორიის მოცულობას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება: მაგალითად, აღნიშნული ტიპოლოგიით რუსეთის ეკონომიკა წარმოადგენს "მცირე ეკონომიკას", რადგან ამ ქვეყნის მიერ იმპორტირებულ საქონელზე მოთხოვნის ცვლილება საქონლის მსოფლიო ფასზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს. ამ კრიტერიუმის მიხედვით ქვეყნების უმრავლესობა "მცირე" ეკონომიკის კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომ, განვიხილოთ "მცირე" ეკონომიკაზე ტარიფის ზეგავლენა.

ვთქვათ, ქვეყანაში გარკვეული საქონლის (მაგ: ავტომობილების) მწარმოებლების ძლიერი ზეწოლის გამო, რომლებმაც მთავრობა დაარწმუნეს იმაში, რომ ავტომობილების იმპორტის შემდგომი ზრდა გამოიწვევს ამ საქონლის ეროვნული მწარმოებლების გაკოტრებას, უმუშევრობის ზრდას და ემუქრება ეროვნულ უსაფრთხოებას, მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას საქონლის იმპორტზე ტარიფის დაწესების შესახებ. რამდენადაც განსახილველი ქვეყნის ეკონომიკა მიეკუთვნება "მცირე" ეკონომიკის კატეგორიას, ტარიფი ვერ შეცვლის საქონლის (ამ შემთხვევაში ავტომობილის) მსოფლიო ფასს და მთელი მისი სიმ-

ძიმე აისახება საქონლის შიდა ფასზე, რომელიც გაიზრდება მსოფლიო ფასის დონიდან Pw ტარიფის სიდიდის ტოლი მოცულობით და გახდება Pw+t. ტარიფის შემოღებით გამოწვეულ ცვლილებებს ასახავს ნახ. 6.1.



ნახ. 6.1.

იმპორტზე ტარიფის დაწესება ნიშნავს მოგების და ზარალის სფეროების წარმოქმნას. ზარალის სფერო (b და d ფართობი) აღნიშნავს წმინდა დანაკარგებს მოხმარების და წარმოების დეფორმაციის შედეგად.

ფასის აღნიშნული ცვლილება ზეგავლენას ახდენს როგორც მომხმარებლების, ისე მწარმოებლების მოქმედებაზე. მომხმარებელთა ნაწილი, ფასის ზრდის გამო თავს შეიკავებს საქონლის ყიდვისაგან. მწარმოებელთა ნაწილსთვის კი, ფასების ზრდა იქნება საქონლის გამოშვების გაფართოების დამატებითი შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში მომხმარებლის დანაკარგი ტოლი იქნება a+b+c+d ფართობის. მწარმოებლებს საბაჟო ტარიფის შემოღება აძლევს პროდუქციის გამოშვების ზრდის შესაძლებლობა Q1-დან Q2-მდე. მწარმოებლები ღებულობენ მოგებას, რომელიც წარმოების b ფართობის ტოლი სიდიდითაა განპირობებული. ამრიგად, საბაჟო ტარიფის შემოღების შედეგად შემცირდა მოხმარება Q4-დან Q3-მდე, გამოშვება გაიზრდა Q1-დან Q2-მდე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია იმპორტის შემცირება Q2Q3 სიდიდემდე.

ტარიფი - ეს არის სახელმწიფოს შემოსავალი. ამ შემთხვევაში არე C. საბაჟო ტარიფის შემოღება იწვევს შემოსავლების გადანაწილებას. მომხმარებელთა დანაკარგიდან a+b+c+d მწარმოებელთა მიერ მიღებული მოგების შედეგად კომპენსირდება a ფართობი, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლის შედეგად კი არე c. რაც შეეხება bd ფართობს, ეს არის საბაჟო ტარიფის შემოღებით გამოწვეული წმინდა დანაკარგების ფართობი. d არის სამომხმარებლო დანაკარგების ამსახველი ფართობი, რომელიც ამცირებს მომხმარებლის კეთილდღეობას, ფასის ზრდის და მოხმარების შემცირების გამო, ხოლო b არე არის საწარმოო დანაკარგები იაფი იმპორტული წარმოების ნაკლებად ეფექტიანი სამამულო წარმოებით ჩანაცვლების გამო.

შეიძლება ითქვას, რომ ეს დანაკარგი წარმოიქმნება წარმოებისა და მოხმარების დეფორმირების შედეგად. სივრცე b და d არ კომპენსირდება არავის მოგებით და კეთილდღეობის შემცირებას აღნიშნავს. ეს დანაკარგები წარმოადგენს სახელმწიფოს გადაწყვეტილების შედეგს, რომელიც მიღებულია ეროვნული წარმოების დაცვის მიზნით ლობისტების მოთხოვნების შედეგად და ითვალისწინებს აღნიშნული საქონლის მწარმოებლების საერთაშორისო კონკურენციის არეალიდან გამოყვანას. რაც

მეტი საქონელი იქნება დაცული საბაჟო ტარიფებით და რაც უფრო მაღალია ტარიფის სიდიდე, მით უფრო მეტია გადასახადი არაეფექტიანი წარმოებისათვის, რომლის აბსურდულობა ადრე თუ გვიან ვლინდება. ამიტომ, საიმპორტო ბაჟი, როგორც ეროვნულ მწარმოებელთა ინტერესების დამცველი საშუალება, გამოყენებულ უნდა იქნას წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებთან ერთად.

განსხვავებულია სიტუაცია იქმნება "დიდი ეკონომიკის" მქონე ქვეყნის (ქვეყნის, რომლის მხრიდანაც საქონელზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვევს მსოფლიო ფასის დაწევას) მიერ საიმპორტო ბაჟის შემოღებისას. ასეთი ქვეყნის მომხმარებელთა მხრიდან იმპორტირებული საქონლის შეძენაზე უარის თქმა აიძულებს უცხოელ მეწარმეებს შეამცირონ საქონლის წარმოების მოცულობა. მცირე ეკონომიკის პირობებში წარმოების მოცულობის შემცირების სიდიდე უმნიშვნელოა და იმყოფება მუდმივი კონიუნქტურული რხევის საზღვრებში და ამ უკანასკნელით კომპენსირდება. მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია დიდი ეკონომიკის ქვეყნის მიერ ბაჟის შემოღებით, წარმოების შემცირება უფრო მნიშვნელოვანია და არ კომპენსირდება კონიუნქტურული რხევებით. ეს იწვევს ნაკლებად ეფექტიანი უცხოური მწარმოებლების ბაზრიდან განდევნას, ზოგადად მეწარმის ზღვრული დანახარჯების დონე მყარდება უფრო დაბალ დონეზე, რაც საშუალებას აძლევს ბაზარზე დარჩენილ მიმწოდებლებს შეამცირონ მსოფლიო გასაყიდი ფასები. მაშასადამე, ტარიფის სიმძიმე ნაწილობრივ დააწევება უცხოურ მომწოდებლებს და ნაწილობრივ ქვეყანა-იმპორტიორის მომხმარებლებს უფრო მაღალი ახალი შიდა ფასიდან გამომდინარე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტარიფი ნაწილობრივ ამცირებს მსოფლიო ფასს. ამ სიტუაციას ასახავს ნახ. 6.2.



ნახ. 6.2
დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნის მიერ ტარიფის შემოღების ეფექტი.

მოცემულ შემთხვევაში ვღებულობთ მომხმარებლის დანაკარგის იგივე ეფექტს (a+b+c+d), რომელიც ნაწილობრივ კომპენსირდება მწარმოებელთა მოგებით (არე -a), სახელმწიფოს შემოსავლებით (არე -c) და არაკომპენსირებადი დანაკარგების არე (b+d). მათ ემეტებათ არე e, რომელიც ასევე წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავალს, რომელიც გადახდილია უცხოელ მომწოდებელთა მიერ. ეს არის ვაჭრობის პირობების გაუმჯობესების შედეგად მიღებული სარგებელი. ამრიგად, ტარიფის და-

წესების ეფექტიანობაზე უნდა ვიმსჯელოთ დამატებით მიღებული e არეს და b+d დანაკარგების არეების შედარებით. თუ არე e აღემატება დანაკარგების მოცულობას (b+d), ტარიფი აღმოჩნდება ეფექტიანი, ხოლო თუ ის აღმოჩნდება ნაკლები, ვიდრე b+d დანაკარგები, მაშინ ტარიფი არაეფექტიანია.

ასეთ შემთხვევაში ქვეყნისათვის მაქსიმალური ეფექტი მიიღება ე.წ. ოპტიმალური ტარიფის დაწესების შემთხვევაში, რომელიც ახდენს e და b+d არეებს შორის სხვაობის მაქსიმიზაციას. ტარიფის ოპტიმალური განაკვეთი, როგორც უცხოელი მიმწოდებლების მიერ გადახდილი ფასის წილი, იმპორტის მიწოდების ელასტიურობის შებრუნებული სიდიდის ტოლია. ოპტიმალური ტარიფი წესდება ნულოვან და ამკრძალავ ტარიფებს შორის. ასევე, ტარიფი მხოლოდ მაშინ არის ოპტიმალური, თუ სხვა ქვეყნები საპასუხო ზომებს არ იყენებენ ჩვენი ექსპორტის მიმართ.

§ 2. საიმპორტო კვოტები და მათი გამოყენების მიზეზები

არასატარიფო ბარიერების სახეებს შორის ფართო გავრცელება ჰპოვა იმპორტულმა კვოტამ ანუ ქვეყანაში შემოსატანად ნებადართული საზღვარგარეთული პროდუქციის რაოდენობრივმა შეზღუდვამ. სახელმწიფო, შეზღუდული რაოდენობით გასცემს შემოტანის ნებართვის შემცველ ლიცენზიებს და კრძალავს ულიცენზიო იმპორტს. თუ ლიცენზირებული იმპორტის მოცულობა შიდა ბაზრის მოთხოვნაზე ნაკლებია, მაშინ კვოტა არა მარტო ამცირებს იმპორტის მოცულობას, არამედ იწვევს შიდა ფასების გადამეტებას მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით, რომლითაც ლიცენზიის მფლობელები საზღვარგარეთ საქონელს ყიდულობენ. ამდენად, საიმპორტო კვოტები სატარიფო შეზღუდვის ანალოგიურია.

სახელმწიფოს შეუძლია რამდენიმე მიზეზით ამჯობინოს საიმპორტო კვოტები სატარიფო შეზღუდვას, როდესაც ადგილი აქვს უცხოური კონკურენციის გამძაფრებას. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში მრავალი ქვეყნის კონკურენტული პოზიციები

გაუარესდა არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის პირობებში, რამაც აიძულა ქვეყნები, მკაცრი ზომები მიეღოთ საგადამხდელო ბალანსის გამოსასწორებლად. ამ საქმეში საიმპორტო კვოტა იმის გარანტიაა, რომ იმპორტის მოცულობა მკაცრად არის ფიქსირებული. თუ იმპორტული საქონლის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა მათ გაიაფებას გამოიწვევს, ეს მხოლოდ დაარჩარებს საიმპორტო გადახდის შემცირებას. ტარიფი კი, პირიქით ფასების შემცირების შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს იმპორტის მოცულობისა და მისი საერთო ღირებულების ზრდას, თუ იმპორტული საქონელზე შიდა მოთხოვნა ელასტიურია. ამრიგად, ტარიფის შემოღება ართულებს საგადამხდელო ბალანსის რეგულირების პროცესს.

კვოტები იმიტომაა ხელსაყრელი, რომ მთავრობას ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას მეტ ძალაუფლებასა და უფრო მოქნილი მოქმედების საშუალებას აძლევს, ტარიფის განაკვეთის გადიდება კი რეგლამენტირებულია საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებით. თუ იმპორტის მიმართ კონკურენტული დარგები დაცვის მაღალ დონეს მოითხოვს, მთავრობას, ცალკეული შემთხვევების გამოკლებით, არ შეუძლია ტარიფის დამოუკიდებლად გაზრდა. უფრო მარტივია, შედარებით მკაცრი საიმპორტო კვოტების დადგენა. სახელმწიფო ხელისუფალნი თვლიან, რომ კვოტები მათ უადვილებს მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელებას სამამულო ფირმების მიმართაც. ყველა ქვეყანაში სპეციალური ორგანო განაგებს საიმპორტო ლიცენზიების განაწილებას, რომლებიც შეიძლება ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის გამოიყენონ. თავის მხრივ დარგები, რომლებსაც დაცვა სჭირდებათ, უპირატესობას იმპორტის კვოტირებას ანიჭებენ, რადგან სპეციალური სალიცენზიო პრივილეგიების მოპოვება უფრო იოლია, ვიდრე ტარიფების შემოღება, რაც სახელმწიფო შემოსავლის წყაროა.

ამრიგად, არსებობს არაერთი მიზეზი, რომლის გამოც მთავრობები და დარგები უპირატესობას საიმპორტო კვოტებს ანიჭებენ. მაგრამ შევნიშნავთ, რომ მათგან არც ერთი არ არის დაკავშირებული მთლიანად ქვეყნის ინტერესებთან.

§ 3. იმპორტის რეგულირების სხვა მეთოდები

იმპორტის რეგულირების თანამედროვე პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვა საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ისეთმა ინსტრუმენტმა, როგორიცაა ექსპორტის ნებაყოფილებითი შეზღუდვა. ამ ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ექსპორტიორი სახელმწიფო იმპორტიორი ქვეყნისაგან გარკვეული ზეწოლის ან საპასუხო ზომების თავიდან აცილების მიზნით. ექსპორტის ნებაყოფილებითი შეზღუდვის პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული განვითარებულ ქვეყნებს შორის და ის მოიცავს ისეთ საქონლების ბაზრს, როგორიცაა ავტომობილები, ტელევიზორები, ქსოვილები და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში ექსპორტის ნებაყოფილებითი შეზღუდვა არის არა ორმხრივი, არამედ მრავალმხრივი შეთანხმება, რომელსაც "ბაზრის მოწესრიგების შესახებ" შეთანხმებასაც უწოდებენ.

სავაჭრო პროტექციონიზმის პრაქტიკა ფრიად გამომგონებლურია და ამიტომაც ვაჭრობის შეზღუდვა ხშირ შემთხვევაში ფარულ ხასიათს ატარებს. იმპორტის შეზღუდვის რაოდენობრივი მეთოდების ზემოთაღნიშნული სახეების გარდა, ფართოდ გამოიყენება იმპორტის შეზღუდვის სხვა მეთოდებიც. ამ მეთოდებიდან აღსანიშნავია:

- **ადგილობრივი კომპონენტების გამოყენების პირობა:** პროტექციონიზმის საშუალება, რომელიც აწესებს ადგილობრივი მწარმოებლების მიერ წარმოებული პროდუქციის წილს შიდა ბაზარზე გაყიდული საბოლოო საქონლის რაოდენობაში. შეიძლება წილი გამოხატული იყოს როგორც საქონლის გარკვეული რაოდენობით, ასევე ფასში ან ღირებულებაში წილით. აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით პოპულარული იყო განვითარებადი ქვეყნების დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როდესაც ეს ქვეყნები ამ მეთოდით ცდილობდნენ ეროვნული წარმოების დივერსიფიცირებას და დასაქმების ზრდას. მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტი ორგვარია: ერთის მხრივ, იზრდება ადგილობრივი მწარმოებლების მოგების სფერო, მეორეს მხრივ წარმოიქმნება საწარმოო და

მომხმარებელთა დანაკარგების სფეროები. ეს დანაკარგები არის იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების ფასი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სწრაფ გადაწყვეტაზე და რომელთა ეკონომიკური ეფექტიანობა უფრო გვიანდელ ეტაპზე გამოჩნდება. ამავე დროს, აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს მოქნილ პროტექციონისტულ ღონისძიებას, რამდენადაც იმპორტის აბსოლუტური მოცულობა არაა განსაზღვრული.

- **სახელმწიფო შესყიდვები:** პროტექციონიზმის მეთოდი, რომელიც ავალებს სახელმწიფო ორგანოებს თუ ცალკეულ ფირმებს შეიძინოს საქონელი მხოლოდ ეროვნული მწარმოებლებისაგან, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქონელი იმპორტულზე ძვირია. ეს მეთოდი გამოიყენება უპირატესად ეროვნულ თავდაცვასთან და საერთოდ ეროვნულ უსფრთოებასთან დაკავშირებულ საქონელზე. ამ მეთოდის გამოყენება ამცირებს ეროვნული მწარმოებლების მოტივაციას და მათ კონკურენტუნარიანობას.
- **შიდა გადასახადები:** მათი მიზანია იმპორტირებული საქონლის შიდა ფასის ამაღლება და შესაბამისად მათი კონკურენტუნარიანობის შემცირება. გადასახადები შესაძლებელია იყოს როგორც პირდაპირი (აქციზები, დღგ), ისე ირიბი (საპორტო, საბაჟო მოსკრებლები, მოსაკრებლები საწყობში შენახვაზე, დოკუმენტაციის გაფორმებაზე და ა. შ.) და შეიძლება შემოღებულ იქნას როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ამ გადასახადებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფისკალური დატვირთვა.
- **ანტიდემპინგური კვლევები:** მათ შედეგად ანტიტემპინგური და საკომპენსაციო ტარიფების შემოღება არის წმინდა პროტექციონისტული ღონისძიებები საკუთრივ დემპინგთან შედარებით, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეოსავაჭრო რეგულირების საშუალებას (თუ სახელმწიფო არ ფლობს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას) და არის ფირმის ჩვეულებრივი პრაქტიკა მონოპოლიური კონკურენციის პირობებში. ანტიდემპინგური კვლევები თვეობით, ზოგჯერ

წლობითაც გრძელდება და თან ახლავს იმპორტის შეჩერება ან ამკრძალავი ტარიფების დაწესება. აღნიშნული ღონისძიების გატარებას ხშირ შემთხვევაში თან ახლავს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მკვეთრი გაუარესება. ხშირად გამოიყენება სხვა ისეთ არგუმენტებთან ერთად, როგორიცაა დაუმტკიცებელი არგუმენტი საბაზრო ეკონომიკის არარსებობის შესახებ.

- **ტექნიკური ბარიერები:** მათ მიეკუთვნება მოთხოვნები ხარისხის, სერთიფიცირების და ეროვნული სტანდარტების, სანიტარული, ეკოლოგიური და სხვა ნორმების დაცვის, შეფუთვასთან და მარკირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნები კიდევ უფრო ამკაცრებენ ამ მოთხოვნებს. საქონელთა უსაფრთხოების შემოწმების ნორმალური პროცედურები ხშირ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას პროტექციონისტული ფუნქციის გასაძლიერებლად და იმპორტის შესამცირებლად.

§ 4. ექსპორტის რეგულირების ინსტრუმენტები

საგარეო-სავაჭრო რეგულირება მოიცავს როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის რეგულირებას, რაც გამოიხატება ექსპორტის შეზღუდვა-წახალისებაში. ექსპორტის შეზღუდვას უფრო ხშირად განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები მიმართავენ, მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული სპეციალიზაციის საქონლის გატანის შეზღუდვის მიზნით. ექსპორტის რეგულირების პრაქტიკას ნაკლებად მიმართავენ განვითარებული ქვეყნები. ექსპორტის რეგულირების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა და მსოფლიო ბაზრის ფასთან შედარებით ეროვნულ ბაზარზე საქონელზე უფრო დაბალი ფასის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საექსპორტო ტარიფი და საექსპორტო ქვოტა.

საექსპორტო ტარიფი: საექსპორტო ტარიფი წარმოადგენს გადასახადს ექსპორტზე. მოვაჭრე მხარეებზე საექსპორტო ტარიფის ზეგავლენა, იმპორტზე ტარიფის სარკისებრ ანარეკლს წარმოადგენს. განვიხილოთ ექსპორტის დაბეგვრის მაგალითი. ვთქვათ, ქვეყანა, რომელშიც ისტორიულად ნავთობზე უფრო დაბალი ფასები ჩამოყალიბდა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით აწესებს გადასახადს ექსპორტზე. ქვეყნის მიერ ასეთ გადაწყვეტილებას ასახავს ქვემოთმოცემული გრაფიკი.



ნახ. 6.3

მსოფლიო ფასის ტოლი შიდა ფასის შემთხვევაში ექსპორტის მოცულობა იქნებოდა Q1Q4, მაგრამ ექსპორტის დაბეგვრა, ნავთობის ნაწილის ექსპორტს, რომელიც მაღალი ზღვრული დანახარჯებით მოიპოვება, აქცევს არამომგებიანად, რაც ნავთობმომპოვებელ კომპანიებს უბიძგებს გაზარდონ შიდა ბაზარზე გაყიდვები უფრო ნაკლებ ფასად (Pშიდა) და შეამცირონ ნავთობის მოპოვება Q4Q3-მდე. შიდა მოხმარება იზრდება Q1Q2, ხოლო ექსპორტი Q1Q4 – დან მცირდება Q2Q3-მდე. ამრიგად, ექსპორტის ტარიფით დაბეგვრამ გამოიწვია მწარმოებელთა დანაკარგები (a+b+d+c ფართობი). მომხმარებლებმა ფასის დაწევის შედეგად მიიღეს a+ ფართობის ტოლი მოგება, სახელმწიფომ კი c მონაკვეთის ტოლი მოგება. მწარმოებელთა დანაკარგის ნაწილი (b+d) არავის მიერ არ კომპენსირდება და წარმოადგენს სახელმწიფოს წმინდა დანაკარგს.

როგორც იმპორტის ტარიფის შემთხვევაში, ქვეყნისათვის, რომელსაც აქვს დიდი ეკონომიკა და მსოფლიო ბაზარზე აღნიშნული საქონლის ექსპორტის მონოპოლიური მდგომარეობა, ექსპორტის დაბეგვრას შეიძლება ჰქონდეს ოპტიმალური ტარიფის ეფექტი, რომელიც გამოიწვევს ექსპორტიორი ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას იმპორტიორი ქვეყნის საზიანოდ. ამ შემთხვევაში, ეროვნული ექსპორტიორები გადაიხდიან ტარიფის ნაწილს, ხოლო დანარჩენი ნაწილი უფრო მაღალი მსოფლიო ფასიდან გამომდინარე გადახდილი იქნება იმპორტიორების მიერ. ამავე დროს, ოპტიმალური ტარიფი გულისხმობს, რომ მსოფლიო ფასის ზრდიდან გამომდინარე, ექსპორტიორთა შემოსავლებმა უნდა გადაფაროს მათი დანაკარგები, რომელიც მიღებულია წარმოების და ექსპორტის შეკვეცის შედეგად.

საექსპორტო ქვოტა: საექსპორტო ქვოტა წარმოადგენს ექსპორტის მოცულობის პირდაპირ რაოდენობრივ შეზღუდვას, მომხმარებელთა და მწარმოებლთათვის იგივე შედეგებით, როგორც საექსპორტო ტარიფის შემთხვევაში. საექსპორტო ქვოტას იყენებენ: 1) შიდა ბაზარზე საექსპორტო საქონლის დეფიციტის და ინფლაციის ტემპის დაჩქარების აღმოფხვრის, 2) სა-

ერთაშორისო შეთანხმების შედეგად მსოფლიო ბაზარზე მიწოდების და ფასების დონის სტაბილიზაციის მიზნით.

ექსპორტის შეზღუდვის მიზნით გამოიყენება არასატარიფო შეზღუდვის სხვა ინსტრუმენტებიც: ლიცენზირება, ტრანსპორტირების შესაძლებლობის შეზღუდვა (ნავთობის შემთხვევაში "მილთან" მიღწევადობა), შიდა ბაზარზე გაყიდვების მოცულობის დაწესება, როგორც ამ საქონლის ექსპორტირების წინაპირობა, ბანკებში რეზერვების გახსნა (რომელიც ექვივალენტურია საექსპორტო შემოსავლების), აქციზების დაწესება და სხვა მეთოდები.

ექსპორტის რეგულირების პოლიტიკაში ასევე ხშირად გამოიყენება ექსპორტის წახალისების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. ექსპორტის წახალისების მეთოდებს ხშირად იყენებენ განვითარებული ქვეყნები, რომელთა საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვან ნაწილს შიდადარგობრივი გაცვლა წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია მასშტაბზე ეკონომიის ეფექტის გამოყენებასთან. ეს ეფექტი განვითარებულ ქვეყნებს დამატებით ფინანსურ და სხვა რესურსებს აძლევს, რომელსაც იყენებენ ექსპორტის სუბსიდირების, რეკლამაზე დანახარჯების დაფარვის, გამოფენების მოწყობის, საქონლის ექსპორტირების დაზღვევის თუ დაკრედიტების მიზნით. ასეთ საქმიანობას ეწვიან საექსპორტო-საიმპორტო ბანკები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ატარებენ ზეეროვნულ ხასიათს. ისეთ ინდუსტრიულ ქვეყნებში, როგორიცაა ტაივანი და სამხრეთ კორეა, სადაც სამრეწველო პოლიტიკა საექსპორტო ექსპანსიითაა გაჟღენთილი, ექსპორტის ხელშეწყობისთვის სპეციალურადაა შექმნილია სამთავრობო ორგანოები სამინისტროს რანგში, რომლებსაც ფართო მაკოორდინირებელი უფლებები გააჩნიათ.

ასეთი ღონისძიებების გატარება ნიშნავს საქონლის ექსპორტირებისათვის საჭირო მწარმოებლის დანახარჯების ნაწილის გადაფარვას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანუ ექსპორტის ირიბ სუბსიდირებას. ამ შემთხვევაში ის ნაკლებად განსხვავდება

ექსპორტის პირდაპირი სუბსიდირებისაგან, რაც განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მეთოდი და აკრძალულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებით.

საექსპორტო სუბსიდია: საექსპორტო სუბსიდია - ესაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქონლის მწარმოებლისათვის დოტაციის გაცემა ან შელავათის გაწევა საქონლის წარმოების და მისი ექსპორტის გაფართოებისათვის. ამის შედეგად საქონლის მწარმოებელი შესაძლებლობას იღებს საქონელი მსოფლიო ბაზარზე გაყიდოს უფრო დაბალ ფასად, ვიდრე შიდა ბაზარზე. განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, მთავრობა მწარმოებელს საქონლის ექსპორტის გაფართოების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოუყოფს სახსრებს საქონლის მსოფლიო ფასის 15%-ის ოდენობით. საექსპორტო სუბსიდიის გამოყოფას აქვს საექსპორტო ტარიფის შემოღების საწინააღმდეგო ეფექტი. თუ საექსპორტო ტარიფის დაწესების შემთხვევაში, შიდა ბაზარზე საქონლის ფასი მცირდება, რაც თავის მხრივ ზრდის მომხმარებელთა მოგებას და პირიქით, ამცირებს მწარმოებელთა მოგებას, საექსპორტო სუბსიდიის შემთხვევაში ხდება ექსპორტის ხელოვნური გაფართოება, რაც იწვევს შიდა ბაზარზე საქონლის მიწოდების შემცირებას და შესაბამისად, შიდა ფასის (Pშიდა) ზრდას. იმპორტიორ ქვეყანაში კი პირიქით მყარდება საქონლის მსოფლიო ფასზე (Pმსოფ) დაბალი ფასი (P'). ექსპორტიორ ქვეყანაში საქონელზე ჩამოყალიბებული ფასის (Pშიდა) ზრდა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული საქონლის ექსპორტის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი სუბსიდიის მოცულობა. ამრიგად, საექსპორტო სუბსიდიის გამოყოფა წარმოადგენს საჩუქარს იმპორტიორი ქვეყნის მომხმარებლებისათვის, ექსპორტიორი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. თუმცა, შესაძლებელია საქონლის კონკურენტი-მიმწოდებლების ზეგავლენით იმპორტიორი ქვეყნის მთავრობამ დააწესოს საიმპორტო-საკომპენსაციო ტარიფი და ამის შედეგად, ზემოთხსენებული საჩუქრის ნაწილი იქცევა იმპორტიორი-ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროდ.

ამავე დროს, საჭირო განვასხვავოთ ექსპორტის სუბსიდირება და წარმოების სუბსიდირება. თანამედროვე ეტაპზე განვითარებული ქვეყნები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯავენ მნიშვნელოვან სახსრებს, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლების მხარდასაჭერად. ასეთი პოლიტიკის შედეგია სუბსიდირებული წარმოების მოცულობის ზრდა და საქონლის მსოფლიო ფასთან შედარებით შიდა ფასების გაცილებით მაღალი დონე. აღნიშნული პოლიტიკის მაგალითს წარმოადგენს იაპონიის მთავრობის მხრიდან ბრინჯის ეროვნული მწარმოებლების სუბსიდირება, აზიის სხვა ქვეყნებიდან იაფი ბრინჯის იმპორტირებისგან დაცვის მიზნით. თუმცა სუბსიდირების მნიშვნელოვანი მასშტაბები იწვევს ქვეყანაში პროდუქციის ჭარბწარმოებას (როგორც იყო ევროკავშირის ქვეყნებში XX საუკუნის 70-იან წლებში). ასეთ შემთხვევაში ხდება ჭარბი პროდუქციის გატანა საგარეო ბაზარზე, რაც თავისი არსით საქონლის ექსპორტის სუბსიდირების ეფექტის მატარებელია. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის და სხვა პროდუქციის წარმოების სუბსიდირების დასაშვები ნორმის განსაზღვრის საკითხი ვმო-ს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია.

საექსპორტო კრედიტი: საექსპორტო კრედიტი ექსპორტის ფინანსური სტიმულირების სახესხვაობაა. საექსპორტო სუბსიდიისაგან განსხვავებით საექსპორტო კრედიტის შემთხვევაში ექსპორტის სტიმულირებისათვის გამოყოფილი სახსრები დაბრუნებას ექვემდებარება. საექსპორტო კრედიტი შეიძლება გამოეყოს როგორც ეროვნულ მწარმოებლებს, ისე უშუალოდ უცხოელ იმპორტიორებს და ქვეყნებსაც კი საგარეო დახმარების თავისებური არხის სახით. კრედიტების გამოყოფით ექსპორტის სტიმულირებას ეწევიან სპეციალური სამთავრობო ორგანიზაციები. საექსპორტო კრედიტის გაცემის საშუალებით ექსპორტის სტიმულირების სახესხვაობაა მანქანა-მოწყობილობების ლიზინგი, რომელთა შესყიდვა გართულებულია ერთდროულად მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალდაბანდებების აუცილებლობის გამო.

საგარეო-სავაჭრო რეგულირების ზემოთგანხილულ ინსტრუმენტებს აქვთ ერთი საერთო ნიშანი: აღნიშნული ინსტრუმენტები ურთიერთდაკავშირებულია როგორც გამოყენების, ისე მიღებული შედეგების თვალსაზრისით, იმ შემთხვევაშიც კი როცა ეს ინსტრუმენტები ცალმხრივადაა გამოყენებული ამა თუ იმ ქვეყნის მიერ. შეუძლებელია, მაგალითად, ექსპორტის ლიმიტირება, იმპორტზე შემზღუდველი ზეგავლენის გარეშე და პირიქით, იმპორტის ყოველგვარი შეზღუდვა იწვევს საექსპორტო პოტენციალის შემცირებას. ნათელია, რომ ერთი ქვეყნის მხრიდან პროტექციონისტული მეთოდების გამოყენება იწვევს პარტნიორი ქვეყნების საპასუხო რეაქციას. აღსანიშნავია, რომ საგარეო-სავაჭრო ინსტრუმენტები განსაკუთრებულ ხასიათს იძენენ რამდენიმე ქვეყნის მხრიდან მათი შეთანხმებული გამოყენების შემთხვევაში.

§ 5. დემპინგი

სახელმწიფო სავაჭრო პოლიტიკის შემდეგი მიმართულება ძალიან ჰგავს ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკას. დემპინგი არის საერთაშორისო ბაზარზე ფასების დისკრიმინაცია, რომლის დროსაც ექსპორტიორი ფირმა თავის საქონელს ერთი რომელიმე ქვეყნის ბაზარზე უფრო იაფად ყიდის, ვიდრე სხვაგან (ჩვეულებრივ სამამულო ბაზარზე). **ყაჩაღური დემპინგი (predatory dumping)** ეწოდება დაბალი ფასების დროებით დაწესებას, მოცემული ბაზრიდან კონკურენტების გასაძევებლად და ფასების დონის აღდგენას მიზნის მიღწევის შემდეგ. **მუდმივი დემპინგი (persistent dumping)** თავისი სახელწოდების შესაბამისად განუსაზღვრელი დროით გრძელდება.

დემპინგს განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ საერთაშორისო ეკონომიკური რყევების პერიოდებში. XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში დემპინგში ხშირად ადანაშაულებდნენ როგორც გადამამუშავებელი, ისე მომპოვებელი დარგების პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობას.

XX საუკუნის 70-იან წლებში დემპინგმა კვლავ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 1975 წელს აშშ-ის სახელმწიფო ხაზინამ დაიწყო ისტორიაში უდიდესი ანტიდემპინგური გამოძიება საზღვარგარეთის რვა ქვეყნის მიმართ, რომლებიც ამერიკის ბაზარზე ჰყიდდნენ თავიანთ პროდუქციას. აშშ მათ დაემუქრა, რომ თუ ფასებს შიდა დონემდე არ გაზრდიდნენ, მაშინ ამ ქვეყნებიდან ავტომობილების იმპორტზე საბაჟო ტარიფს დააწესებდა. შეიძლება ამანაც განაპირობა, რომ ფირმებმა "სონიმ" და "ფოლკსვაგენმა" ამერიკული ბაზრისათვის პროდუქციის წარმოება უშუალოდ ამერიკის ტერიტორიაზე დაიწყეს ("სონიმ" სანდიეგოში, "ფოლკსვაგენმა" ნიუ-სტენტონში, პენსილვანიაში).

დასკვნა:

1. საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები იყოფა ორ ნაწილად: საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ანუ ადმინისტრაციული ინსტრუმენტებად. ორივე ზემოთაღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენება, როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის რეგულირების მიზნით.
2. საგარეო ვაჭრობის რეგულირება ინიცირებულია უპირატესად ეროვნული მწარმოებლების მიერ და ემსახურება მათი ინტერესების დაცვას. საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში კი მთავარ ინსტრუმენტს იმპორტის სატარიფო შეზღუდვა წარმოადგენს.
3. არასატარიფო ბარიერებს მიეკუთვნება: საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლია, სახელმწიფო მოხმარების უზრუნველყოფა მხოლოდ სამამულო წარმოების საქონლით, ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რთული სავალუტო კონტროლი და ა. შ. არასატარიფო ბარიერების სახეებს შორის ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა იმპორტულმა კვოტამ ანუ ქვეყანაში შემოსატანად ნებადართული საზღვარგარეთული პროდუქციის რაოდენობრივმა შეზღუდვამ. იმპორტის შეზღუდვის რაოდენობრივი მეთოდების გარდა ფართოდ გამოიყენება: ადგილობრივი კომპონენტების გა-

მოყენების პირობა, სახელმწიფო შესყიდვები, შიდა გადასახადები, ანტიდემპინგური კვლევები, ტექნიკური ბარიერები.

4. იმპორტის რეგულირების თანამედროვე პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვა საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ისეთმა ინსტრუმენტმა, როგორიცაა ექსპორტის ნებაყოფილებითი შეზღუდვა, რომელიც გამოიყენება იმპორტიორი-ქვეყნის ძლიერი ზეწოლის შედეგად.
5. ექსპორტის შეზღუდვას უფრო ხშირად განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები მიმართავენ, ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სპეციალიზაციის საქონლის გატანის შეზღუდვის მიზნით. ექსპორტის რეგულირების პრაქტიკას ნაკლებად მიმართავენ განვითარებული ქვეყნები.
6. ექსპორტის რეგულირების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა და მსოფლიო ბაზრის ფასთან შედარებით ეროვნულ ბაზარზე საქონლის უფრო დაბალი ფასის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საექსპორტო ტარიფი და საექსპორტო ქვოტა. გამოიყენება ასევე საექსპორტო სუბსიდია და საექსპორტო კრედიტი. საექსპორტო ტარიფი წარმოადგენს გადასახადს ექსპორტზე. საექსპორტო ქვოტა წარმოადგენს ექსპორტის მოცულობის პირდაპირ რაოდენობრივ შეზღუდვას. ექსპორტის რეგულირების პოლიტიკაში ასევე ხშირად გამოიყენება ექსპორტის წახალისების ინსტრუმენტები: საექსპორტო სუბსიდია და საექსპორტო კრედიტი. საექსპორტო სუბსიდია არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქონლის მწარმოებლისათვის დოტაციის გაცემა ან შელავათის გაწევა, საქონლის წარმოების და მისი ექსპორტის გაფრთოების მიზნით. საექსპორტო კრედიტი ექსპორტის ფინანსური სტიმულირების სახესხვაობაა. საექსპორტო სუბსიდიისაგან განსხვავებით საექსპორტო კრედიტის შემთხვევაში ექსპორტის სტიმულირებისათვის გამოყოფილი სახსრები დაბრუნებას ექვემდებარება.

7. დემპინგი არის საერთაშორისო ბაზარზე ფასების დისკრიმინაცია, რომლის დროსაც ექსპორტიორი ფირმა თავის საქონელს ერთი რომელიმე ქვეყნის ბაზარზე უფრო იაფად ყიდის, ვიდრე სხვაზე (ჩვეულებრივ სამამულო ბაზარზე). დემპინგის სახეებია ყაჩაღური დემპინგი და მუდმივი დემპინგი. ყაჩაღური დემპინგი ეწოდება დაბალი ფასების დროებით დაწესებას, მოცემული ბაზრიდან კონკურენტების გასაძევებლად და ფასების დონის აღდგენას მიზნის მიღწევის შემდეგ. მუდმივი დემპინგი თავისი სახელწოდების შესაბამისად განუსაზღვრელი დროით გრძელდება.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა მიზანს ემსახურება იმპორტის შეზღუდვა? დაახასიათეთ იმპორტის შეზღუდვის შედეგები.
2. დაახასიათეთ იმპორტის არასატარიფო ბარიერები.
3. დაახასიათეთ იმპორტის შეზღუდვის არარაოდენობრივი მეთოდები.
4. რა მიზანს ემსახურება ექსპორტის შეზღუდვა?
5. აღწერეთ საექსპორტო შეზღუდვის შედეგები მომხმარებელთათვის და მწარმოებელთათვის.
6. რა განსხვავებაა საექსპორტო სუბსიდიას და საექსპორტო კრედიტს შორის?
7. რა არის დემპინგი?

თემა 7. საერთაშორისო ვაჭრობის მრავალმხრივი რეგულირება

საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების, საერთო პრინციპების და წესების შემუშავებაში ძირითად როლს რამდენიმე სავაჭრო-ეკონომიკური ორგანიზაცია ასრულებს, მათ შორის უმთავრესია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და გაეროს კონფერენცია ვაჭრობის და განვითარების შესახებ.

§ 1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)

ვაჭრობის და ტარიფების შესახებ ძირითადი შეთანხმება (GATT) 1948 წელს დაიდო, ეს იყო ომის შემდგომი სავაჭრო მოლაპარაკებების ერთგვარი საფუძველი. WTO-ს წინამორბედი GATT არის მრავალმხრივი შეთანხმება, რომელშიც ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობის წარმართვის პრინციპები, სამართლებრივი ნორმები და წესები. იგი ხელმოწერილ იქნა 1947 წლის 30 ოქტომბერს, ჟენევაში, ხოლო ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვრიდან. მასში მონაწილეობდა 23 ქვეყანა. ეს შეთანხმება 40 წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციებს ასრულებდა და იყო ცენტრალური ორგანო, რომელიც აკონტროლებდა ხელშეკრულების შესრულებას, ატარებდა მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებებს, განიხილავდა სადაო საკითხებს, მსოფლიო ვაჭრობის უმთავრეს პრობლემებს, იღებდა გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოსაყალიბებლად. შეთანხმების უმთავრესი მიზანი გახლდათ "უფრო თავისუფალი და უფრო სამართლიანი ვაჭრობა" ("freer and fairer trade") ტარიფების შემცირების და სავაჭრო ბარიერების მოხსნის გზით. ვაჭრობის და ტარიფების შესახებ შეთანხმების (GATT) ძირითადი მიზანი იყო სავაჭრო პოლიტიკაში ერთიანი საერთაშორისო წესების შექმნა და მათ საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის მრავალმხრივი რეგულირების, ქვეყნებს შორის

ურთიერთშეთანხმებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარება.

WTO-ს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1994 წელს რედაქტირებული GATT. იგი 1995 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს. WTO/GATT-ის გარდა მოიცავს გენერალურ შეთანხმებას მომსახურებით ვაჭრობაზე (GATS), შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის შესახებ და ა. შ. მასში რამდენიმე ათეული შეთანხმება, ოქმი, დეკლარაცია, გადაწყვეტილება და მოლაპარაკება შედის, რომელთაც წევრი-ქვეყნებისთვის ერთნაირი ძალა აქვთ. WTO-ს ზოგიერთი დოკუმენტი GATT-ის მუხლებს ავსებს და სრულყოფს, თუმცა ის უმთავრესია WTO-ს სხვა დოკუმენტებს შორის. ამ დოკუმენტების უმეტესი ნაწილი WTO-ს წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულოა, ხოლო ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველი ქვეყნისთვის მხოლოდ ოთხი მათგანის შესრულებაა აუცილებელი. მათ შორის:

1. შეთანხმება სამოქალაქო საავიაციო ტექნიკით ვაჭრობის შესახებ;
2. შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
3. საერთაშორისო შეთანხმება რძის პროდუქტების შესახებ;
4. საერთაშორისო შეთანხმება საქონლის ხორცის შესახებ.

WTO-ს შტაბ-ბინა ჟენევაში (შვეიცარია) მდებარეობს. ამჟამად მასში 148 სახელმწიფოა გაწევრიანებული. 30-ზე მეტი ქვეყაანა, მათ შორის რუსეთი დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს და მოლაპარაკებებს აწარმოებს გაწევრიანების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების აღნიშნულ უნივერსალურ შეთანხმებას (GATT) არ შეუერთდნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანაც, თუმცა ამ შეთანხმების გაფორმებით შეიქმნა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის სამართლებრივი საფუძველი.

ტარიფების და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში ჩატარებული ყველა მოლაპარაკებების შედეგი სწორედ საგარეო ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია და ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების შემცირება იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმატებულმა სავაჭრო მოლაპარაკებებმა შეამცირეს სატარიფო ბარიერები და გამოიწვიეს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა.

GATT-ის მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საგარეო ეკონომიკური კავშირების პირობების ცვლილებების შესაბამისად ვითარდებოდა შეთანხმების სამართლებრივი ნორმები და ორგანიზაციული ფორმები. სწორედ ამან განაპირობა GATT-ის ასეთი ხანგრძლივვადიანი ფუნქციონირება.

შეთანხმების ამოცანაა ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციაზე საბაჟო შეზღუდვების მოხსნის, საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრმინაციის ყველა ფორმის გაუქმების, რეალური შემოსავლებისა და მოთხოვნის ამაღლების, ნედლეულის ეფექტიანი მოხმარების, წარმოების და საქონელბრუნვის ზრდის საშუალებით.

GATT-ის საქმიანობა შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:

1. ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, ურთიერთხელსაყრელი რეჟიმის პირობებში;
2. სამამულო მწარმოებელთა დაცვა საბაჟო ტარიფების, რეგულირების არასატარიფო საშუალების თანდათანობით მოხსნით;
3. საბაჟო ტარიფის განაკვეთის შემცირება მრავალმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე და პარტნიორ ქვეყანასთან შეთანხმების გარეშე მისი თვითნებური ამაღლების გამორიცხვა;
4. ვაჭრობაში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით წევრი ქვეყნებისათვის კონსულტაციების გაწევა;
5. სამართლიანი კონკურენციის საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება;
6. განვითარებადი ქვეყნებისთვის შეღავათიანი რეჟიმის დაწესება;

7. რეგიონული სავაჭრო შეთნხმებების გაფორმება;
8. საფეიქრო ნაწარმით და ტანსაცმლით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების განსაკუთრებული ნორმების შემოღება.

GATT-ის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მისი ეგიდით პერიოდულად გამართულ კონფერენციებს, რომელთა მუშაობაც მიმართული იყო ვაჭრობაში სატარიფო და არასტრიფო ბარიერების შემცირების შესახებ შეთანხმებების შემუშავებისკენ. GATT-ის არსებობის მანძილზე კონფერენციების პერიოდმა მთლიანად 25 წელი შეადგინა. 1994 წლამდე მოლაპარაკებების 8 რაუნდი გაიმართა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტოკიოს რაუნდი (1973-1979 წ) და ურუგვაის რაუნდი (1983-1994).

მოლაპარაკებების ტოკიოს რაუნდის უმთავრესი მიზანი განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის სტაბილიზაციის ხელშეწყობა იყო, რაც თავის მხრივ გულისხმობდა საკომპენსაციო ბაჟის და სახელმწიფო შესყიდვების რეგულირებას და არასატარიფო ბარიერების თანდათანობით გაუქმებას. მე- 20 საუკუნის 70-იან წლებში აშშ-მ და სხვა განვითარებულმა ქვეყნებმა შემოიღეს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) რომელიც გარკვეულ შეღავათებს ანიჭებდა განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელს.

ტოკიოს რაუნდის უმთავრესი წარმატება მდგომარეობდა განვითარებულ ქვეყნებს შორის სამრეწველო პროდუქციაზე ტარიფების შემდგომი შემცირებაში.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ტოკიოს რაუნდმა ვერ შეძლო იმ ურთულესი პრობლემების მთელი კომპლექსის მოგვარება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო და ა. შ.

1986 სექტემბერში ურუგვაის ქალაქ პუნტა დელ ესტეში დაიწყო სავაჭრო მოლაპარაკებების ე.წ. "ურუგვაის რაუნდი", რომელშიც უმთავრესი ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის პროდუქციის და მომსახურების ვაჭრობის საკითხებს.

ურუგვაის რაუნდის მიღწევაა სამრეწველო იმპორტზე ტარიფების დაწევა.

განვითარებად ქვეყნებს ადაპტაციის გრძელი პერიოდი მიეცათ. ურუგვაის რაუნდი წარმოადგენს ერთგვარ დათმობებს განვითარებადი ქვეყნებისთვის, რაც მიჩნეული იყო ამ ქვეყნების განვითარების ხელშეწყობის უმთვარეს მეჭნიზმად.

WTO-ს მთავარი მიზანია საავჭრო წესების სრულყოფის გზით საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია. საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ინვესტიციების რეგულირების სფერო'ში მთავარი ამოცანაა ვაჭრობაში საინვესტიციო ღონისძიებების შეთანხმების ფარგლებში მრავალმხრივი წესების შემუშავება.

WTO-ს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც წევრი-ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება. იგი 2 წელიწადში ერთხელ იწვევს სესიას. გენერალური საბჭო, რომელიც წელიწადში 8-10-ჯერ მართავს სხდომას, პასუხს აგებს მიმდინარე სამუშაოების შესრულებაზე. იგი კომისიის სახით იწვევს სხდომას დავების გადაჭრის და საავჭრო პოლიტიკაზე კონტროლის საკითხების გადაწყვეტისას. WTO-ს ოთხი ძირითადი შეთანხმების არსებობამ (რომელიც საკალდებულოა გაწევრიანების მსურველი ქვეყნისათვის) საჭირო გახადა გენერალურ საბჭოს დაქვემდებარებული მართვის სპეციალური ორგანოების შექმნა.

გენერალური საბჭო თავისი ფუნქციების დალეგირებას ახორციელებს სამ ძირითად ორგანოზე: საქონლით ვაჭრობის საბჭოზე, მომსახურებით ვაჭრობის საბჭოსა და ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტების საბჭოზე.

საქონლით ვაჭრობის საბჭო თვალყურს ადევნებს შეთანხმების შესრულებას, რომელიც საქონლით ვაჭრობას ეხება. მას ეხმარება რიგი სხვა კომიტეტები და ორგანოები, რომლებიც სწავლობენ სასაქონლო ბაზრებზე შელწევის საკითხებს, სანიტარულ და ვეტერინარულ ღონისძიებებს, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინვესტიციების ასპექტებს, სუბსიდიებისა და კომპენსა-

ციების, სატარიფო ბაჟების შეფასების, ვაჭრობაში არსებული ტექნიკური ბარიერების, ანტიდემპინგური პრაქტიკის, იმპორტის ლიცენზირების, საფეიქრო საქონლით ვაჭრობის და მონიტორინგის პრობლემებს.

მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს ძალისხმევა მიმართულია სატელეკომუნიკაციო საშუალებების, ფიზიკური პირების მოძრაობის, საზღვაო გადაზიდვების მომსახურების საკითხებისკენ. მასთან მჭიდროდ თანამშრომლობს საფინანსო მომსახურებით ვაჭრობის კომიტეტი და პროფესიული მომსახურების სამუშაო ჯგუფი. ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტების საბჭო განიხილავს შესაბამის საკითხებს WTO-ს ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

WTO-ს სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და მისი ოთხი მოადგილე. ისინი პასუხს აგებენ WTO-ს ორგანოების საქმიანობაზე, რომელიც მოლაპარაკებების წარმართვის, ხელშეკრულებების დადების, განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების წარდგენას უკავშირდება.

WTO-ს საქმიანობის შინაარსი და მიმართულებები განისაზღვრება მისი წევრი-ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების მიერ. WTO-ს წევრებისათვის დადგენილია კვოტა, რომლის სიდიდეს გენერალური საბჭო ადგენს. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის წესით. დავების გადაჭრისას საჭიროა ხმების 3/4, ხოლო შესწორებისას-2/3.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან WTO-ში პირველად გაწევრიანდა ლატვია, ყირგიზეთი (1998 წ.) საქართველო (1999 წ.). WTO-ში საქართველოს გაწევრიანებამ ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიო ვაჭრობაში საქართველოს სრულუფლებიან მონაწილეობას, შრომის საერთაშორისო დანაწილების და კოოპერაციის უპირატესობების რეალიზაციას, მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას.

§ 2. გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNCTAD)

გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ ჩამოყალიბდა 1964 წელს გენერალური ასამბლეის ორგანოს სახით. იგი მრავალმხრივი საავჭრო-ეკონომიკური ორგანიზაციაა, რომელშიც 192 სახელმწიფოა წარმოდგენილი. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევში (შვეიცარია).

UNCTAD-ის წევრი შეიძლება გახდეს გაეროს, გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებების და ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს წევრი ნებისმიერი სახელმწიფო. კონფერენციის ძირითადი ამოცანებია: საერათაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება; მთავრობებსა და რეგიონულ ეკონომიკურ დაჯგუფებებს შორის პოლიტიკის შეთანხმება ვაჭრობის ასპექტებზე, საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემებზე მომუშავე გაეროს სხვა დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია.

WTO-ს შექმნის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი UNCTAD -ის არსებობის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია, რომ UNCTAD საერთო სავაჭრო-პოლიტიკურ პრინციპების შემუშავებას ახორციელებს. WTO-ს ძირითადად წმინდა სავაჭრო საკითხები რჩება განსახილველი.

UNCTAD-ის სესიებზე კონსენსუსით მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნებს იურიდიულ ვალდებულებებს არ აკისრებს, ამიტომაც დოკუმენტებს ფორმალურად ნაკლებ სავალდებულო ხასიათი აქვს. ამგვარი დოკუმენტებია: საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპები; სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებების და ვალდებულებების ქარტია.

მსოფლიო საქონელბრუნვის 3/4 მზა პროდუქციით და ნახევარფაბრიკატებით ვაჭრობას მოიცავს. აქედან გამომდინარე, UNCTAD-ის მიერ შემოღებულ იქნა პრეფერენციების ერთიანი სისტემა. იგი 1971 წლიდან მოქმედებს და ითვალისწინებს

ცალმხრივად, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების შემცირებას და მოხსნას. პრეფერენციების ერთიანი სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარებადი ქვეყნებიდან გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის გაფართოებაში.

UNCTAD-ის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კონფერენცია, რომელიც იწვევს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს. სესია 4 წელიწადში ერთხელ მინისტრების დონეზე ტარდება, პოლიტიკის მთავარი მიმართულებების და სამუშაო პროგრამის განსაზღვრის მიზნით.

UNCTAD-ის აღმასრულებელი ორგანოა ვაჭრობისა და განვითარების საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის უწყვეტ მუშაობას კონფერენციის სესიებს შორის პერიოდში. UNCTAD-ი განიხილავს მაკროეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო შედეგებს, ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, სავაჭრო, სავალუტო-საფინანსო ურთიერთობების პრობლემებს, სავაჭრო პოლიტიკას, სტრუქტურულ გარდაქმნებს და ეკონომიკურ რეფორმებს. საბჭო წელიწადში ორ სესიას მართავს (გაზაფხულზე და შემოდგომით). საბჭო გენერალურ ასამბლეას ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით წარუდგენს UNCTAD-ის ანგარიშს.

UNCTAD-ს ხელმძღვანელობს გენერალური სამდივნო, რომელიც გაეროს სამდივნოში შედის. მის შემადგენლობაში საგარეო ურთიერთობების და პოლიტიკის კოორდინაციის სამსახური და ცხრა განყოფილებაა (ნედლეულის, განვითრებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის და სოციალური პროგრამების, ურთიერთდამოკიდებულების, ტრანსნაციონალური კორპორაციების და ინვესტიციების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების, მართვის დარგში მომსახურების და პროგრამების ოპერატიულ-ფუნქციონალური უზრუნველყოფის განყოფილებები). სამდივნო გაეროს სოციალურ და ეკონომიკურ საბჭოს ორ დამხმარე ორგანოს ემსახურება — საერათაშორისო ინვესტიციების და ტრანსეროვნული კორპორა-

ციების კომისიას და განვითარებაში მეცნიერებისა და ტექნიკის ასპექტების შემსწავლელ კომისიას.

§ 3. ეკონომიკური დიპლომატიის არსი და მიზნები გლობალიზაციის პირობებში

მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორთა შორის თანაფარდობის ცვლილება გეოეკონომიკური ფაქტორის სასარგებლოდ ნათლად ავლენს გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პროცესში ეკონომიკური კომპონენტის დომინირებად როლს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარეობს და მზარდი ტენდენციით ხასიათდება საგარეო პოლიტიკის ეკონომიზაციისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიზაციის პროცესი, რაც განსაკუთრებულად გამოკვეთილია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. საგარეო პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ამაღლებს დიპლომატიის ეკონომიკური კომპონენტის ანუ ეკონომიკური დიპლომატიის ადგილს და როლს ქვეყნის განვითარების პროცესში.

ცნობილი რუსი მეცნიერ-ეკონომისტის რ. ხასბულატოვის განმარტებით "ეკონომიკური დიპლომატიის ცნება აღნიშნავს, ჩვეულებრივი დიპლომატიის ტრადიციული არსენალიდან სახელმწიფოს მიერ მრავალმხრივი მეთოდების და საშუალებების გამოყენებას, მათ გაფართოებას ეკონომიკური ლონისძიებებით (სავაჭრო პოლიტიკა, დახმარების, სესხის, ტექნოლოგიის გადაცემა ან მიღება და ა.შ.), რომელიც გააფართოებს სახელმწიფოს დიპლომატიურ საქმიანობას. საუბარი მიდის როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ურთიერთობებზე გაერო-ს, საერთაშორისო კონფერენციების და ა.შ. ჩარჩოებში, როგორც ეროვნული, ისე გლობალური პრობლემების გადასაჭრელად"[10]. ნათელია, რომ

[10] Хасбулатов Р., Мировая экономика. М., Инсан., 1994. с. 721

ეკონომიკური დიპლომატია დიპლომატიის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად განმსაზღვრელ როლს თამაშობს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში.

ამრიგად, ეკონომიკური დიპლომატია არის საგარეო პოლიტიკის, ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების სრული სპექტრის სინთეზი და წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით განხორციელების უმთავრეს ინსტრუმენტს.

ეკონომიკური დიპლომატიის რეალური პოტენციალის თანმიმდევრული, მიზანმიმართული განხორციელების "კლასიკურ" ნიმუშს წარმოადგენს ევროკავშირის მიღწევები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავალუტო, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში. სწორედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით კი გერმანიის და საფრანგეთის ეკონომიკური დიპლომატიის დამსახურებაა მსოფლიოში უდიდესი, ანალოგის არმქონე ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნა[11].

ეკონომიკური დიპლომატიის შინაარსი, ფორმები და რეალიზაციის მექანიზმები ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე და მის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ეკონომიკურ დიპლომატიას გააჩნია როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნები, როგორც ცალკეული სახელმწიფოსათვის, აგრეთვე რეგიონული ინტეგრაციული ბლოკების მიხედვით. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები. სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დონეების მიხედვით ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები ზოგადად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები.

---

[11] Шемятенков В., Евро: две стороны одной монеты М., экономика, 1998

2. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის მიზანია არსებული ეკონომიკური განვითარების დონის შენარჩუნება-განვითარება და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთლიანად მსოფლიო მასშტაბით. აშშ-ის დიპლომატიაში "უკანასკნელ წლებში პირველ ადგილზე დგას საერთაშორისო ეკონომიკის ისეთი პრობლემები, როგორიცაა ნავთობი, ფინანსები, ვაჭრობა."[12]

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში ეკონომიკური დიპლომატიის მიზანია ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი ინტეგრაციის გზით. თუმცა აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გამწვავება და აქედან გამომდინარე, ეროვნული მწარმოებლების ინტერესების დაცვა და საერთოდ, ეროვნული ეკონომიკის მიზნების განხორციელების მნიშვნელოვანი გართულება წარმოაჩენს და განსაზღვრავს ეკონომიკური დიპლომატიის მზარდ აუცილებლობას მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

ეკონომიკური დიპლომატია ხორციელდება სამ დონეზე:

1. მიკრო დონე – ცალკეულ კომპანიებს შორის ურთიერთობები, ე.წ. "კორპორაციული დიპლომატია", რომლის ნათელი დადასტურებაა მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის გავრცელებული ე.წ. "სტრატეგიული ალიანსები".
2. მაკრო დონე – ცალკეულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები – ზოგადად, ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური დიპლომატია, ქვეყნებს შორის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები.

---

[12] Попов В., Современная дипломатия: теория и практика. Дипломатия - наука и искусство. М., Международные отношения. 2004. с. 449

3. მეგა .ონე - საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში ცალკე'ლი ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატია ან ქვეყნების "კ'ლექტიური ეკონომიკური დიპლომატია".

მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ბოქმედი სუბიექტების (ეროვნული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ცალკეული პირები) ზრდა აფართოებს ეკონომიკური დიპლომატიის მოქმედების არეალს. თუმცა ნათელია, რომ მრავალ განვი:არებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში ტნკ-ების არარსებობიდან გამომდინარე ეს ქვეყნები ეკონომიკურ დიპლომატიას ანხორციელებენ უპირატესად მაკრო და მეგა დონეზე.

გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში მონაწილეობის დონე განისაზღვრება ქვეყნის შესაძლებლობით აქტიურად იმოქმედოს საერთაშორისო ურთიერთობების სამივე განზომილებაში: ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები, ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ტნკ-ებთან, ტნკ-ებს შორის ურთიერთობები. გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობა განისაზღვრება არა მარტო კაპიტალის მოძრაობაში მონაწილეობით და ტექნოლოგიური განვითარების დონით, არამედ, არსებული ტექნოლოგიების გამოყენების უნარით, რაც თავის მხრივ, სამუშაო ძალის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. ეს ორი კრიტერიუმია გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის განმსაზღვრელი, ხოლო კაპიტალის მოძრაობის პროცესსა და ახალი ტექნოლოგიების შექმნაში ლიდერობა განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნის წონას გლობალურ ეკონომიკაში. ამრიგად, იკვეთება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის უმთავრესი მიზნები:

1. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში ქვეყნის მონაწილეობის ხარისხის ამაღლება. კერძოდ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციის, ეროვნული კაპიტალის საზღვარგარეთ დაბანდების, ერთობლივი საწარმოების ფორმირების და სა-

ერთოდ, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა და ა. შ.

2. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარების ხელშეწყობა.
3. საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში კოლექტიური ეკონომიკური დიპლომატიის გამოყენება ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების გათვალისწინებით.
4. რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა.

ეკონომიკურ დიპლომატიის მოკლევადიანი მიზანია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა განვითარების საგარეო ფაქტორის გამოყენების მეშვეობით, ხოლო გრძელვადიანი მიზანს ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ცალკეული ქვეყნის მხრიდან მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობის ერთერთი უმთავრესი გზაა ინტეგრაციული პროცესების გაღმავება. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური დიპლომატიის მიზნებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა, რამდენადაც გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ღია ეკონომიკის პრინციპის უალტერნატივობა გამოხატულებას პოულობს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესების გაღმავებაში. გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში აღნიშნულ პროცესში ჩართვა, წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის შემადგენელი ყველა ეროვნული ეკონომიკის საერთო მახასიათებელ ნიშანს, მიუხედავად მათი განვითარების დონეებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე რეგიონული ინტეგრაციის პროცესები ღებულობს მსოფლიო მასშტაბებს. თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე რეგიონალიზმის პროცესები შეიძლება განვიხილოთ როგორც გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესის ევოლუციური განვითარება. რეგიონალიზაცია გლობალიზაციის წინა ეტაპს წარმოადგენს.

გარადამავალი და განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნების მხრიდან რეგიონულ ინტეგრაციულ პროცებში აქტიური ჩარ-

თვის და მათი მონაწილეობით არსებული დაჯგუფებების ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის დადებითი ეფექტი იქნება: 1. მოცემული ქვეყნები აქტიურად იქნებიან ჩართული საერთაშორისო კვლავწარმოებით პროცესში. 2. ამ ქვეყნების განვითარებულ ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხი შემცირდება. 3. აღნიშნული ურთიერთობები ხელს შეუწყობს ინტეგრაციულ პროცესში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. 4. ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების თანმდევი, დადებითი პოლიტიკური, სოციალური ეფექტი საკმაოდ მაღალია. 5. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს გლობალური, კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს საწინდარია. ამ ქვეყნების ფარგლებში რეგიონული ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება ხელს შეუწყობს მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციას, მათ საექსპორტო დარგებს მჭიდროდ დააკავშირებს ეკონომიკის სხვა დარგებთან, რაც აღნიშნულ ქვეყნებს ნაკლებად დამოკიდებულს გახდის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკისაგან. ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების შედეგად მათ ეძლევათ შესაძლებლობა, კოლექტიური დიპლომატიის ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენებით უფრო აქტიურად იმოქმედონ და დაიცვან თავიანთი ინტერესები საერთაშორისო ორგანიზაციებში. რეგიონული ინტეგრაციის დადებითი შედეგი იქნება ისიც, რომ ამ ქვეყნებს ძალისხმევის კონსოლიდაციის შედეგად ეძლევათ შესაძლებლობა, მიაღწიონ მათი საქონლისათვის განვითარებული ქვეყნების ბაზრის გახსნას, რომელშიც ამ ქვეყნების საქონლისათვის შესვლა შეზღუდულია სხვადასხვა არასატარიფო ბარიერებით (ეკოლოგიური, ტექნიკური და ა.შ), ასევე მიაღწიონ განვითარებული ქვეყნების მხრიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სუბსიდირების შემცირებას, რომელიც განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების პროდუქციას არაკონკურენტუნარიანს ხდის მსოფლიო ბაზარზე.

ყოველივე აღნიშნულიდან ნათელია, რომ სწორედ რეგიონული ინტეგრაციის გარღმავებისკენ (როგორც თვით ამ ქვეყნე-

ბის ფარგლებში, ასევე განვითარებული ქვეყნების მონაწილეობით არსებული ინტეგრაციული ბლოკებთან მიერთების თვალსაზრისით) უნდა იყოს მიმართული განვითრებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის ვექტორი, რაც შეამცირებს მათი განვითარების პროცესზე გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების ხარისხს.

დასკვნა:

1. ვაჭრობის და ტარიფების შესახებ შეთანხმების (GATT) ძირითადი მიზანი იყო სავაჭრო პოლიტიკაში ერთიანი საერთაშორისო წესების შექმნა და მათ საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის მრავალმხრივი რეგულირების, ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარება.
2. ტარიფების და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში ჩატარებული ყველა მოლაპარაკებების შედეგი სწორედ საგარეო ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია და ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების შემცირება იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმატებულმა სავაჭრო მოლაპარაკებებმა შეამცირეს სატარიფო ბარიერები და გამოიწვიეს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა.
3. WTO-ს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც წევრი-ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება. იგი 2 წელიწადში ერთხელ იწვევს სესიას.
4. WTO-ს შექმნის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი UNCTAD-ის არსებობის შესახებ, თუმცა დღეს მიგებულისა აზრი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის მისი აუცილებლობის შესახებ, რადგანაც ეს ორგანიზაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კონტექსტიდან გამომდინარე, საერთო სავაჭრო-პოლიტიკურ პრინციპების შემუშავებას ახორციელებს. WTO-ს კი ძირითადად წმინდა სავაჭრო საკითხები რჩება განსახილველი.

5. ეკონომიკური დიპლომატია არის საგარეო პოლიტიკის, ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების სრული სპექტრის სინთეზი და წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით განხორციელების უმთავრეს ინსტრუმენტს.
6. გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ინსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო.
7. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების ეკონომიკურ დიპლომატიის მოკლევადიანი მიზანია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა განვითარების საგარეო ფაქტორის გამოყენების მეშვეობით, ხოლო გრძელვადიანი მიზანს ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები;
2. რა იყო ტოკიოს და ურიგვაის რაუნდის ძირითადი მიღწევები.
3. როგორია WTO- ს ორგანიზაციული სტრუქტურა;
4. თქვენი მოსაზრებით, არის თუა არა WTO ღარიბი ქვეყნების განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაცია;
5. ჩამოაყალიბეთ ვაჭრობის და განვითარების კონფერენციის საქმიანობის ძირითადი მიზნები და განასხვავეთ ის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისაგან;
6. რა არის ეკონომიკური დიპლომატია და ჩამოაყალიბეთ ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელების დონეები;
7. თქვენი აზრით, რა არის განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის ძირითადი მიზნები.

თემა 8. კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილება

§ 1. კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილების არსი

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიები, რომლებიც გვიხსნიდნენ ქვეყნებს შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის კანონზომიერებებს, მის გამომწვევ მიზეზებსა და თანამედროვე ტენდენციებს. ამასთან, იგულისხმებოდა, რომ წარმოების ფაქტორები, მიწა, შრომა, კაპიტალი, რომელთა გამოყენების საფუძველზეც აღნიშნული სახის საქონელი და მომსახურება იწარმოებოდა, ფლობდნენ მხოლოდ შიგა მობილურობას და ამდენად, არ შეიძლებოდა მათი ექსპორტირება ან იმპორტირება. მიუხედავად ამისა, რეალურ ცხოვრებაში წარმოების ფაქტორებს (მიწის გარდა), თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილდნენ ქვეყნებს შორის. კერძოდ, კაპიტალის აქტიური ინვესტირება ხდება უცხოეთში, ადამიანები მიგრირებენ ქვეყნიდან ქვეყანაში საკუთარი შრომის უნარის უფრო სარგებლიანი გამოყენების მიზნით. ამასთან, ადგილი აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების იმპორტსა და ექსპორტს. ზოგადად, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობასა და წარმოების ფაქტორების სართაშორისო გადაადგილებას შორის არსებობს მეტად მჭიდრო კავშირი, ისინი ან ავსებენ ან ჩაენაცვლებიან ერთმანეთს.

თანამედროვე ეტაპზე კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილებამ იმდენად დიდი მასშტაბები მიიღო, რომ შეიძლება ვისაუბროთ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის ფორმირებაზე. გლობალიზაციის პროცესმა ამ მოვლენას გლობალური საფინანსო ბაზრის სახე მიანიჭა, რომელშიც ჩამოყალიბდა ნათლად გამოხატული სეგმენტები — სავალუტო, საკრედიტო, საფონდო, სადაზღვევო და ა.შ. ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილების შედარებით ტიპიური საბაზრო ფორმების ანალიზით, როგორიცაა კაპიტალის გადაადგი-

ლება საერთაშორისო კრედიტისა და პირდაპირი უცხოური ინ-ვესტიციების სახით. კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილების ამ ორი ფორმისათვის საერთოა იმ სარგებლის ხასიათი, რო-მელსაც ღებულობს, კაპიტალის, როგორც ექსპორტიორი, ასევე იმპორტიორი ქვეყანა. ამასთან, აქვე შევნიშნავთ, რომ კაპიტა-ლი, როგორც წარმოების ფაქტორი, მოიცავს სახსრებს არა მარტო ფულად ფორმაში, არამედ წარმოების საშუალებებში, მას სასაქონლო ფორმაც გააჩნია, როგორიცაა ცოდნის დაგრო-ვილი მარაგი, ტექნოლოგიები, მმართველობითი გამოცდილება და სხვა. მიუხედავად ამისა, მის ყველა ფორმას შორის ფულა-დი ფორმა ყველაზე უნივერსალურია.

ამგვარად, შეიძლება შევნიშნოთ, რომ კაპიტალის საერთა-შორისო გადაადგილება — ესაა სხვადასხვა ქვეყნებს შორის კა-პიტალის ურთიერთშემხვედრი ნაკადების მოძრაობა. კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილება შეიძლება ასევე განვმარტოთ, როგორც ერთი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებიდან კაპიტა-ლური რესურსების გარკვეული ნაწილის ამოღება და მისი გა-დაცემა სხვა ქვეყნისათვის გარკვეული საფასურის საფუძველზე. კაპიტალი უცხოეთში გატანის ერთ-ერთ პირობას მოცემულ ქვეყანაში კაპიტალის სიჭარბე წამოადგენს.

კაპიტალის საერთაშორისო მობილურობაზე უდიდეს გავ-ლენას ახდენენ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყ-ნის მიმზიდველობას უცხოური კაპიტალისათვის (მოგების გადა-სახადი, საგარეო ვალის მოცულობა, ხელსაყრელი ბიზნეს გა-რემო, კორუფციის დონე და ა.შ.), ანუ ის, რასაც ზოგადად სა-ინვესტიციო კლიმატს უწოდებენ.

§ 2. ურთიერთკავშირი საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილებას შორის

საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა — საერთაშორისო სამეურნეო კავშირების ერთადერთ ფორმას არ წარმოადგენს. რეალურ სინამდვილეში მეტად ფართოდაა გავრცელებული მისი

ისეთი ფორმა, როგორიცაა წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება ანუ მარტივად, ფაქტორების გადაადგილება. ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილების პრინციპები, თავისი არსით არ განსხვავდებიან საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის პრინციპებისაგან.

მართალია, რომ ვაჭრობისა და ფაქტორების გადაადგილების ფუნდამენტალური ეკონომიკური არსი თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ პოლიტიკურ ასპექტში მათ შორის სერიოზული განსხვავებები შეიძლება იყოს. კერძოდ, ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება ამა თუ იმ ქვეყანაში გაცილებით მეტ პოლიტიკურ პრობლემას წარმოშობს, ვიდრე სართაშორისო ვაჭრობა. სწორედ ამიტომაც, მისი რეგულირება სახელმწიფოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ვაჭრობა და ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება შეიძლება ჩაენაცვლოს ერთმანეთს. ასე მაგალითად, კაპიტალტევად ქვეყანას შეუძლია განახორციელოს კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტი ან უშუალოდ კაპიტალის ექსპორტი. შრომატევადი ქვეყანას კი შრომატევადი საქონლის ექსპორტი ან მისი მოქალაქები წავიდნენ სხვა ქვეყნებში სამუშაოდ.

იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოვის დონეებს შორის განსხვავებას, წარმოიშობა საერთაშორისო ვაჭრობის ფაქტორების გადაადგილებით ჩანაცვლების აუცილებლობა. დავუშვათ, რომ ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყანა ახორციელებს კაპიტალტევადი საქონლი ექსპორტს. ამავდროულად მას კაპიტალი გააქვს იმ ქვეყნებში, სადაც საპროცენტო განაკვეთი კაპიტალით სარგებლობაზე მაღალია. საექსპორტოდ განკუთვნილი საქონლის წარმოების გადიდება ზრდის მოთხოვნას კაპიტალზე, რაც თავის მხრივ ზრდის მასზე ფასს ანუ იზრდება საპროცენტო განაკვეთი მოცემულ ქვეყანაშიც. ეს კი, ხელს უშლის მის ექსპორტს საზღვარგარეთ, რადგანაც მისი ფასი ქვეყნის შიგნით უტოლდება მსოფლიო ფასს.

იმ შემთხვევაში, როცა საერთაშორისო ვაჭრობას საფუძვლად უდევს სხვა მიზეზები, ვიდრე ესაა — განსხვავება წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის დონეების მიხედვით (შეფარდებითი უპირატესობა, მასშტაბის ეფექტი, ტექნოლოგიური განსხვავებები და ა.შ.), ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება ავსებს საქონლით და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობას.

წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება ჩაენაცვლება საერთაშორისო ვაჭრობას და ავსებს შიდადარგობრივ ვაჭრობას იმ შემთხვევაში, როცა აგილი აქვს მნიშვნელოვან განსხვავებას ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის დონეში. იმ შემთხვევაში, როცა, წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფის დონე ქვეყნების მიხედვით მკვეთრად განსხავდება და თითოეული ქვეყანა სპციალიზირდება განსხვავებული საქონლების წარმოებაზე წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება ფაქტიურად არ არსებობს და ასეთ შემთხვევაში ქვეყნებს შორის შესაძლებელია მხოლოდ დარგთაშორისი ვაჭრობა. წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილების დაწყებისთანავე ქვეყნები დაიწყებენ ერთი და იგივე დანიშნულების საქონლის წარმოებას, რაც უკვე შიდადარგობრივი ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. შედეგად, მსოფლიო წარმოების მოცულობა და მასშტაბები, წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილების საფუძველზე უფრო მეტად შეიძლება გაიზარდოს, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობით, რადგანაც არა საქონლები, არამედ წარმოების ფაქტორები გადაადგილდებიან იმ ქვეყნებში, სადაც მათი გამოყენება უფრო ეფექტიანად არის შესაძლებელი. ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მობილურობა ეკონომიკური ზრდის უფრო მძლავრი წყაროა, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობა.

წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილებასა და საერთაშორისო ვაჭრობას შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელის დროს ადგილი აქვს წარმოების საბოლოო პროდუქტების საერთაშორისო გადაადგი-

ლებას, რომლებიც წარმოების ფაქტორების გამოყენების შედეგს წარმოადგენენ, ხოლო წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილებისას — ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაედინებიან უშუალოდ ის ფაქტორები, რომელთა გამოყენებითაც ხდება საბოლო პროდუქტების წარმოება.

წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება, უმეტეს შემთხვევაში იმავე კანონებს ექვემდებრება, რასაც საერთაშორისო ვაჭრობა. ამიტომაც, სავსებით გასაგებია, რომ ისინი ანალოგიურ გავლენას ახდენენ ქვეყნის შიგნით შეძოსავლების განაწილებაზე. ცნობილია, რომ ჰეკშერ-ოლინის თეორიის თანახმად, თითოეული ქვეყანა იმ საქონლის ექსპორტს ახორციელებს, რომლის წარმოებისათვის საჭირო ფაქტორებს შეფარდებით ჭარბად ფლობს, ხოლო იმ საქონლის იმპორტს ეწევა, რომლის წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების შეფარდებით სიმცირეს განიცდის. შედარებით ჭარბი ფაქტორების მფლობელები საერთაშორისო ვაჭრობიდან სარგებელს ღებულობენ, ხოლო შეფარდებით მწირი ფაქტორების მფლობელები ზარალობენ.

§ 3. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ფორმები

კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის საერთაშორისო მოძრაობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს.

წარმოშობის წყაროების მიხედვით, კაპიტალი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე იმყოფება მოძრაობაში შეიძლება იყოს: ოფიციალური და კერძო კაპიტალი.

ოფიციალური კაპიტალი — ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, რომელიც გაედინება უცხოეთში ან შემოდის უცხოეთიდან, მთავრობის ან სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით. კაპიტალის მოძრაობის ამ კატეგორიას მიეკუთნება ყველა სახის სახელმწიფო სესხი, გრანტი, დახმარება და სხვ. რომელიც გადაეცემა ქვეყანას სხვა რომელიმე ქვეყნის მიერ სამთავრობოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე. ოფიციალურად ითვლება ასევე საერთაშორისო, სამთავრობოთაშორისო

ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული კაპიტალი (მსოფლიო სავალუტო ფონდის კრედიტები, გაერო-ს ხარჯები მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის და სხვ.). ოფიციალური კაპიტალის წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები წარმოადგენენ ანუ ესაა გადასახადის გადამხდელთა ფული. ამიტომაც, მსგავსი კაპიტალის გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობა იღებს წარმომადგენლობით ორგანოსთან (პარლამენტთან) შეთანხმების საფუძველზე.

კერძო (არასახელმწიფო) კაპიტალი — ესაა კერძო (არასახელმწიფო) ფირმების, ბანკებისა და სხვა არასახელმწიფო ორგანიზაციების სახსრები, რომლებიც გაედინებიან ქვეყნიდან ან შემოდიან ქვეყანაში უცხოეთიდან აღნიშნული ორგანიზაციების ან მათი გაერთიანებების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. ამ სახის კაპიტალის წარმოშობის წყაროს წარმოადგენს კერძო ფირმების სახსრები, საკუთარი თუ მოზიდული, რომელიც არაა დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტთან. მიუხედავად ამ ფირმების ავტონომიურობისა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობისა, მათ განკარგულებაში არსებული კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილებას გარკვეული ზომით აკონტროლებს და არეგულირებს სახელმწიფო.

გამოყენების ხასიათის მიხედვით კაპიტალი იყოფა:

— **სამეწარმეო კაპიტალი** — ესაა სახსრები, რომელიც დაბანდებაც პირდაპირ ან ირიბად ხდება წარმოებაში მოგების მიღების მიზნით. სამეწარმეო კაპიტალის სახით უმეტეს შემთხვევაში გვევლინება კერძო კაპიტალი, თუმცა სახელმწიფო ან მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციები აბანდებენ კაპიტალს უცხოეთში.

— **სასესხო კაპიტალი** — ესაა ის სახსრები, რომელიც გაიცემა სესხად პროცენტის მიღების მიზნით. საერთაშორისო მასშტაბით სასესხო კაპიტალის სახით ძირითადად ოფიციალური კაპიტალი გვევლინება. თუმცა, საერთაშორისო დაკრედიტებაში კერძო კაპიტალის მონაწილეობის მასშტაბები საკმაოდ მნიშვნელოვანია.

კაპიტალი გამოყენების ვადების მიხედვით იყოფა:

— საშუალო და გრძელვადიანი კაპიტალი — ესაა ერთი წლითა და უფრო მეტი ხნით ჩადებული კაპიტალი. ამასთან, ყველა სახის სამეწარმეო კაპიტალი პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სახით, ასევე სასესხო კაპიტალი სახელმწიფო კრედიტების სახით, როგორც წესი მიეკუთნებათ გრძელვადინ კრედიტებს.

— მოკლევადიანი კაპიტალი —ესაა ერთი წლითა და ნაკლები ვადით ჩადებული კაპიტალი. უპირატესად სასესხო კაპიტალი სავაჭრო კრედიტების ფორმით.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ანალიზისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია მის ფუნქციონალურ დაყოფას.

კაპიტალი დაბანდების მიზნების მიხედვით იყოფა:

— პირდაპირი ინვესტიციები — გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის ისეთი დაბანდებაა, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორის კონტროლს კაპიტალის ჩადების ობიექტზე.

— პორტფელური ინვესტიციები — უცხოური ფასიანი ქაღალდების შეძენა, რომელიც ინვესტორს არ აძლევს კაპიტალის ჩადების ობიექტზე კონტროლის განხორციელების უფლებას.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ფორმები, რომლებსაც ქვეყანა აღიარებს, როგორც წესი მითითებულია საინვესტიციო და საბანკო კანონმდებლობაში.

§ 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიზეზები და ეკონომიკური შედეგები

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ფორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია პირდაპირ ინვესტიციებს. ზემოთ აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, პირდაპირ ინვესტიციებს შეიძლება მივაკუთნოთ, როგორც ინვესტორის მიერ უცხოეთში კაპიტალის თავდაპირველი დაბანდება, ასევე ყოველი

შემდგომი გარიგება ინვესტორს და საწარმოს შორის. ამიტომ, პირდაპირი ინვესტიციების შემადგენლობაში შედის:

— **კომპანიების მიერ უცხოეთში საკუთარი კაპიტალის დაბანდება:** ფილიალების კაპიტალი და ასევე ქალიშვილ და ასოცირებულ კომპანიების აქციებში არსებული წილი;

— **მოგების რეინვესტირება:** პირდაპირი ინვესტორის წილი საწარმოს მოგებაში, რომელიც არ ნაწილდება დივიდენდების სახით და არ გადაერიცხება პირდაპირი ინვესტორის ანგარიშზე;

— **კაპიტალის შიდაკორპორაციული გადარიცხვები:** იგი, როგორც წესი ხორციელდება, ერთის მხრივ პირდაპირ ინვესტორსა და მეორეს მხრივ, ქალიშვილ ან ასოცირებულ კომპანიებს შორის ან ფილიალებს შორის.

მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანა როდი იზიარებს პირდაპირი ინვესტიციების მსგავს განმარტებას. ასე მაგალითად, იაპონია რეინვესტირებულ მოგებას არ განიხილავს როგორც პირდაპირ ინვესტიციას. პირდაპირი უცხოური ინვესტირების მთავარ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ამ დროს წარმოიშობა გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობები საწარმოებს შორის, ხოლო ინვესტორი ღებულობს უფლებას სერიოზული გავლენა იქონიოს იმ საწარმოში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელშიც ხდება ინვესტირება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტისა და იმპორტის მიზეზები მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ მათ შორის უმთავრესი — ესაა მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღება. მრავალრიცხოვანმა ეკონომეტრიკულმა გამოკვლევებმა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარდა, გვიჩვენეს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ექსპორტისა და იმპორტის მიზეზები მართალია განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ შორის ბევრი მსგავსებაცაა. კაპიტალის ექსპორტისა და იმპორტზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

— ტექნოლოგიური ლიდერობა;

— უპირატესობა მომუშავეთა კვალიფიკაციაში;

— უპირატესობა რეკლამაში, რომელიც საერთაშორისო მარკეტინგის სფეროში დაგროვილ გამოცდილებას ასახავს;

— მასშტაბის ეკონომია;

— კორპორაციის ზომები;

— წარმოების კონცენტრაციის ხარისხი;

თითოეული მათგანი განსხვავებულ გავლენას ახდენენ იმპორტისა და ექსპორტის მასშტაბებზე, მაგრამ ამ ფაქტორთა ერთიანობა იწვევს შემხვედრ ინვესტიციებს. ამდენად, ისევე როგორც საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გადაადგილება, კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციაც იწვევს ერთობლივი მსოფლიო წარმოების ზრდას, წარმოების ფაქტორების უფრო ეფექტიანი გადანაწილებისა და გამოყენების საფუძველზე. ამასთან, კაპიტალის ექსპორტიორ ქვეყანაში კაპიტალის მფლობელთა შემოსავალი იზრდება, ხოლო წარმოების სხვა ფაქტორების (მიწა, შრომა) მფლობელთა შემოსავალი მცირდება. მაშინ როდესაც კაპიტალის იმპორტიორ ქვეყნებში საპირისპირო ტენდენციას აქვს ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ინვესტიციები უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში და ამიტომაც ეგი ეკონომისტთა კვლევის უდიდეს ინტერესს იწვევენ, ისტორიულ რეტროსპექტივაში პირდაპირი ინვესტიციების მასშტაბების შეფასება მეტად გაძნელებულია. ეს უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია პირდაპირი ინვესტიციების სტატისტიკური აღრიცხვის არსრულყოფილად წარმართვაში, ასევე მის განსხვავებულ გაგებაში სხვადასხვა ქვეყანაში.

თანამედროვე პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფასება ხდება მიმდინარე ფასებში. ეს ნიშნავს პასივებისა და აქტივების პერიოდულ გადაფასებას შეძენის მომენტში, მის თავდაპირველ ღირებულებასთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალი სტატისტიკური მონაცემი პირდაპირი ინვესტიციების შესახებ მოიცავენ ცნობებს მის, როგორც თავდაპირველ, ასევე მიმდინარე ფასებში. ამისათვის გამოიყენება მსხვილ საფონდო ბირჟებზე საწარმოს აქციების უცხოურ ინვესტიციებთან კოტირების მეთოდი.

შედარებით სრული მონაცემები, ყოველწლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შესახებ მოცემულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის კრებსით საგადამხდელო ბალანსში, რომელიც ქვეყნდება მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ. იმის გამო, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდის მანდატში თავდაპირველად არ შედიოდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე დაკვირვება, ეს სტატისტიკა ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან.

ცხრილი 1

ყოველწლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიარდ დოლარში)[13]

		1987	1990	1993
სულ	გატანა	137.0	238.5	188.0
	შემოტანა	126.9	206.3	173.3
განვითარებული ქვეყნები	გატანა	133.9	228.3	179.9
	შემოტანა	113.2	174.6	103.2
განვითარებადი ქვეყნები	გატანა	3.1	10.2	8.1
	შემოტანა	13.7	31.7	70.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებს შორის ხორციელდება. პირდაპირ ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებენ წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნები — აშშ-ი, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი. ბოლო წლებში აშშ-ს დაახლოებით იმ მოცულობის კაპიტალი გააქვს უცხოეთში, რამდენიც შემოაქვს საზღვარგარეთიდან. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ყველაზე მსხვილ ინვესტორთა რიცხვს მიეკუთნებათ ნავთობმომპოვებელი ქვეყნები (საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები) და ახა-

[13] IMF. Balance of payments Statistics Yearbook.- 1994. – part 2. – p. 21.

ლი ინდუსტრიული ქვეყნები (სამხრეთ კორეა, სინგაპური). გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პირდაპირი ინვესტიციების გატანისა და შემოტანის მასშტაბები უმნიშვნელოა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდიდან გამომდინარე, პირდაპირი ინვესტორები ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობენ კაპიტალის, როგორც იმპორტიორ, ასევე ექსპორტიორ ქვეყნებში. ეს უპირველს ყოვლისა გამოიხატება:

1. **სახელმწიფო გარანტიებით სარგებლობაში.** მრავალი ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, ინვესტორები სარგებლობენ გარანტიებით, როგორც იმპორტიორ, ასევე ექსპორტიორ ქვეყნებში. მთავრობა, რომელიც დაინტერესებულია კაპიტალის ექსპორტის გადიდებით, ეროვნულ კორპორაციებს ანიჭებს იმის გარანტიებს, რომ ინვესტირებული კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებული იქნება სახელმწიფო დაფინანსების წყაროებიდან სტიქიური უბედურების ან სხვა გაუთვალისწინებული შემთხვევებისას. ინვესტიციების გარანტიები მოცემულია ასევე ორმხრივ და რეგიონულ ხელშეკრულებებში მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობის მიერ.

2. **უცხოური ინვესტიციების დაზღვევა.** უცხოური ინვესტიციების დაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის სპეციფიკურ ფორმას და შეიძლება განხორციელებული იქნას, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიების მიერ. მსგავსი დაზღვევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირდაპირი ინვესტორი ღებულობს გარანტიებს წინასწარ გათვალიწინებული რისკის სახეების დაზღვევაზე, რომლისთვისაც იგი ინვესტირებული კაპიტალის 1%-ს იხდის. როდესაც დადგება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია პირდაპირ ინვესტორს აუნაზღაუროს მიღებული ზარალი. ეროვნული სააგენტოები და სადაზღვევო კომპანიები აზღვევენ მხოლოდ საკუთარ პირდაპირ ინვესტორებს. ასე მაგალითად, აშშ-ში პირდაპირი ინვესტირების დაზღვევას ახორციელებს ინვესტიციების დაზღვევისა და გარანტიების სახელმწიფო კორპორაცია.

3. საინვესტიციო დავის რეგულირება. თეორიულად საინვესტიციო დავების მოგვარება შესაძლებელია კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დავის გადაწყვეტა ხორციელდება საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით.

4. ორმაგი დაბეგვრის აცილება. სახელმწიფო, რომლის კორპორაციები აქტიურად მონაწილეობენ პირდაპირ ინვესტიციების განხორციელებაში, ხშირად დებენ ხელშეკრულებებს, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული ორმაგი დაბეგვრის პრაქტიკა, რომელიც ეხება კორპორაციების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებულ მოგებას. იმ შემთხვევაში, როცა კორპორაცია რამდენიმე ქვეყანაში ახორციელებს პირდაპირ ინვესტიციებს, თითოეული ამ ქვეყნის მთავრობამ შეიძლება მოითხოვოს მიღებული მოგების დაბეგვრა, ეს რომ თავიდან იქნას აცილებული, სწორედ ამიტომაც არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე კორპორაციები კაპიტალის დაბანდების ქვეყნებში მოგების მხოლოდ იმ ნაწილზე იხდიან გადასახადს, რომელიც არ დაბეგრილა კაპიტალის ექსპორტიორ ქვეყანაში.

ამგვარად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღება კაპიტალის უფრო რაციონალური გადანაწილებითა და გამოყენებით.

§ 4. პორტფელური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პარალელურად არსებობს ასევე პორტფელური ინვესტიციები, რომლის არსსაც ისევე, როგორც პირდაპირი ინვესტიციებისას, ფასიანი ქაღალდების შეძენა წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაში ინვესტორს წარმოების მართვაში მონაწილეობის უფლება არ გააჩნია.

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა — მთელი ასწლეულების მანძილზე, უშუალოდ შიდაეკონომიკურ ფენომენს წარმოადგენ-

და. მხოლოდ უახლოესი ათწლეულების წინ გახდა ფასიანი ქაღალდები უცხოელების დაინტერესების ობიექტი. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებში საერთაშორისო პორტფელური ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა.

პორტფელური ინვესტიციები ძირითადად ემყარება კერძო სამეწარმეო კაპიტალს, თუმცა სახელმწიფოც ხშირად ახორციელებს უცხოური ფასიანი ქაღალდების შეძენას. საერთაშორისო ეკონომიკის ფარგლებში შეისწავლიან მხოლოდ საერთაშორისო პორტფელურ ინვესტიციებს. ინვესტიციები – ეროვნულ ფასიან ქაღალდებში შეისწავლება ფინანსური მენეჯმენტის თეორიაში. ამიტომ ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია, რომელიც მიღებულია საერთაშორისო ეკონომიკაში, გარკვეულწილად განსხვავდება შიდა ფინანსური მართვის თეორიებისაგან.

საერთაშორისო პორტფელური ინვესტიციების კლასიფიკაცია იმ სახით ხდება, რა სახითაც იგი პოულობს ასახვას საგადამხდელო ბალანსში. ამ თვალსაზრისით იგი იყოფა: სააქციონერო ფასიან ქაღალდებად და სავალო ფასიან ქაღალდებად. პირველი ბაზარზე მიმოიქცევა, როგორც ფასიანი დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს მისი მფლობელის ქონებრივ დამოკიდებულებას ამ დოკუმენტის გამომშვები პირის მიმართ; მეორე – ბაზარზე მიმოიქცევა, როგორც ფასიანი დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს მისი მფლობელის სავალო დამოკიდებულებას ამ დოკუმენტის გამომშვები პირის მიმართ.

საერთაშორისო პორტფელური ინვესტიციების მიზეზები მრავალ ასპექტში ემთხვევა პირდაპირ ინვესტიციებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პორტფელური ინვესტიციების შემთხვევაში, ინვესტორი არ ღებულობს იმ ფირმის მართვაში მონაწილეობის უფლებას, რომელშიც კაპიტალი ჩადო. მიუხედავად ამისა, პორტფელური ინვესტიციების ლიკვიდურობა გაცილებით უფრო მაღალია, პირდაპირ ინვესტიციებთან შედარებით. პორტფელური ინვესტიციების განხორციელების ძირითადი მიზეზიც კაპიტალის იმ ქვეყანაში განთავსება გახლავთ, სადაც რისკის დასაშვები დონის პირობებში მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღება იქნება შესაძლებელი. გარკვეული თვალსაზრისით, პორ-

ტფელური ინვესტიციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინ-ფლაციისაგან ფულის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და ასევე, სპეკულაციური შემოსავლის მიღების წყარო. ამასთან არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია არც დარგს და არც ფასიანი ქაღალდების ტიპებს, რომლებშიც ხორციელდება პორტფელური ინვესტიციები.

საერთაშორისო პორტფელური ინვესტიციების შემხვედრი ნაკადები შესაძლებლობას იძლევიან მოვახდინოთ რისკის დი-ვერსიფიკაცია. როგორც წესი, რაც უფრო მაღალია ფასიანი ქა-ღალდების შემოსავლიანობა, მით უფრო მეტია რისკი, რომე-ლიც მათ შეძენასთანაა დაკავშირებული. პორტფელური ინეს-ტიციების რისკის დონის შემცირებისათვის საუკეთესო საშუა-ლებას საერთაშორისო ინვესტირება წარმოადგენს. დავუშვათ, რომ A კომპანიის აქცია I ქვეყანაში და B კომპანიის აქცია II ქვეყანაში საშუალოდ 30%-იან მოგებას იძლევიან. ერთნაირი ალბათობის მიუხედავად A კომპანიის აქციებმა I ქვეყანაში შე-იძლება მოგვცენ შემოსავალი 20-დან 40%-მდე, ხოლო B კომ-პანიის აქციებმა II ქვეყანაში – 10-დან 50%-მდე შემოსავალი. აქედან ჩანს, რომ B კომპანიის აქციებიდან მისაღები შესაძლო შემოსავალის მერყეობის დიაპაზონი უფრო ფართოა, ვიდრე A კომპანიის აქციისა I ქვეყანაში. ამიტომ, მასში ინვესტიციების განხორციელება უფრო მაღალ რისკთან არის დაკავშირებული.

პორტფელური ინვესტიციების მოცულობა იანგარიშება მიმდინარე საბაზრო ფასებში, საერთაშორისო გარიგების მომენ-ტში. ამასთან, ფასიან ქაღალდებზე ფასების რყევა, მაშინ რო-დესაც ისინი ინვესტორთან ინახებიან, საგადასახდელო ბალან-სში არ გაითვალისწინება.

ყოველწლური პორტფელური უცხოური ინვესტიციები (მილიარდ დოლარში)[14]

		1987	1990	1993
სულ	გატანა	120.7	187.4	506.4
	შემოტანა	133.8	189.1	669.1
განვითარებული ქვეყნები	გატანა	123.4	170.1	495.3
	შემოტანა	124.9	154.6	573.1
განვითარებადი ქვეყნები	გატანა	-1.8	17.1	3.2
	შემოტანა	0.5	20..3	80.7
საერთაშორისო ორგანიზაციები	გატანა	0.9	0.2	7.9
	შემოტანა	8.4	14.2	15.3

პორტფელური უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი, ისევე როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ძირითადად ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებს შორის და ეს პროცესი მზარდი ტემპებით ხასიათდება. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, აქ პორტფელური უცხოური ინვესტიციების განხორციელების პროცესი მეტად არასტაბილურია. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები სულ უფრო აქტიურად ერევიან პირდაპირ პორტფელურ ინვესტიციების განხორციელებაში.

ამგვარად, უცხოური პორტფელური ინვესტიციები წარმოადგენენ კაპიტალის ჩადებას უცხოურ ფასიან ქაღალდებში, რომელიც ინვესტორს არ აძლევს ინვესტირების ობიექტზე რეალური კონტროლის უფლებას. ამ სახის ინვესტიციების განხორციელების მთავარი მიზეზია იმ ქვეყანასა და იმ დარგში კაპიტალის დაბანდება, სადაც და რომელშიც რისკის დასაშვები დონის პირობებში მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღებაა შე-

[14] IMF. Balance of payments Statistics Yearbook.- 1994. – part 2. – p. 68.

საძლებელი. ამასთან, უცხოური პორტფელური ინვესტიციების 90% განვითარებულ ქვეყნებს შორის ხორციელდება.

დასკვნა:

1. წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება ერთობლივი წარმოების უფრო სწრაფ ზრდას იწვევს, ვიდრე საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა. იგი ამავე დროს ხელს უწყობს იმ საქონლებზე ფასების გათანაბრებას, რომლებიც აღნიშნული ფაქტორების გამოყენებით იწარმოებიან.
2. წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება ავსებს საქონლით საერთაშორისო ვაჭრობას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი განპირობებულია არა წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფას შორის არსებული განსხვავებით, არამედ სხვა მიზეზებით.
3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს უცხო ქვეყნის საწარმოების ფასიანი ქაღალდების შეძენას იმ მასშტაბით, რომელიც უცხოელ ინვესტორს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს წარმოების მართვაში.
4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიზეზებს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით კაპიტალის დაბანდება უცხოური ქვეყნის ეკონომიკის იმ დარგებში, სადაც იგი მაქსიმალურ მოგებას იძლევა. ასევე, რისკის დივერსიფიკაცია.
5. უცხოური პორტფელური ინვესტიციები წარმოადგენს კაპიტალის ჩადებას სხვა ქვეყნის ფასიან ქაღალდებში. ამ შემთხვევაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან შედარებით, ინვესტორი არ ფლობს ინვესტირების ობიექტზე რეალური კონტროლის საშუალებას.
6. უცხოური პორტფელური ინვესტიციების განხორციელების მიზეზებია: კაპიტალის განთავსება იმ ქვეყანასა და ისეთ ფასიან ქაღალდებში, რომლების მაქსიმალურ შემოსავალს იძლევიან, რისკის დასაშვები დონის პირობებში.

7. უცხოური პორტფელური ინვესტიციების 90% განვითარებულ ქვეყნებს შორის ხორციელდება და მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. შესაძლებელია თუ არა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობამ და კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილებამ შეავსონ ერთმანეთი;
2. როგორ შეიძლება აეხსნათ წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება:
   ა) შეფარდებითი უპირატესობის თეორიით;
   ბ) ფაქტორული თანაფარდობის თეორიით.
3. რა იგულისხმება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში და რით განსხვავდება იგი პორტფელური ინვესტიციებისაგან;
4. რა უდევს საფუძვლად უცხოური ინვესტიციების განხორციელებას.
5. რა გავლენას ახდენენ უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზე.

თემა 9. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია

§ 1. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის არსი და ფაქტორები

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესი მოვლენაა, რომელშიც ქვეყნებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტები აისახება. მისი შესწავლის აქტუალობა იმითაა განპირობებული, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან, გააჩნია მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი შედეგები.

მიგრაცია როგორც მოვლენა, ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა და განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა სახელმწიფოსთვის. დაწყებული უძველესი დროიდან მიგრაცია უდიდეს როლს ასრულებდა მსოფლიოში მოსახლეობის განსახლების პროცესზე, ხელს უწყობდა რა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, ვაჭრობის, მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარებას.

თანამედროვე პერიოდში სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია - ესაა მრავალმხრივი საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც განპირობებულია ეკონომიკის სტრუქტურული ძვრებითა და წარმოების განლაგების ცვლილებით, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა სოციალური და ტერიტორიული მობილურობის ამაღლებით. მიგრაციის სხადასხვა სახეების (ეკონომიკური, ეთნიკური და ა.შ.) ინტენსიობის ამაღლება თანამედროვე გლობალური პროცესების განვითარებისათვის დამახასიათებელი თვისებაა, ხოლო მიგრანტთა ხვედრითი წილი ქვეყნის მუდმივ მოსახლეობაში ასახავს გლობალიზაციის პროცესში ჩართვის ხარისხს. იგი ხელს უწყობს შრომის ბაზრის რაოდენობრივ და ხარისხობრივი პარამეტრების ფორმირებას ყველა დონეზე. იქნე-

ბა ეს რეგიონული, ეროვნული თუ საერთაშორისო, რამდენადაც შრომითი რესურსების ნაკადების შემოსვლა ან გასვლა ქვეყნიდან ყოველთვის ახდენს გავლენას როგორც მთლიანად მოსახლეობის კვლავწარმოებაზე, ასევე ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე. აქვე უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები, მიგრანტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მიმართულებები და მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე.

ამგვარად, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია — ესაა ადამიანების სივრცობრივი გადაადგილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, რასაც საფუძვლად უძევს:

— მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დემოგრაფიული კვლავწარმოების რეჟიმში არსებული განსხვავებები, რომლებიც განაპირობებენ ზოგ ქვეყანაში მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას, ხოლო სხვაგან მოსახლეობის შედარებით ახალგაზრდული სტრუქტურის ფორმირებას.

— მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ცხოვრების დონეებს მიხედვით არსებული განსხვავებების გაღრმავება;

— მსოფლიოს შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში, უპირატესად განვითარებად ქვეყნებში ჭარბმოსახლეობის ფორმირება;

— სატრანსპორტო საშუალებების განვითარების მაღალი დონე;

— სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების და უმუშევრობის დონეებს შორის არსებული განსხვავებები, რომლებიც ასტიმულირებენ შრომითი მიგრაციას.

თანამედროვე პერიოდში მიგრაციის ტრადიციულ ფაქტორებს შორის, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივი, დემოგრაფიული, მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებაზე ასევე უდიდეს გავლენას ახდენენ იმ ჯგუფის ფაქტორები,

რომლებიც დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ, ეთნიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ მომენტებთან.

ყველა ის ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მიგრაციაზე პირობითად შეიძლება დავყოთ:

1). ფაქტორები რომლებიც ქმნიან პირობებს სამუშაო ძალის ტერიტორიული გადაადგილებისათვის. მათ მიეკუთნება: მიგრაციის ბუნებრივ-კლიმატური და დემოგრაფიული ფაქტორები. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელიც თან ახლავს ამ ფაქტორთა ჯგუფის პროგნოზირებას, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვუარყოთ მათი დეტალური შესწავლის აუცილებლობა სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის ანალიზში.

ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების მოქმედება ვლინდება ქვეყნის ან მისი რეგიონების გეოგრაფიულ მდებარეობაში, კლიმატში, ლანდშაფტში და ა.შ., რომლებიც უბრალოდ ზემოქმედებენ ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებზე. ამ ფაქტორის ზემოქმედება ადამიანებზე განსხვავებულია. ისეთი მოვლენები, როგორიცაა წყალდიდობები, მიწისძვრები, ცუნამი და სხვა ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ ადამიანებზე და ძალზე ხშირად ხელს უწყობენ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას.

მიგრაციის დემოგრაფიულ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთნოთ ტერიტორიული განსხვავება მოსახლეობის რიცხოვნობაში, მათ სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში, ოჯახური მდგომარეობაში, რომელიც არსებით გავლენას ახდენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების რეჟიმზე და ხელს უწყობს მის ტერიტორიულ მოძრაობას.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაზე მოქმედ ფაქტორებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ტემპებს. ასე მაგალითად, 1900 წლს მსოფლიოს მოსახლეობა 1.6 მილიარდს შეადგენდა, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს მან 6.0 მილიარდს გადააჭარბა. ამასთან, თუ 1959 წლიდან მსოფლიო მოსახლეობის ერთი მილიარდით გადიდებას 20 წელი დასჭირდა, შემდგომ პერიოდში ასეთი მატე-

ბისათვის სულ რაღაც 8 წელი აღმოჩნდა საკმარისი[15]. ამჟამად, მსოფლიო მოსახლეობა ყოველწლიურად 83 მილიონი ადამიანით იზრდება, მათ შორის 82 მილიონი განვითარებად ქვეყნებზე მოდის.[16]

2) ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სამუშაო ძალის ტერიტორიული მოძრაობის რეგულირებისათვის.

მიგრაციული პროცესების მარეგულირებელ ფაქტორებად შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ის ფაქტორები, რომელთა პროგნოზირება შესაძლებელია. მათ შეიძლება მივაკუთნოთ ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები. ამასთან, მსგავს დაყოფას პირობით ხასიათი გააჩნია და ეს მათ შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებს. მაგალითად, რეგიონული განსხვავება სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონეში, შეიძლება მივაკუთნოთ, როგორც სოციალურ ფაქტორებს, როცა საქმე ეხება სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, როგორც ინდივიდების პიროვნული მახასიათებლების განვითარების პროცესს, ასევე ეკონომიკურსაც – პიროვნული კაპიტალის უფრო ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც როგორც ეროვნული, ასევე რეგიონულ დონეზე ეკონომიკური ზრდის მატერიალურ წინამძღვარს წარმოადგენს. ამგვარად ეს ფაქტორები ერთმანეთს ავსებენ და მჭიდროდ ურთიერთქმედებენ. საბოლოოდ, ეკონომიკური ფაქტორები ყოველთვის "სოციალურია" თავისი ბუნებით.

აღნიშნული ჯგუფის ფაქტორები თავის მხრივ იყოფიან ოპერატიულ და გრძელვადიან ფაქტორებად. ოპერატიულს მიეკუთნება:

- რეგიონული განსხვავებები ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმებში;

---

[15] Грани глобализации: трудные вопросы современного развития. М.: Альпина Паблишер. 2003. გვ. 292

[16] Глобализация, рост и бедность. Пер с англ. М.: Изд-во «Весь мир». 2004. გვ.13

- ინდივიდუალური და კერძო ბიზნესით დასაქმების პირობებს შორის არსებული განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნების ან რეგიონების მიხედვით.

ნომინალურ და რეალურ ხელფასების დონეებს შორის არსებული განსხვავება;

- სამუშაო დროის ხანგრძლივობის, შრომის რეჟიმის და პირობების მიხედვით არსებული განსხვავება;

- ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების, მიგრანტებისათვის შეღავათიანი პირობების შესახებ;

მიგრაციის გრძელვადიან ფაქტორებს მიეკუთნება:

- სამუშაო ადგილების სტრუქტურაში არსებული განსხვავებები;

სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონესა და მომსახურების ღირებულებებს შორის არსებული განსხვავებები;

ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით არსებული განსხვავებები;

3) საგარეო ფაქტორები. ამ ჯგუფის ფაქტორები, მხოლოდ არაპირდაპირ რეგულირებას ექვემდებარებიან, ისიც სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. თითოეული ქვეყნის მთავრობა დამოუკიდებლად განსაზღვრავს მიგრაციული პოლიტიკის მიზნებსა და მიმართულებებს, თუმცა სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის რეგულირებისათვის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისას ვალდებულია გაითვალისწინოს და ანგარიში გაუწიოს გარკვეულ ნორმებსა და სტანდარტებს, რომლებიც მოცემულია და განმტკიცებულია საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამის დოკუმენტებში;

შრომითი მიგრაცია წარმოდგენილია შრომისუნარიანი ასაკის ადამიანებით, რომლებიც ტოვებენ სამშობლოს და გარკვეული ვადით უფრო მაღალი ანაზღაურების საძებრად მიემართებიან სხვა ქვეყნებში. უკეთესი სამუშაოს პოვნა და უფრო მაღალი შრომის ანაზღაურების მიღება ესაა უცხოეთში სამუშაოდ წასვლის უმთავრესი მოტივი. სწორედ, დასაქმების უფრო მეტი შე-

საძლებლობებისა და მეტი ანაზღაურების ფაქტორი განაპირობებს მიგრაციული ნაკადების მასშტაბებსა და მიმართულებებს. ამიტომაა, რომ საერთაშორისო მიგრანტები განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 4.5%, ხოლო განვითარებადი ქვეყნების 1.6%-ს შეადგენენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 2000 წელს მიგრანტების საერთო რაოდენობა, რომლებიც საკუთარი ქვეყნების ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ 175 მლნ. კაცს აღწევდა, რაც 1970 წლის მონაცემებს დაახლოებით ორჯერ აღემატებოდა და მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 3%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული მიგრანტების 59.8% განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს, მათ შორის ევროპაში ცხოვრობს 32%, ჩრდილოეთ ამერიკაში 23.4%, აზიაში – 28.5%. ამასთან, 1990-2000 წლებში, მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა 13.5%-ით გაიზარდა. მათ შორის ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებელია ჩრდილოეთ ამერიკაში 48%, ევროპაში – 15.8% ავსტრალიასა და ოკეანეთში – 22,8%. განვითარებულ ქვეყნებში საერთაშორისო მიგრანტების თავმოყრის მაღალი დონე იმასთანაა დაკავშირებული, რომ ისინი უზრუნველყოფენ რიგ დარგებს, ინფრასტრუქტურის სამსახურებს აუცილებელი მომუშავეებით, რომელთა გარეშეც სამრეწველო პროცესის ნორმალური წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა. მაგალითად, საფრანგეთში მშენებლობაზე დასაქმებულთა 25% უცხოელია, ხოლო ავტომობილების წარმოებაში მათი წილი 30%-ზე მეტია, ბელგიაში უცხოელი მომუშავეები მეშახტეების 50%-ს შეადგენს, შვეიცარიაში მშენებელთა 40% ასევე უხცოელია.

მიგრაციული ნაკადების ასეთი მაღალი მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ნაწილში, მოსახლეობის შემცირებული ბუნებრივი კვლავწარმოების უარყოფითი შედეგების ნიველირება. ასე მაგალითად მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გარე მიგრაციის წილმა მოსახლეობის საერთო მატებაში კანადაში და ავსტრალიაში 25% შეადგინა, ხოლო აშშ-ში 50%. მაშინ როდესაც რიგ

ქვეყნებში, როგორიცაა ირლანდია, საბერძნეთი, პორტუგალია ბუნებრივი მატების შედარებით მაღალი მაჩვენებლებისა, მიგრაციულმა პროცესებმა მოსახლეობის დეპოპულაცია გამოიწვიეს.

მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციაში არსებულმა ტენდენციებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის ბოლოს, თავისი გაგრძელება ჰპოვეს მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე. კერძოდ, 90-იანი წლების მანძილზე მსოფლიოს განვითარებული რეგიონების დემოგრაფიული მატების 56% იმიგრაციის ხარჯზე მიიღწეოდა. ევროპაში ეს მაჩვენებელი 89%-ს შეადგენდა. მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის არსებული მასშტაბების პირობებში, ეს მოვლენა მრავალი განვითარებული ქვეყნისათვის სამუშაო ძალის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, განსაკუთრებით ეკონომიკური აღმავლობისა და სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებში. ასე მაგალითად, ავსტრალიაში უცხოური სამუშაო ძალის ხვედრითი წილი მთელს სამუშაო ძალაში შეადგენს 24,5%, კანადაში – 19.1%, შვეიცარიაში – 18,3%, აშშ-ში –12.4%.

იმ ქვეყნებში, სადაც იმიგრანტთა შრომითი მოწყობის შესაძლებლობები მკაცრად რეგულირდება, უცხოური სამუშაო ძალის ხვედრითი წილი მკვეთრად ჩამორჩება იმიგრანტთა ხვედრით წილს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ასე მაგალითად, ნიდერლანდებში იმიგრანტების ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 10.1%-ია, მაშინ როდესაც ამ ქვეყანაში უცხოური სამუშაო ძალის წილი მთელს სამუშაო ძალაში 3,7%-ს შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობაა შვეციაში, სადაც აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 11.3% და 5% შეადგენს და საფრანგეთში შესაბამისად 10% და 6.1%.

აღსანიშნავია, რომ იმიგრანტებს შორის სჭარბობს შედარებით შრომისუნარიანი და ეკონომიკურად პროდუქტიული ასაკის მოსახლეობა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია დასავლეთ ევროპაში, სადაც უცხოური სამუშაო ძალის დიდი ნაწილი 15-44 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. ყოველივე ეს ბუნებრივია უდიდეს გავლენას ახდენს მიმღები ქვეყნების შრომითი რესურსების ფორმირების პროცესზე. ასე მაგალითად,

ევროკავშირის ქვეყნებში გასული საუკუნის 60-იან წლებში შობადობა თითქმის ორჯერ შემცირდა, რაც ძირითადი მოსახლეობის კვლავწარმოების შემცირებული რეჟიმის განვითარების საფუძველი გახდა. ამან, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება ანუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილის გადიდება გამოიწვია. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება უახლოესი 30-40 წლის მანძილზე, რაც უეჭველად გამოიწვევს სამუშაო ძალის დეფიციტს ამ ქვეყნებში. ზოგიერთი გაანგარიშებით, უახლოეს მომავალში — 2015 წლისათვის, მოვლენების ასეთი მიმართულებით განვითარებამ იაპონიასა და ევროკავშირის ქვეყნებში დასაქმებულებსა და პენსიონერებს შორის თანაფარდობა 3:1-მდე შეიძლება შეამციროს (ამჟამად იგი შეადგენს 5:1)[17].

საქართველოდან სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის ინტენსიობა არსებითად გაიზარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში და შეიძლება ითქვას, რომ იგი 1990-იან წლებში ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა. იგი ძირითადად ისეთი ფაქტორების მოქმედებით იყო განპირობებული, როგორიცაა წარმოების და დასაქმების დონის მკვეთრი დაცემა. ასევე, პოლიტიკური დესტაბილიზაცია, შეიარაღებული კონფლიქტები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

1990-2000 წლებში საქართველოში გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1228.7 ათასი კაცი შეადგინა. შეფასებითი მონაცემებით გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ პიკს 1992 წელს მიაღწია. თუმცა, მისი საკმაოდ მაღალი დონე შეინიშნებოდა 1996 წლამდე[18]. სწორედ გარე მიგრაციის განვითარების მიმართულებებმა განაპირობეს საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის არც თუ უმნიშვნელო სიდიდით შემცირება. ასე

---

[17] Глобализация, рост и бедность. Построение всеобщей мировой экономики. Пер с англ. –М.: «Весь Мир». 2004

[18] მიგრაციის სტატისტიკა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი 2002წ გვ. 8

მაგალითად, 1990-2003 წლებში[19] საქართველოს მოსახლეობა 15.7%-ით ანუ 857 ათასი კაცით შემცირდა. მათ შორის შრომითი ასაკის მამაკაცების რიცხოვნობა 20.4, ხოლო ქალების — 18.7%-ით შემცირდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გარე მიგრაციულ პროცესებში მამაკაცები უფრო მეტად მონაწილეობენ ქალებთან შედარებით. გარე მიგრაციის გავლენა კიდევ უფრო შესამჩნევია ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების შემთხვევაში. კერძოდ, საკვლევი პერიოდი მანძილზე 15-40 წლის ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცების რიცხვი 22.6, ხოლო ქალების რიცხვი 21.9%-ით შემცირდა. როგორც ვხედავთ, საქართველოდან ძირითადად იმ ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები გადიან, რომლებიც, როგორც ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული აქტიურობის თვალსაზრისით ყველაზე პროდუქტიულია. ეს მომავალში უდიდეს უარყოფით გავლენას იქონიებს საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმზე, რომლის არასასურველი მიმართულებით განვითარების ტენდენციები უკვე სახეზეა. კერძოდ, 15 წლამდე ასაკის მოზარდების რიცხოვნობა საკვლევ პერიოდში 33.2%-ით, ხოლო 5 წლამდე ასაკი ბავშვთა რიცხვი 1.9-ჯერ შემცირდა. დემოგრაფიული პროცესების მსგავსი მიმართულებებით განვითარება 2013-2015 წლებისათვის მნიშვნელოვნად შეამცირებს შრომით ასაკში შემავალი პირების რაოდენობას და მაშინაც კი, თუ ამ დროისათვის ემიგრირებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნდება საქართველოში, ქვეყნის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, ისევე როგორც მთლიანი მოსახლეობა შესამჩნევად დაბერებული იქნება. ეს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი იქნება, არამედ იგი სერიოზულ გავლენას იქონიებს მთლიანად სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

---

[19] სოციალური ტენდენციები საქართველოში 2004, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ. 2004, გვ. 7

§ 2. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის გავლენა განსხვავებულად ვლინდება ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარებაზე. კონკრეტული ქვეყნისათვის მიგრაციის შედეგები გამომდინარეობენ მისი მასშტაბებიდან და ეკონომიკის სტრუქტურიდან. ასევე მიმღები ქვეყნის შესაძლებლობებიდან დაასაქმონ ან სოციალური დახმარება გაუწიონ იმიგრანტებს.

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის კვლავწარმოების ტემპების შემცირების პირობებში, შრომაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საშუალებას უცხოური სამუშაო ძალის გამოყენება წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში, მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ნათლად გამოიკვეთა მოსახლეობის იმიგრაციის უარყოფითი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები. პირველ რიგში ეს ეხება ტერორიზმის საშიშროების, ეროვნებათაშორისი კონფლიქტების და პოლიტიკური ექსტრემიზმის ზრდას. ყოველივე ამან, გარკვეული ეჭვები წარმოშვა სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის, როგორც პოზიტიური მოვლენის შეფასებაში.

განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია არაერთგვაროვანი ნაკადებისგან შედგება, რაც ბუნებრივია განაპირობებს კიდეც მათ დიფერენცირებულ გავლენას იმიგრანტთა მიმღები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ იმიგრანტი მეცნიერ-მუშაკები, ინჟინრები, ექიმები. მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებიდან ამ კატეგორიის მომუშავეები ძირითადად აშშ-კენ მიემართებოდნენ. საექსპერტო შეფასებით აშშ-ის სარგებელმა ერთი "საშუალო" დონის მეცნიერ-ჰუმანიტარის შრომის გამოყენების შედეგად შეადგინა 230 ათასი დოლარი, საზოგადოებრივ მეცნიერების სფეროში – 235 ათასი დოლარი, ინჟინრისა – 253 ათასი დოლარი, ექიმისა – 646 ათასი დოლარი. საბოლოოდ, აშშ-ის

სარგებელმა უცხოური სამუშაო ძალის გამოყენების შედეგად ათეულობით მილიარდ დოლარს გადააჭარბა. უცხოური სამუშაო ძალის მიზიდვის ისეთი მსოფლიო ცენტრები, როგორიცაა კანადა და დიდი ბრიტანეთი, უცხოელი სამუშაო ძალის გამოყენებით, შესაბამისად შვიდჯერ და სამჯერ უფრო მეტ მოგებას ნახულობს, ვიდრე ისინი ხარჯავენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებისათვის.

ცალკეული ქვეყნების სარგებელი უცხოური სამუშაო ძალის გამოყენებისაგან დამოკიდებულია მიგრანტთა განათლების დონესა და პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურზე. აშკარაა, რომ იმიგრანტების განათლების დონესა და პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას ზრდის ტენდენცია გააჩნია. ასე მაგალითად, კანადაში 2000-2001 წლებში 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის იმიგრანტებში 23%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა, მაშინ როცა ამ ასაკობრივი ჯგუფის ადგილობრივ მოსახლეობაში ამ მაჩვენებელმა 17% შეადგინა. დიფერენციაციის ასეთი ხარისხი განაპირობებს მაღალკვალიფიციურ უცხოური სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სიდიდეს. შედეგად, განვითარებულ ქვეყნებში თითქმის 1.5 მლნ. მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა მოღვაწეობს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებიდან არიან წამოსულები. ავსტრალიაში, კანადაში და ახალ ზელანდიაში ე.წ. მიღების რეიტინგული სისტემით ხდება მაღალკვალიფიციური და ეკონომიკურად მისაღები იმიგრანტების დასაქმება. საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში მოქმედებს მაღალკვალიფიციური იმიგრანტებისათვის სამუშაოს დაწყებისათვის უფლების გაცემის დაჩქარებული პროცედურა.

იმიგრანტებს შორის მაღალია დაქირავებული მომუშავეების ხვედრითი წილი, მაგრამ მათ შორის გვხვდება, ასევე მეწარმეები, ინვესტორები, რომელთა ჩამოსვლა ქვეყანაში უტოლდება მაღალკვალიფიციური, დეფიციტური სპეციალისტების ჩამოსვლას, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში სტიმულირდება კიდეც. ასე მაგალითად, კანადაში ხორციელდება პროგრამა, რომელიც კომერციულ და საინვესტიციო იმიგრაციას ასტიმულირებს. შე-

დეგად 20-ე საუკუნის 80-იან 90-იან წლებში ქვეყანაში ათასობით ინვესტორი ჩამოვიდა.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება ასევე დროებითი, სეზონური, არაკვალიფიციური მომუშავე იმიგრანტების მოზიდვის პროგრამებიც. განსაკუთრებით მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, რომელთა შორის მაღალია არალეგალური იმიგრანტების წილი.

შრომითი მიგრაცია, ცხადია სამუშაო ძალის შევსების ერთ-ერთი წყაროა, მაგრამ სამუშაო ძალის იმიგრაციას ამავდროულად თან სდევს იმ ადამიანების რიცხვის გადიდება, რომლებიც მომუშავე იმიგრანტების სარჩენები არიან. ასე მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1972 წელს, როდესაც შრომითმა იმიგრაციამ ამ ქვეყანაში პიკს მიაღწია, უცხოელებს შორის დასაქმების დონემ 65% შეადგინა, მაგრამ 1981 წლისათვის, როდესაც გარედან უცხოელი სამუშაო ძალის მასიური შემოსვლა შეიზღუდა, ეს მაჩვენებელი 17%-მდე შემცირდა, მაშინ როცა გერმანელებს შორის ეს მაჩვენებელი საშუალოდ 44% იყო.

ამგვარად, ზრდის რა ამა თუ იმ ქვეყნის სამუშაო ძალის რაოდენობას, ახორციელებს შრომის ბაზარზე წარმოშობილი დისპროპორციების დაბალანსებას, იმიგრაცია მიმღებ ქვეყნებში მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ მისი ზემოქმედება ეკონომიკური ზრდის დინამიკაზე არ არის ცალსახა. მიღებულია, რომ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მაშინ როდესაც არაკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენებას არაერთმნიშვნელოვანი შედეგები გააჩნია. ეს იმითაა განპირობებული, რომ დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენებამ შეიძლება რიგ დარგში შრომის მწარმოებლურობის დაქვეითება გამოიწვიოს. მეორეს მხრივ, ადგილობრივი მომუშაველების დეფიციტისას უცხოელი ემიგრანტების გამოუყენებლობა შეიძლება წარმოების დაცემის მიზეზი გახდეს.

სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილებაში, იმიგრაცია როგორც საინვესტიციო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელო-

ვანესი ფაქტორი, შედარებით ნაკლებად შესწავლილ პრობლემას წარმოადგენს, მაშინ როდესაც ბოლო წლებში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მკვლევართა დიდი უმრავლესობა ამ პროცესში ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფს: ერთია კაპიტალდაბანდებები უშუალოდ იმიგრანტებში, რაც პირდაპირ თუ ირიბად იწვევს დამსაქმებელთა მოგების მიღებას. მეორე, იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებლები შედარებით იაფ სამუშაო ძალას გამოიყენებენ, ეს ასევე ამცირებს საწარმოების დანახარჯებს და შესაბამისად ზრდის მწარმოებელთა მოგებას.

მთლიანობაში იმიგრაცია პოზიტიურ როლს ასრულებს წარმოების განვითარებაზე, უზრუნველყოფს რა მას არა მარტო აუცილებელი პიროვნული კაპიტალით, არამედ საინვესტიციო რესურსებითაც. ამით, იმიგრაცია არამარტო ტრადიციული დარგების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტად ამარაგებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურ სექტორს, რითაც მთელი ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივს წარმოადგენს.

ამგვარად, იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამუშაო ძალის იმპორტს, მთელი ამ პროცესის დადებითი მხარეები შემდეგში მდგომარეობს:

— შედარებით იაფი უცხოური სამუშაო ძალის გამოყენების შედეგად, მცირდება პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯები, რაც თავის მხრივ ზრდის მოცემული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, როგორც შიგა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე;

— უცხოელი მომუშავეები, რომლებიც ქვეყანაში შემოდიან, წარმოშობენ დამატებით მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე, რაც ასტიმულირებს წარმოების და დასაქმების ზრდას მიმღებ ქვეყნებში;

— კვალიფიციური სამუშაო ძალის იმპორტისას, ქვეყანა მნიშვნელოვან მატერიალურ, ფინანსურ და სხვა სახის ეკონომიას ახდენს კადრების პროფესიული მომზადების სფეროში.

— უცხოელი მომუშავეები ხშირად განიხილებიან, როგორც ეკონომიკური განვითარების კატალიზატორები ეკონომიკური

კრიზისის და უმუშევრობის დროს, რადგანაც სწორედ ისინი ქმნიან იმ კონტიგენტს, რომლებსაც პირველებს ათავისუფლებენ დაკავებული სამუშაო ადგილებიდან.

— უცხოელ მომუშავეებს არ ეძლევათ პენსიები და არ გაითვალისწინებიან სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამების განხორციელებისას.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად სამუშაო ძალის იმიგრაციას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, რაც უპირველეს ყოვლისა ვლინდება საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის გაძლიერებაში, განსაკუთრებით სამუშაო ადგილის უკმარისობისას, როცა მათზე მოთხოვნას ადგილობრივი მომუშავეები აცხადებენ.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია ასევე სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყანა ექსპორტიორებზე. გასული საუკუნის 80-იან წლებში ამ საკითხებზე განხორციელებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საზღვარგარეთ გამგზავრება ხელს უწყობდა შრომის ეროვნული ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაციას.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის უმთავრეს ეკონომიკურ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ერთსა და იმავე სამუშაოზე შრომის ანაზღაურება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში მკვეთრად განსხვავებულია. ასე მაგალითად, გერმანიაში შრომის საათობრივი ანაზღაურება თითქმის 30 დოლარს შეადგენს, მაშინ როდესაც ჩინეთსა და ინდოეთში იგი მხოლოდ მისი მეასედი ანუ 30 ცენტია.[20] სწორედ ამის გამო სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნები, ემიგრაციის შედეგად მართალია გარკვეული დროით კარგავენ შედარებით მაღალი კვალიფიკაციის მომუშავეებს, მაგრამ ამ პროცესის განვითარების შედეგად ისინი საკმაოდ დიდი მოცულობის სავალუტო ნაკადებს ღებულობენ ფულადი გზავნილების სახით. 1999 წელს ფულადმა გზავნილებმა მსოფლიო მასშტაბით 63 მილიარდი დოლარი შეადგინა,

---

[20] Глобализация, рост и бедность. Пер с англ. М.: Изд-во «Весь мир». 2004. გვ.57

რომელიც მრავალი ქვეყნისთვის მთლიანი ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. ასე მაგალითად, იემენსა და იორდანიაში იგი 14%-ზე მეტია. ინდოეთმა 1991-1999 წლებში 60.8 მლრდ. დოლარი მიიღო ფულადი გზავნილების სახით. ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია ისეთი ქვეყნებისათვის როგორიცაა მექსიკა, თურქეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი, ესპანეთი.

ფულადი გზავნილების საერთაშორისო მასშტაბები მე-20 საუკუნის ბოლოსათვის იმდენად დიდი იყო, რომ მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ფენების ფიზიკურ არსებობას. ასე მაგალითად, ლესოტოში საოჯახო მეურნეობის 42%-ი აცხადებდა, რომ მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა სამხრეთ აფრიკაში მომუშავე მეშახტეების ფულადი გზავნილები. სამშობლოში დაბრუნებული ადამიანები ცდილობენ დაგროვილი თანხა დააბანდონ შედარებით ნაკლებად პროდუქტიულ, მაგრამ უსაფრთხო სფეროში. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ყოფილი მიგრანტები თავს არიდებენ ეკონომიკის ისეთ სფეროებში ფულის დაბანდებას, სადაც რისკის დონე მაღალია. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როცა სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტები დაგროვილ კაპიტალს აბანდებენ მცირე ბიზნესში, როგორიცაა მაღაზიები, რესტორნები, სახელოსნოები, რომლებიც დიდ ფინანსურ დაბანდებებს არ მოითხოვენ. მთლიანობაში, ეს ყველაფერი ხელს უწყობს ეკონომიკურ აღმავლობას.

ამგვარად, შრომითი მიგრაცია, ხელფასისა და მოსახლეობის შემოსავლების გათანაბრების ერთ-ერთი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება ხელფასის დონეებს შორის მეტად დიდია მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, ამის ფონზე მსგავსი გათანაბრების პროცესი შეიძლება ნაკლებად შესამჩნევი იყოს, მაგრამ იგი საკმაოდ მყარ ტენდენციას წარმოადგენს.

§ 3. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მიზიდვის ცენტრები და მისი რეგულირების მექანიზმები

მიგრაციული პროცესები ყოველთვის როდი მიმდინარეობენ ოპტიმალურად და უდიდეს გავლენას ახდენენ, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე საზოგადოების ამა თუ იმ ფენების ცხოვრების დონეზე. ამიტომ, მისი ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია იმ მექანიზმებში გარკვევა, რომლებიც განაპირობებენ მიგრაციის წარმოშობის მიზეზებს, მის მიმართულებებს, ინტენსიობას.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე, უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიოში წარმოების ინტერნაციონალიზაციის, გლობალიზაციის და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები. ეს წარმოშობს სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის პროცესის სისტემატიზაციისა და რეგულირების აუცილებლობას. სწორედ ამ მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ იქნა სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ხუთ ძირითად ტიპს მოიცავს, ესენია:

1) კონტრაქტით მომუშავენი, სადაც ნათლად არის მითითებული თუ რა ვადით აქვს მუშას მიმღებ ქვეყანაში დარჩენის უფლება. ძირითადად ესენი არიან სეზონური მუშები, რომლებიც დასაქმებული არიან მოსავლის აღებაში, ასევე არაკვალიფიციური და დაბალკვალიფიციური მომუშავეები, რომლებიც ძირითადად დამხმარე სამუშაოებსა და ტურიზმის სფეროში არიან დასაქმებულნი;
2) პროფესიონალები, რომლებიც გამოირჩევიან მომზადების მაღალი დონით, შესაბამისი განათლებითა და მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით. ამავე ჯგუფს მიეკუთნება პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლები და სტუდენტები.
3) არალეგალური მიგრანტები, რომელთა რიგებში შედიან ის უცხოელები, რომლებიც ქვეყანაში იმყოფებიან ტურისტული ვიზებით, მაგრამ ეწევიან შრომით საქმიანობას. ამ

ჯგუფის მილიონობით წარმომადგენელი მუდმივად იმყოფებიან აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში, იაპონიაში, სამხრეთ ამერიკაში და თვით აფრიკაშიც კი, რომელიც ტრადიციულად შრომითი რესურსების ექსპორტიორ კონტინენტს წარმოადგენდა.

4) მიგრანტები, რომლებიც იცვლიან მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. მიგრანტთა ეს ჯგუფი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია მრეწველურად განვითარებული ქვეყნებისკენ;

5) ლტოლვილები – პირები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილები იმის გამო, რომ მათ სიცოცხლეს ან საქმიანობას საშიშროება ემუქრებოდა;

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მსოფლიოში არსებული და მოქმედი კლასიფიკაცია, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ამ მეტად რთული და მრავალფეროვანი პროცესის ყოველმხრივი ანალიზი.

საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირებისას, ქვეყნები, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის რეგულირებისას, აღიარებენ საერთაშორისო სამართლის ნორმების უპირატესობას ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, როგორც თვით ქვეყნისათვის მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრაციის თვალსაზრისით, ასევე მიგრანტებისთვისაც, რომელთა უფლებები უცხოეთში აუცილებლად საჭიროებენ დაცვას.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული პროცესის რეგულირება ხორციელდება ორი ან მეტი სუბიექტის საშუალებით, რომლებიც ზემოქმედებენ მოსახლეობის გადაადგილების სხვადასხვა სტადიებზე და როგორც წესი მათი ინტერესებიც ერთმანეთისგან განსხვავდება. თუ სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყანა უპირატესად ინტერესდება მიგრანტთა შემოსავლებით და მათი გამოყენებით, ქვეყანა ექსპორტიორის ფუნქციები ძირითადად შე-

მოიფარგლება ქვეყნიდან გამავალი მიგრაციული ნაკადების რეგულირებით და უცხოეთში საკუთარი მოქალაქეების დაცვით.

უცხოური სამუშაო ძალის გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში. მიუხედავად ამისა, 1993 წელს ევროკავშირის სტატისტიკური უწყების მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად ევროპა ნაკლებად მიმზიდველი ხდება უცხოელი მომუშავეთათვის. მრავალი იმიგრანტი ტოვებს ევროპულ სახელმწიფოებს. ეს უპირველეს ყოვლისა ევროპული ქვეყნების მიერ მიგრაციის რეგულირების პოლიტიკის გამკაცრების შედეგია, რომელიც სულ უფრო მეტად იძენს სელექციურ ხასიათს.

საერთაშორისო შრომითი მიგრანტების მიზიდვის ტრადიციულ ცენტრებთან ერთად (დასავლეთ ევროპა, ჩრდილო ამერიკა) წარმოიშვნენ მიგრანტთა მიზიდვის ახალი ცენტრები. პირველი ასეთი ცენტრი ზემოაღნიშნული ქვეყნების გარდა გახდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობის მომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი ქვეყნები, რომლებისკენაც უცხოელი მომუშავეების მიგრაციის ინტენსიობა საკმაოდ გაიზარდა. ამ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უცხოური სამუშაო ძალა ხდება. ნავთობგადამამუშავებელი არაბული ქვეყნები (საუდის არაბეთი, ლიბია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, კატარი და ბაჰრეინი) სხვა აზიურ თუ არაბულ სახელმწიფოებიდან იზიდავენ მომუშავეებს. სამუშაო ძალის მიმწოდებლები ძირითადად უფრო ღარიბი არაბული (ეგვიპტე, იემენი, იორდანია, სუდანი) და აზიური (ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, შრილანკა) ქვეყნები იყო.

უცხოური სამუშაო ძალის მიზიდვის მეორე ცენტრი ჩამოყალიბდა ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტიური საქმიანობის შედეგად სამხრეთ აფრიკაში. ოფიციალური მონაცემები ადასტურებენ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ყოველწლიურად 250 ათასი ადამიანი ჩამოდის სამუშაოდ, ამ ქვეყნის მაღაროებში და საბადოებში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენით სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის კიდევ ერთი ცენტრი ჩამოყა-

ლიბდა ავსტრალიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში.

ამგვარად, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაში შეიძლება 5 შემდეგ – მიმართულების გამოყოფა:

1) განვითარებადი ქვეყნებიდან სამუშაო ძალის მიგრაცია მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში;
2) სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ფარგლებში;
3) სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებს შორის;
4) სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან;
5) მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მიგრაცია, ანუ ე.წ. "ტვინის გადინება".

ამგვარად, 20-ე საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოში ჩამოყალიბდა რამდენიმე გეოგრაფიული ცენტრი, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავდა უცხო ქვეყნის სამუშაო ძალას, ესენია:

1. აშშ, კანადა და ავსტრალია. ეს ქვეყნები უპირველესად კვალიფიციურ სპეციალისტებს ღებულობენ. საკმარისია ითქვას, რომ ამერიკაში მოღვაწე მათემატიკოსების ნახევარზე მეტი ყოფილ საბჭოთა კავშირიდანაა, ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატთა მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრანტია.
2. დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აქ უცხოელი მომუშავეები ძირითადად არაპრესტიჟულ, მძიმე და მავნე სამუშაოებზე გამოიყენებიან;
3. ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომმარაგებელი ქვეყნები. ისინი დიდი ენთუზიაზმით ღებულობენ სამუშაოზე უცხოელ სპეციალისტებს, ასევე დაბალკვალიფიციურ მომუშავეებს მეზობელი არაბული ქვეყნიდან.
4. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები;

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების ზრდის კვალობაზე, იქმნებოდა და იხვეწებოდა მიგრაციული ნაკადების სახელმწიფო მართვის მექანიზმები. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ზღუდავს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მოძრაობას სხვადასხვა ბარიერების საშუალებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამავე ქვეყნების რიგი სამრეწველო საწარმოები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი უცხოურ სამუშაო ძალაზე. ეს აიძულებს სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყნებს გარკვეული პოლიტიკა აწარმოონ იმიგრანტების მიმართ მათი ნაკადების რეგულირების მიზნით.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის თანმდევი პრობლემების სიმწვავემ განაპირობა მისი სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი რეგულირების მექანიზმების წარმოშობა. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაში სახელმწიფოს ჩარევის პროცესი გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ვთქვათ საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ინგლისში მიღებული იქნა კანონი, რომლის თანახმადაც სამრეწველო წარმოების მუშებს ეკრძალებოდათ უცხოეთში ემიგრირება. მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე მრავალმა ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავდა ქვეყანაში არასასურველი პირების შემოსვლას. ამავე პერიოდში დაიწყო მიგრაციის მარეგულირებელი ორმხრივი კონვენციების მიღება, რომელთა ნაწილიც დღემდე მოქმედებს.

საერთაშორისო მიგრაციის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებით, რომელიც მიმართულია უცხოური სამუშაო ძალის შემოსვლის შეზღუდვისაკენ ან მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების (რეემიგრაციის) სტიმულირებისაკენ. სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნები თავიანთ იმიგრაციულ პოლიტიკას აგებენ ქვეყანაში შემომავალი, შრომითი მიგრანტების რაოდენობისა და ხარისხობრივი შემადგენლობის რეგულირებაზე. მიმღები ქვეყნების უმრავლესობა, იმიგრაციის რეგულირებისას ფართოდ გამოიყენებს სელექციურ მიდგომას. მისი არსი იმაში მდგომარეობს,

რომ სახელმწიფო არ აფერხებს იმ კატეგორიის მომუშავეების შემოსვლას, რომელსაც ქვეყანა საჭიროებს.

შრომითი იმიგრაციის პრობლემებზე სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნების სამი სახელმწიფო უწყება მაინც მუშაობს, რომლებიც ქვეყნის კანონმდებლობის, აგრეთვე ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე მოქმედებენ. ესენია საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც საკონსულოების საშუალებით გასცემს ვიზებს; იუსტიციის სამინისტრო, რომელიც უშუალო ზედამხედველობას ახორციელებს უცხოელი მოქალაქეების ქვეყანაში შემოსვლის კანონიერებაზე; შრომის სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს უცხოური სამუშაო ძალის გამოყენებაზე. ასე მაგალითად, აშშ-ში კანონის თანახმად, იმიგრაციის პრობლემებზე მუშაობენ: სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს, საკონსულო საკითხების ბიურო, რომელიც სავიზო რეჟიმს განსაზღვრავს; იუსტიციის სამინისტრო, თავისი წარმომადგენლის — იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის სახით, რომლის უმთავრესი ამოცანაა — ცხოვრებაში პრაქტიკულად იქნას გატარებული საიმიგრაციო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა; შრომის სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს ხომ არ იწვევს იმიგრანტების შრომითი მოწყობა, ადგილობრივ მოსახლეობაში უმუშევრობის დონის ამაღლებას.

ამგვარად, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის რეგულირება ხორციელდება, როგორც ექსპორტიორი, ასევე იმპორტიორი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის საშუალებით. ამავე დროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის, უწყებათაშორის შეთანხმებებს. რეგულირება ხორციელდება ფინანსური და საბიუჯეტო პროგრამების საშუალებით, რომელიც მიმართულია იმიგრაციის მასშტაბების შეზღუდვისაკენ ან რეემიგრაციის სტიმულირებისაკენ.

დასკვნა:

1. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია – ესაა ადამიანების სივრცობრივი გადაადგილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან;
2. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაზე მოქმედებენ შემდეგი ფაქტორები: ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივი, დემოგრაფიული. მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებაზე ასევე უდიდეს გავლენას ახდენენ იმ ჯგუფის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ, ეთნიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ მომენტებთან.
3. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის გავლენა განსხვავებულად ვლინდება ცალკეული ქვეყნების და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. კონკრეტული ქვეყანისათვის მიგრაციის შედეგები გამომდინარეობენ მისი მასშტაბებიდან და სტრუქტურიდან. ასევე მიმღები ქვეყნის შესაძლებლობებიდან დაასაქმონ ან სოციალური დახმარება გაუწიონ იმიგრანტებს.
4. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე, უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიოში წარმოების ინტერნაციონალიზაციის, გლობალიზაციის და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები.
5. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული პროცესის რეგულირება ხორციელდება ორი ან მეტი სუბიექტის საშუალებით, რომლებიც ზემოქმედებენ მოსახლეობის გადაადგილების სხვადასხვა სტადიებზე და როგორც წესი მათი ინტერესებიც ერთმანეთისგან განსხვავდება.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა იგულისხმება სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაში?

2. რა ფაქტორები მოქმედებენ სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაზე?
3. რა გავლენას ახდენს სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე და როგორ აისახება იგი ამ ქვეყნის შრომის ბაზარზე?
4. რა გავლენას ახდენს სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია ქვეყანა-ექსპორტიორის ეკონომიკურ განვითარებაზე?
5. რით არის განპირობებული სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის რეგულირების აუცილებლობა?
6. რაში მდგომარეობს სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის თავისებურებები პოსტსაბჭოთა საქართველოში?

თემა 10. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია: თეორია და პოლიტიკა

§ 1. ინტეგრაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიები და საფეხურები

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაძლიერება. რეგიონული ინტეგრაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც რეგიონული ეკონომიკის განვითარების და მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციული დაჯგუფების წევრი-ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მძლავრი ინსტრუმენტი. სიტყვა ინტეგრაცია ლათინური წარმოშობისაა –itegratio- და ნიშნავს გამთლიანებას, ან integr- მთლიანს, ერთიანს. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია არის მეზობელი ქვეყნების ეკონომიკების ერთიან სამეურნეო მექანიზმად ჩამოყალიბების პროცესი, რასაც განაპირობებს ვაჭრობის, კაპიტალის და წარმოების ინტერნაციონალიზაცია. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ცალკეული ქვეყნის მხრიდან განიხილება, როგორც გლობალიზაციის ნეგატიური შედეგების შესუსტება-აღმოფხვრის და ამავე დროს, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის უმთავრესი ინსტრუმენტი. აღნიშნული თავისებურება წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში ცალკეული ეროვნული ეკონომიკის საერთო მახასიათებელს. ეს უკანასკნელი მიუთითებს ეროვნული ეკონომიკების სწრაფვაზე შეათანხმონ რეგიონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესები, რომლებიც კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს, საგარეო ურთიერთობების დივერსიფიკაციის უფრო მაღალი ხარისხით. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია უპირატესად რეგიონალიზმის მეშვეობით ხორციელდება, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ ცალკეული ქვეყანა გლობალიზაციის პროცესში ჩაერთოს პირდაპირ, ანუ რეგიონულ ინტეგრა-

ციულ პროცესებში მონაწილეობის გარეშე, რაც დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის სტრატეგიაზე, მის პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსზე, თუ რა ფორმით ჩაერთოს ის გლობალიზაციის ობიექტურ პროცესში.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკური თეორიებია:

1. ფედერალიზმი: ამ მიმართულების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ ფედერაციული მოწყობის უპირატესობას. მათი აზრით, ფედერალიზმი თავისი ბუნებით ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებს შორის ძალაუფლების გადანაწილების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. ამ მიმართულების წარმომადგენლები ასაბუთებენ ზეეროვნული მარეგულირებელი ორგანოების არსებობის აუცილებლობას, რომელთაც უკეთესად შეუძლიათ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა, ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოებს.
2. ფუნქციონალიზმი. ფუნქციონალისტების აზრით (დ. მიტრანი) არა საჭირო საერთაშორისო თანამეგობრობის იდეალური ფორმის ძიება, არამედ საჭიროა იმ ფუნქციების გარკვევა, რაც შესასრულებელია. ფუნქციონალიზმი, თავისი არსით უფრო გარკვეული მიდგომაა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დარეგულირების საკითხში, ვიდრე მეცნიერული თეორია. ფუნქციონალისტები ეწინააღმდეგებიან ფედერალიზმის და "მსოფლიო მთავრობის" შექმნის იდეას, რასაც მხარს უჭერდნენ მე-20 საუკუნის ცნობილი მოღვაწეები ბ. რასელი, ჰ. უელსი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ფუნქციონალისტების ბევრი იდეა გამართლდა, მათ შორის მრავალი სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნა, რომლებიც კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტადაა მიმართული. ორივე თეორიის (ფედერალიზმის და ფუნქციონალიზმის) საერთო დამახასიათებელი თავისებურებაა ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირება.
3. კომუნიკაციის თეორიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ ერებს შორის ურთიერთობების უპირატეს მნიშვნელობა.

4. ნეოფუნქციონალიზმის მიმართულების წარმოადგენლები (ე. ჰაასი) ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობა ანიჭებენ პოლიტიკურ ფაქტორს. მათი აზრით ინტეგრაცია არის სპონტანური პოლიტიკური ურთიერთქმედების შედეგი და ხაზს უსვამენ ზეეროვნული რეგულირების აუცილებლობას.
5. ახალი ინსტიტუციონალიზმის და ისტორიული ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნული სახელმწიფოების როლს ინტეგრაციულ პროცესებში. ორივე მიმართულების წარმომადგენლების აზრით "ინსტიტუტებს აქვთ მნიშვნელობა", თუმცა განსხვავებულია მათი შეხედულებები ინსტიტუტების ფუნქციონირების მიმართულებებზე. ახალი ინსტიტუციონალისტების აზრით, რომელიც რაციონალური არჩევანის თეორიას ეფუძნება, ზეეროვნული ინსტიტუტები სასარგებლოა ეროვნული სახელმწიფოებისათვის და ეს თეორია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პრიმატზე მიუთითებს, ხოლო ისტორიული ინსტიტუციონალისტები ხაზს უსვამენ ინსტიტუტების შედარებით დამოუკიდებლობას და აქტიურ პოლიტიკურ როლს.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ეკონომიკური თეორიებია:

1 ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები (ა. სმითი, დ. რიკარდო, ჯ. ს. მილი) თავისუფალი ვაჭრობის (ფრიტრეიდობის) განვითარების მომხრეები იყვნენ. ეს მიდგომა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის უმთავრესი, მაგრამ არა ერთადერთი წანამძღვარია.
2 ადრეული ნეოლიბერალიზმის მომხრეები (ვ. რეპკე, მ. ალე) სრულ ინტეგრაციას ერთიანი საბაზრო სივრცის სახით განიხილავენ, რომელიც რამდენიმე ქვეყანას მოიცავს და რომელშიც სახელმწიფო პოლიტიკის ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების მიუხედავად სტიქიური საბაზრო ძალები მოქმედებენ

3. გაიანი ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლები (ბ. ბალასა და ა.შ.) დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტეგრაციული პროცესების ეტაპობრივ განვითარებას, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია ცალკეულ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე.
4. კორპორაციონლიზმის მომხრენი (ს. როლფი, უ. როსტოუ) თვლიდნენ, რომ საერთაშორისო ეკონომიკის ინტეგრირებას საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფო რეგულირება ვერ უზრუნველყოფს. ამ ფუნქციას საერთაშორისო კორპორაციები ასრულებენ.
5. სტრუქტურალიზმის წარმომადგენლები (გ. მიურდალი) ეკონომიკურ ინტეგრაციას ქვეყნის ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების პროცესის სახით განიხილავდნენ, ხოლო ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალად უდიდეს კომპანიებს და ეკონომიკის დარგებს მიიჩნევდნენ.
6. ნეოკეინსიანელები (რ. კუპერი) ხაზს უსვამენ ინტეგრაციული დაჯგუფების ქვეყნების შიდა და საგარეო პოლიტიკის შეთანაწყობას.
7. დირიჟიზმის წარმომადგენლების აზრით (ი. ტინბერგენი, ი. შტოლერი) უარყოფენ ინტეგრაციულ პროცესში საბაზარო ძალების გადამწყვეტ როლს და წარმატებული ინტეგრაციის აუცილებელ ფაქტორად ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მიიჩნევენ.

ცნობილი ჰოლანდიელი ეკონომისტი ი. ტინბერგენი ანსხვავებს "პოზიტიურ" და "ნეგატიურ" ინტეგრაციას. ნეგატიური ინტეგრაცია გულისხმობს საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის მოძრაობის გზაზე ბარიერების უბრალო გაუქმებას, რასაც როგორც ეკონომიკური თეორიიდანაა ცნობილი თან ახლავს კონკურენციის ზრდა, ფასების შემცირება, ხარისხის ზრდა და საბოლოო შედეგით ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა. პოზიტიური ინტეგრაცია კი გულისმობს იმ წესების და ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც კიდევ უფრო

ზრდიან საქონლის, მომსახურების და წარმოების ფაქტორების მობილურობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ არსებობს ინტეგრაციის სტატიკური და დინამიკური ეფექტები. სტატიკური ეფექტები ვლინდება ინტეგრაციული პროცესის დაწყებისთანავე, რაც გამოიხატება კონკურენციის გამწვავებაში, ფასების შემცირებაში და ა.შ. ინტეგრაციის ეკონომიკურ თეორიაში პირველად ბ. ბალასამ მოახდინა ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიკური ეფექტების სისტემატიზაცია და ინტეგრაციული დაჯგუფების წევრი-ქვეყნების მშპ-ს ზრდაზე ინტეგრაციის ზეგავლენის შეფასება. ბ. ბალასას მიხედვით ინტეგრაციის დინამიკური ეფექტებია:

1. წარმოების გაფართოების შედეგად მასშტაბის ეკონომია, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის გაფართოება აძლევს ფირმებს და ცალკეულ დარგებს იმ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც არ იყო გამოყენებული ინტეგრაციული პროცესების დაწყებამდე;
2. საგარეო ეკონომია, რომელიც გამოიხატება მთლიანად ეკონომიკაში სპეციფიკური დანახარჯების შემცირებით;
3. პოლიარიზაციის ეფექტი, რომელიც გამოიხატება ბაზრების გახსნის შედეგად ცალკეული ქვეყნის არაკონკურენტუნარიანი დარგებიდან წარმოების ფაქტორების გამოთავისუფლებაში;
4. რეალური ინვესტიციების განთავსებაზე ზემოქმედება;
5. საერთო ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედება.

ბ. ბალასას უმთავრესი დამსახურებაა ეკონომიკური ინტეგრაციის სტადიების მდგრადი კონცეფციის ჩამოყალიბება. ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურებია:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონა;
2. საბაჟო კავშირი;
3. საერთო ბაზარი;
4. ეკონომიკური კავშირი;
5. სრული ეკონომიკური ინტეგრაცია.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების პირველი ეტაპია თავისუფალი ვაჭრობის ზონა. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემთხვევაში ინტეგრაციული დაჯგუფების წევრ-ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერები მცირდება ან უქმდება. ამავე დროს, ინტეგრაციის პირველ საფეხურზე, ინტეგრაციული დაჯგუფების წევრი ქვეყნები მესამე ქვეყნების მიმართ ავტონომიურად აწესებენ საბაჟო გადასახადებს. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმება მთლიანად შეესაბამება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონცეფციას, რომელიც მიმართულია ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემთხვევაში არ ხდება ზეეროვნული მარეგულირებელი ორგანიზაციების ჩამოყალიბება ანუ არ მიმდინარეობს პოზიტიური ინტეგრაცია. ამავე დროს, მსოფლიოში არსებული ინტეგრაციული დაჯგუფებების უმრავლესობა სწორედ თავისუფალი ვაჭრობის ზონის საფეხურზე იმყოფება, რაც განპირობებულია სახელმწიფოთა სწრაფვით, შეინარჩუნონ ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უფლება, ანუ ადგილი აქვს ნეგატიურ ინტეგრაციულ პროცესებს.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების შედარებით მაღალი საფეხურია – საბაჟო კავშირი. ინტეგრაციული გაერთიანების შიგნით სავაჭრო შეზღუდვები უქმდება. მესამე ქვეყნების მიმართ ტარდება ურთიერთშეთანხმებული სავაჭრო პოლიტიკა და წესდება ერთიანი საბაჟო გადასახადები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საბაჟო კავშირი შესაძლებელია შეივსოს საანგარიშსწორებო კავშირით, რაც ვალუტათა ურტიერთკონვერტირებადობას და ერთიანი საანგარიშსწორებო ფულადი სისტემის ამოქმედებას ითვალისწინებს. საბაჟო კავშირიც ასევე ვმო-ს წესების ფარგლებში მოქმედებს და ადგილი არა აქვს პოზიტიურ ინტეგრაციას.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარების შემდგომი საფეხურია საერთო ბაზარი, რაც უპირველეს ყოვლის გულისხმობს ინტეგრაციული დაჯგუფების შიგნით საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას. საერთო ბაზრის შემთხვევაში გარკვეულ-

წილად ადგილი აქვს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას. საერთო ბაზრის ჩამოყალიბება მრავალი სამართლებრივი ნორმის ჰარმონიზაციას გულისხმობს. ამ შეთხვევაში კავშირი გადის ვმო-ს კონცეფციის ფარგლებს გარეთ, მაგრამ პოზიტიურ ინტეგრაციას ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების შემდეგი საფეხურია ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს გარკვეული მიზნების მისაღწევად მაკროეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულ კოორდინაციას. სწორედ *ამ* საფეხურზე იწყება პოზიტიური ეკონომიკური ინტეგრაცია.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების უმაღლესი საფეხურია სრული ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ფულად-საკრედიტო, საგადასახადო, სოციალური, ანტიკრიზისული პოლიტიკის უნიფიკაციას, ერთიანი ვალუტის შემოღებას, ერთიანი ცენტრალური ბანკის არსებობას და ა.შ. ამ შემთხვევაში უკვე სახეზეა პოზიტიური ინტეგრაცია.

ასევე არსებობს "ბაზრების ინტეგრაცია" და "პოლიტიკის ინტეგრაცია" ანუ ინტეგრაცია "ზემოდან" პოლიტიკური ფაქტორების პრიმატით და ინტეგრაცია "ქვემოდან" ანუ ეკონომიკური ფაქტორების პრიმატით. ინტეგრაციული პროცესების ისტორია სწორედ "ბაზრების ინტეგრაციის" ანუ "ქვემოდან" ინტეგრაციის უპირატესობას ადასტურებს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული ინტეგრაციული გაერთიანებებიდან მხოლოდ ევროკავშირმა შეძლო თანმიმდევრულად გაევლო ინტეგრაციული პროცესების ყველა ზემოთაღნიშნული საფეხური, რაც იძლევა შესაძლებლობას ევროკავშირს ინტეგრაციული პროცესების კლასიკური მაგალითი ვუწოდოთ.

თანამედროვე ეტაპზე თანამშრომლობის გაღმავება მიმდინარეობს არამარტო ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკებს (რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვით), არამედ თვით რეგიონულ ინტეგრაციულ ბლოკებს შორის. როგორც ცნობილია, 1995 წელს დაიდო თანამშრომლობის შეთანხმება "მერკოსურს" და ევროკავშირს შორის. ასევე, ნაფტას და ევროკავშირის ეკო-

ნომიკური პოტენციალის გაერთიანების საფუძველზე გადაწყვეტილია ახალი ტრანსატლანტიკური ეკონომიკის წარმოქმნა. აღსანიშნავია, რომ 1996 წელს შეიქმნა კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია – ასემი, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის და ასიანის ქვეყნებს, იაპონიას, ჩინეთს, სამხრეთ კორეას. ეს ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებები არ წარმოადგენენ ჩაკეტილ ციხესიმაგრეებს და მათ შორის თანამშრომლობის გაღრმავება კი არ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით ეთანხმება გლობალიზაციის პროცესებს. გლობალიზაცია თანამედროვე ეტაპზე რეგიონალიზაციის და ღია რეგიონალიზმის პრინციპის მეშვეობით ხორციელდება.

§ 2. ევროკავშირი და ოპტიმალური სავალუტო ზონების თეორია

ევროკავშირი, როგორც ინტეგრაციის კლასიკური ნიმუშის საწყისი წერტილია 1950 წლის 9 მაისი, როცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. შუმანმა წამოაყენა იდეა საფრანგეთის და გერმანიის ფოლადისა და ქვანახშირის წარმოების გაერთიანების შესახებ. 1952 წელს ძალაში შევიდა შეთანხმება ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის საწყისი წერტილია 1957 წელი, როცა დასვლეთ ევროპის ექვსმა სახელმწიფომ (საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რსპუბლიკა, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი) ხელი მოაწერა ე.წ. „რომის ხელშეკრულებას“ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის და ატომური ენერგიის ევროპული კავშირის შესახებ.

ევროპის კავშირის შექმნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზები და მიზნები. ტერმინ "ევროპას" დიდი ისტორია აქვს. მსოფლიოს დაყოფა ცალკეულ კონტინენტებად მოდის ძველი ეგვიპტიდან, მაგრამ არა თანამედროვე სახელწოდებებით. ბიბლიაში არ არის ტერმინი ევროპა. პატრიარქებმა, მოციქულებმა

არ იციან ევროპის კონცეფცია. ჰეროდეტეს მოცემული აქვს მსოფლიოს დაყოფა 3 ნაწილად: ევროპად, აზიად და ლიბიად, რომლის ქვეშ გულისხმობდა აფრიკას. ცნობილია მითი, რომლის მიხედვითაც ზევსმა მოიტაცა ფინიკიის მეფის ქალიშვილი ევროპა და მისი სახელი დაერქვა კონტინენტს. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ბერძნული სიტყვა "ევროპა" ნასესხებია ფინიკიური ენიდან და შეიძლება "საღამოს ქვეყანას" ნიშნავდეს. ცნება ევროპა მოიცავს არა მხოლოდ გეოგრაფიულ გაგებას, არამედ ისტორიულ, სოციოკულტურულ, რელიგიურ და ბოლოს პოლიტიკურ აზრს. ეს ცნება არსებობს რამდენიმე ათასწლელი და ყოველთვის აღნიშნავდა უფრო მეტს, ვიდრე ამ ტერმინის გეოგრაფიული გაგება. ეს ცნება გამოყენებული იყო როგორც გეოგრაფიული კონცეფცია და ანტიკურ ეპოქაში ასოცირდებოდა თავისუფლების იდეასთან, XV საუკუნეში ქრისტიანული მსოფლიოს იდეასთან, XVI საუკუნეში ძალთა წონასწორობის პოლიტიკასთან, XVIII საუკუნიდან ცივილიზაციასთან.

აზრი ევროპის ერთიანობის შესახებ მწიფდებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. თანდათან მკვიდრდებოდა იდეა ევროპის იდენტურობის შესახებ, რაც გამოიხატა ტერმინ "ევროპელობის" დამკვიდრებაში. ევროპის იდენტიფიკაცია ატლანტის ოკეანიდან აღმოსავლეთ ევროპამდე ემყარებოდა ორ უნივერსალურ საყრდენს: რომის კათოლიკურ ეკლესიას და წმინდა რომის იმპერიას, რომელთაც ალტერნატივა არ გააჩნდათ.

პირველად ცნება "ევროპული ცივილიზაცია" გამოიყენა ფრანგმა ფიზიოკრატმა ბოდომ 1766 წელს ნაშრომში, რომელიც ეძღვნებოდა ჩრდილოეთ ამერიკაში ფრანგულ კოლონიებს. XIX საუკუნეში მოხდა სრული გაიგივება ევროპის და ცივილიზაციის. ამრიგად, ტერმინ ევროპას აქვს ხანგრძლივი ისტორია, მაგრამ ევროპის იდეა წარმოადგენს შედარებით ახალ ფენომენს.

ევროპაში ერთიანი ვალუტის აუცილებლობის იდეა პირველად წამოაყენა გერმანელმა ემერიხ კრიუსემ, XVII საუკუნეში. ე. კრიუსეს აზრით ვაჭრობა დამოკიდებულია ფულზე, ამიტომაც საჭიროა ერთიანი ვალუტა, რომელიც არასოდეს არ შეიცვლება, რადგანაც ფულის კურსთან ერთად იცვლება საერთაშორისო

ურთიერთობები. ემერიხ კრიუსეს ეს გენიალური აზრი იმ დროისთვის უტოპიას წარმოადგენდა. XVII საუკუნის ბოლოს გამოჩნდა პირველი ტრაქტატი ევროპის ერთიანობის შესახებ, რომლის საფუძველს პროტესტანტიზმი და მისთვის დამახასიათებელი პრაგმატიზმი წარმოადგენდა. (ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე უილიამ პენი, ინგლისელი მწერალი ჯონ ბელლერსი და სხვა).

"ევროპის იდეის" განვითარებაში ოქროს საუკუნეს განმანათლებელთა ეპოქა წარმოადგენს. მათ ეჩვენებოდათ რომ ერთიანი ევროპა – ეს არის რეალობა და არა ოცნების საგანი.

"ევროპის იდეა", რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა, ავლენს ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს. მაგრამ ჩნდება შეკითხვა: რატომ არ მივიდა ევროპა ინტეგრაციამდე მე-20 საუკუნის ნახევრამდე და რა ფაქტორები უშლიდა ხელს ამ პროცესს? ასეთი ფაქტორები არსებობდა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებში. მათმა ხანგრძლივმა და თანმიმდევრულმა ევოლუციამ გახადა აუცილებელი "ევროპის ოცნების" განხორციელება, თანაც ზუსტად იმ ფორმებში, რომელსაც ვხვდებით თანამედროვე დასავლეთ ევროპაში. ეს ფაქტორებია: ინდივიდუალიზმი და იერარქია, ინტენსიური ეკონომიკა და ექსტენსიური პოლიტიკა, ერთიანობა და მრავალფეროვნება.

ევროპის კავშირის განვითარების ეტაპები: XX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ ევროპის ფუნდამენტურმა თავისებურებებმა სამხედრო სფეროში, საერთაშორისო ურთიერთობებში, ეროვნულ პოლიტიკურ სისტემაში, ეკონომიკასა და სოციალურ ინსტიტუტებში "ევროპული იდეის" განხორციელებისათვის შექმნა უფრო ხელსაყრელი პირობები, ვიდრე ოდესმე იყო ისტორიაში. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ქვეყნები მოექცნენ უპრეცედენტო ეკონომიკურ კრიზისში. ომის შემდეგი ინტეგრაციული პროცესები ევროპაში განისაზღვრა პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიღებული იყო ევროპის უდიდესი სახელმწიფოების მეთაურების მიერ. დიდი როლი ითამაშა ე.წ. "მარშალის გეგმამ", რომლის ფარგლებშიც დასავლეთ ევ-

როპამ აშშ-საგან მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება მიიღო. ამის გარდა კოლონიური იმპერიების რღვევის შედეგად, ყოფილი მეტროპოლიები იძულებულნი გახდნენ გადაეხედათ საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისათვის და გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმოთ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე.

დასავლეთ ევროპის წინააღმდეგობის დროს (მე-2 მსოფლიო ომი) მომზადდა რეალური პროექტები დასავლეთ ევროპის გაერთიანებისათვის, რომელთაც განვითარების ფართო შესაძლებლობა ომის შემდეგ მიეცათ. ამ პროექტების განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების ფორმირება დაკავშირებულია სამ ქრისტიან-დემოკრატიული პოლიტიკოსის რობერტ შუმანის (საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი), ალჩიდე დე გასპერის (იტალიის პრემიერ-მინისტრი) და კონრად ადენაუერის (გფრ-ს პირველი კანცლერი) სახელებთან. "ევროპის ერთიანობა - ამბობდა 1954 წელს კ. ადენაუერი იყო ცოტას ოცნება, მაგრამ ის გახდა იმედი ბევრისათვის. დღეს იგი აუცილებელია ყველა ჩვენთაგანისათვის, ის აუცილებელია ჩვენი უსაფრთხოებისათვის, ჩვენი თავისუფლებისათვის, ჩვენი, როგორც ერის არსებობისათვის და როგორც ხალხთა სულიერ-შემოქმედებითი თანამეგობრობისათვის".

ინტეგრაციიული პროცესების განვითარებისათვის ეკონომიკური წანამძღვრები დასავლეთ ევროპაში ძალიან ხელსაყრელია. მათ მიეკუთვნება: ქვეყნების შედარებით პატარა ტერიტორია, მათი მეზობლური მდებარეობა, მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე (დაახლოებით 100 კაცი 1 კვ.კმ-ზე), ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, სატრანსპორტო ქსელის სიხშირე, საგარეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა ტრადიციები.

კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის პირველი ეტაპი, შეიმუშავა ჟან მონემ 1950 წელს, პოლ როიტერის, ეტიენ ჰირშის და პიერ იურის მონაწილეობით. გეგმას საფუძვლად დაედო ბევრი

გენიალური მოსაზრება, რომლებმაც განაპირობეს მისი წარმატება.

ეს გეგმა სისტემაში მოიყვანა რ. შუმანმა და ისტორიაში ცნობილია როგორც "შუმანის გეგმა". გეგმის მთავარ იდეას საფრანგეთის და გფრ-ის ფოლადისა და ქვანახშირის მრეწველობის გაერთიანებას მხარი დაუჭირა კ. ადენაუერმა. ამ გეგმამ მოწონება დაიმსახურა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მთავრობებშიც. გეგმის მთავარი იდეები შევიდა ე.წ "შუმანის დეკლარაციაში", რომალმაც იდეა ინტგრაციული დაჯგუფების შექმნის შესახებ გადააქცია ფართო საზოგადოების მონაპოვრად.

დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ, რ. შუმანის წინადადებას ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნის შესახებ შეუერთდა 6 სახელმწიფო: გფრ, საფრანგეთი, იტალია, ბენელუქსის ქვეყნები (ბელგია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია). რა მიზნები და მიზეზები ამოძრავებდა თითოეულ ქვეყანას? საფრანგეთისათვის გაერთიანებაში შესვლა ეროვნული ფოლადის მრეწველობის გადარჩენის საშუალება და გერმანიის სამრეწველო პოტენციალის გარდაუვალ ზრდაზე კონტროლის უზრუნველყოფა იყო. გერმანიისათვის, წამყვანი ევროპული სახელმწიფოს პოზიციის აღდგენა და მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა. ბენელუქსის ქვეყნებისათვის კი ძლიერი და დიდი მეზობლებისაგან დაცვის საშუალება.

ხელშეკრულებას ევროპის ფოლადისა და ქვანახშიერის გაერთიანების შექმნის შესახებ ხელი მოეწერა 1951 წლის 18 აპრილს, ძალაში შევიდა 1952 წლის 10 აგვისტოს, ეროვნული პარლამენტების მიერ რატიფიკაცის შემდეგ.

1957 წლის 25 მარტს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების 6 წევრმა-ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ. ხელშეკრულება ძალაში 1958 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

ეს ხელშეკრულება არის და იქნება "ევროდიპლომატიის" მწვერვალი - შესაძლებლის მიღწევის ხელოვნება და იმ საკით-

ხების უკონფლიქტო გადატანა უფრო გვიანდელ პერიოდში, რომელზედაც არსებობს უთანხმოება. რომის ხელშეკრულებაში ხაზგასმული იყო გაერთიანების ეკონომიკური მიზნები. რომის ხელშეკრულებამ გააერთიანა ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და ევროპის ატომური ენერგიის კომისია. რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ნაბიჯი იყო საბაჟო კავშირის შექმნა. საბაჟო კავშირი მოიცავდა წევრ-ქვეყნებს შორის ურთიერთვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციას, ერთიანი საგარეო-სავაჭრო ტარიფის დაწესებას, კავშირს შიგნით საბაჟო ტარიფების გაუქმებას, ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილების თანამეგობრობისთვის გადაცემას. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციით უნდა დამთავრებულიყო საერთო ბაზრის შექმნა, რაც უზრუნველყოფდა თანამეგობრობის ფარგლებში არა მარტო საქონლის, არამედ ფიზიკური პირების, მომსახურებისა. და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებასაც.

საერთო ბაზრის მშენებლობის სპეციფიკური ასპექტი იყო სოფლის მეურნეობა. ამ სფეროში უბრალო ლიბერალიზაცია არ იყო საკმარისი, იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ ევროპის აგრარული სექტორი ქრონიკულად არარენტაბელური იყო და ყველა წევრ-ქვეყანაში არსებობდა სოფლის მეურნეობის სუბსიდირების ეროვნული სისტემა. ამ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო სოფლის მეურნეობის სფეროში ეროვნული წესების უნიფიკაცია, სხვადასხვა ქვეყნის ფერმერებისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა, მათი დაცვა დამანგრეველი საერთაშორისო კონკურენციისაგან. ამ მიზნით რომის ხელშეკრულებაში ჩადებული იყო აგრარული ინტეგრაციის სამი ძირითადი პრინციპი: საერთო ბაზარი, წევრი-ქვეყნების ფერმერებისათვის პრეფერენციები და წევრ-სახელმწიფოთა ფინანსური პასუხისმგებლობა. რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებისათვის დადგენილ იქნა გარდამავალი პერიოდი 10-12 წლის ვადით.

1973 წლიდან რომის ხელშეკრულებას შეუერთდნენ, ე.ი. ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანდნენ დიდი

ბრიტანეთი, დანია, ირლანდია. 1981 წლიდან საბერძნეთი. 1986 წლიდან პორტუგალია და ესპანეთი. 1995 წლიდან ფინეთი, შვეცია, ავსტრია. 2004 წლის პირველი მაისიდან კი აღმოსავლეთ ევროპის 10 სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ 1993 წლიდან ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას ევროკავშირი ეწოდება.

ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასთან (ევროპის კავშირთან) განვითარებადი, განვითარებული ქვეყნების ასოცირების (შეერთების) შესახებ 1984 წელს დადებული ლომეის (სახელმწიფო ტოგოს დედაქალაქი) III კონვენციას ხელი მოაწერა აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის 66 სახელმწიფომ. გარდა ამისა, ევროპის კავშირთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ასოცირებულნი არიან ხმელთაშუაზღვის ქვეყნები: ალჟირი, ტუნისი, მაროკო, ლიბია, ეგვიპტე, იორდანია, სირია.

ევროკავშირის ძირითადი მიზნები იყო: 1) სამეურნეო ცხოვრების სახელმწიფოთაშორისი რეგულირების ბაზაზე ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის შექმნა. 2) რეგიონში კონკურენციის თანაბარი პირობებისა და კანონმდებლობის უნიფიკაცია. 3) მონაწილე ქვეყნებს შორის სავაჭრო შეზღუდვების თანდათანობით მოხსნა. 4) კავშირსგარე ქვეყანასთან ვაჭრობის ერთიანი საბაჟო ტარიფების დაწესება. 5) სამუშაო ძალის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილებისათვის შეზღუდვების ლიკვიდაცია. 6) ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. 7) სავალუტო კავშირის შექმნა. 8) საგადასახადო სისტემის უნიფიცირება. 9) ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემუშავება და სხვა.

ევროინტეგრაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს: საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას და შესაბამისად, მათი ეროვნული ბაზრების შერწყმას, მიმდინარე და სტრუქტურული პოლიტიკის ურთიერთშეთანხმებას, სავალუტო ინტეგრაციას, ბანკებისა და ბირჟების საქმიანობათა უნიფიკაციას და ა.შ

ევროკავშირის ინსტიტუციონალური სტრუქტურა ემსგავსება დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებს და მოიცავს: ევროპარლამენტს, ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიას, ევროსასამართლოს, ევროპულ საბჭოს. განვიხილოთ ისინი ცალცალკე.

ევროპარლამენტი: გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოა. პირველ ეტაპზე ევროპარლამენტი მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციით სარგებლობდა. ევროპარლამენტი 1971 წლიდან 518 წევრისაგან შედგება. პარლამენტს ირჩევენ პირდაპირი არჩევნებით ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე, 5 წლის ვადით. ევროპარლამენტის კომპეტენციას მიეკუთვნება:

ა) ბიუჯეტის მიღება;

ბ) დადგენილებების, დირექტივების და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა;

გ) კონტროლი ევროკომისიის საქმიანობის მიმართ. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია ხმათა 2/3-ით უნდობლობა გამოუცხადოს კომისიას;

დ) პოლიტიკური ფორუმების მოწვევა;

ევროპარლამენტის შტაბ-ბინაა ქ. ლუქსემბურგში.

ევროკავშირის საბჭო: კავშირის ღონისძიებათა ჩატარების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ორგანოა. მას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა კანონების მიღების სფეროში.

ევროკავშირის შტაბ-ბინაა ქ. ბრიუსელში.

ევროკომისია: ამუშავებს გაერთიანების ღონისძიებებს და ატარებს მათ ცხოვრებაში. კომისია არის კანონმდებლობის მთავარი ინიციატორი. აღმასრულებელი ფუნქციიდან გამომდინარე კომისია კონტროლს უწევს ქვანახშირისა და ფოლადის ფასებს, ებრძვის მონოპოლიზმს და ისეთ სუბსიდირებას, რომელიც ვნებს კონკურენციას, თვალყურს ადევნებს ბირთვულ (ენერგეტიკულ) დანადგარებს და სხვ.

ევროკომისია ამუშავებს კავშირის ეკონომიურ პოლიტიკას და ევროკავშირის საბჭოს მოწონების შემდეგ პრაქტიკულად ანხორციელებს მას.

ევროკომისიის შტაბ-ბინა არის ქ. ბრიუსელში.

ევროპის სასამართლო: შედგება 13 მოსამართლისაგან და 6 გენერალური ვექილისაგან, რომლებსაც ნიშნავენ 6 წლის ვადით ყველა წევრი-სახელმწიფოს თანხმობით.

სასამართლოს ევალება გაერთიანების ყველა ქვეყანაში კანონის ერთნაირი გამოყენების უზრუნველყოფა შემდეგ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით:

ა) დავები კომისიასა და წევრ-სახელმწიფოს შორის;

ბ) დავები წევრ-სახელმწიფოთა შორის;

გ) აქტები მიმართული კავშირის წინააღმდეგ;

დ) წევრ-სახელმწიფოთა სასამართლოს მიერ გადმოცემული საკითხები ევროპის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის შესახებ.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებისა და წევრი-სახელმწიფოს სასამართლოს კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა ევროსასამართლოს აქტს.

ევროსასამართლოს შტაბ-ბინა არის ქ. ლუქსემბურგში.

ევროპული საბჭო: **შედგება** წევრი-ქვეყნების (სახელმწიფოების) მეთაურების და ევროკომისიის პრეზიდენტისაგან. იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და ყველაზე მნიშვნელოვან საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს განიხილავს.

ევროკავშირის ინტეგრაციული პროცესების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს მრავალრიცხოვანი ერთობლივი ფონდები, რომელთა ნაწილი შექმნილია ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის ხარჯზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ აერთიანებს წევრი- ქვეყნების ეროვნული ბიუჯეტების 2,5-3%-ს.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დამლევს ევროკავშირში ძირითადად დასრულდა საქონლისა და სამუშაო ძალის "საერთო ბაზრის" შექმნა. 1966 წელს შეიქმნა საბაჟო კავშირი, უცხოური კონკურენციისაგან ევროკავშირის დასაცავად მოიხსნა ურთიერთშეზღუდვები ვაჭრობის სფეროში და იმპორტზე ერთიანი ტარიფი დააწესდა. 1967 წელს ჩამოყალიბდა აგრარული და სამრეწველო საქონლის "საერთო ბაზარი" ძირითადად ერთიანი ფასებით. სამრეწველო და აგრარული საქონლის რეგიონალური "საერთო ბაზრის" ჩამოყალიბებამ და კაპიტალის მოძ-

რაობის ლიბერალიზაციამ მოითხოვა სავალუტო-ეკონომიკური კავშირის შექმნა. სავალუტო-ეკონომიკური კავშირი გულისხმობს სავალუტო რეგულირების ზესახელმწიფოებრივი მექანიზმის ჩამოყალიბებას, სახელმწიფოთაშორისი რეგიონალური სავალუტო-საკრედიტო და ფინანსური ორგანიზაციების დაარსებას. აღნიშნული ფონდების და ორგანიზაციებისაგან აღსანიშნავია:

1) ევროპის საინვესტიციო ბანკი. დაარსდა 1958 წელს რომის ხელშეკრულების საფუძველზე. საინვესტიციო ბანკის ამოცანაა სესხისა და გარანტიების გაცემა ჩამორჩენილი რაიონების განვითარების სტიმულირებისათვის, სხვადასხვა პროექტების განხორციელება ევროკავშირის ფარგლებში. იგი აფინანსებს გაერთიანების დახმარებას განვითარებადი ქვეყნებისადმი. ბოლო დროს ამ ქვეყნების რიცხვს მიემატა ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც. ბანკის სათავეში დგას მმართველთა საბჭო, რომელშიც შედიან წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები.

ბანკის შტაბ-ბინა არის ქ. ბრიუსელში.

2) გაერთიანების ევროპული ფონდი – ეს არის ევროკავშირის ფინანსური ორგანიზაცია. ფონდის სახსრები ფორმირებულია კავშირის წევრი ქვეყნების შენატანების მიხედვით და გამიზნულია ევროკავშირთან ასოცირებული, ყოფილი კოლონიური, განთავისუფლებული ქვეყნების დახმარებისა და დაკრედიტებისათვის. ფონდის სახსრები გამოიყენება ეროვნული მნიშვნელობის ობიექტების (გზები, აეროპორტები) და სხვა ინფრასტრუქტურის დაფინანსებისათვის. განვითარების ევროპულმა ფონდმა ოპერაციები 1959 წელს დაიწყო.

3) ევროპის სოფლის მეურნეობის ორიენტაციისა და გარანტიების ფონდი - დაარსდა 1962 წელს. ფონდი სოფლის მეურნეობის სფეროში საბაზრო ურთიერთობათა დაფინანსების მიზნითაა შექმანილი.

4) ევროპის სოციალური ფონდი - ევროკავშირის ფინანსური ორგანიზაციაა. ფუნქციონირებს 1960 წლიდან. დადგენილებით ფონდის სახსრები იმ ღონისძიებების დასაფინანსებლადაა მიმართული, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებას დონის

ამაღლებას და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას კავშირის ქვეყნებში.

5) <u>ევროპის სავალუტო შეთანხმება</u> – არის შეთანხმება, რომელიც დაიდო კავშირის წევრ-ქვეყნებს შორის 1955 წლის აგვისტოს. ძალაში შევიდა 1958 წლის დეკემბერში. შეთანხმების ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მრავალმხრივი ანგარიშსწორების გაფართოების, ვაჭრობის ლიბერალიზაციის და კაპიტალის მოძრაობის გზით. შეთანხმება სტიმულირდება წევრ-სახელმწიფოთა შორის ანგარიშსწორებისათვის თავისუფალი სავალუტო ბაზრის გამოყენებით და არა მრავალმხრივი კლირინგული ოპერაციების მექანიზმით.

ფონდის ოპერაციების დარგში ტექნიკური აგენტის როლს ასრულებს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ბაზელში (შვეიცარია).

ევროპის სავალუტო შეთანხმების როლი წევრი ქვეყნების სავალუტო პოლიტიკაში უმნიშვნელოა, რადგანაც ამ მხრივ ის დუბლირებას უწევს საერთაშორისი სავალუტო ფონდს.

აღსანიშნავია, რომ ერთიანი სავალუტო-საკრედიტო სისტემის პროექტის დამუშავება დაიწყო ქ. ბარში (1969-70) ე.წ. "ბარის გეგმის" შექმნით. 1969 წელს ჰაგაში ევროკავშირის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების გადაწყვეტილებით პარალელურად შეიქმნა როგორც ეკონომიკური, ისე სავალუტო კავშირი ე.წ "ვერნერის გეგმა"– რომელიც კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო 1971 წლის 22 მარტს. ეს გეგმა ითვალისწინებდა ეტაპობრივი პროცესების განხორციელებას 10 წლის (1971–80 წ) მანძილზე. მიჩნეულია, რომ ნაწილობრივ განხორციელებული "ვერნერის გეგმის" ლოგიკურ გაგრძელებად საერთო ევროპული ინტეგრაციის გზაზე იქცა 1979 წლის 13 მარტს შექმნილი ევროპის სავალუტო სისტემა. ევროპის სავალუტო სისტემა განიხილებოდა მექანიზმად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ინტეგრაცია, შექმნას "ევროპის სტაბილურობის" ზონა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით შექმნილ იამაიკის სავალუტო სისტემასთან (1978 წ).

სწორე ევროპის სავალუტო სისტემა განსაზღვრავს დასავლეთ ევროპის ინტეგრაციული პროცესის თავისებურებებს, იმავე იამაიკის სავალუტო სისტემასთან შედარებით.

ევროპული ეკიუ – ეგრეთწოდებული "საერთო ბაზრის" ქვეყნების სავალუტო სახსარი იყო და ამ გაერთიანების ინგლისური სახელწოდების (European currency unit) პირველი ასოების აბრევიატურას ნიშნავდა.

"ეკიუს"-როგორც ევროპის ფულადი სისტემის სავალუტო ერთეული 1979 წლის 1 იანვარს იქნა შემოღებული. ძველ ფრანგულ რკინის ფულსაც (მონეტას) ეკიუ ეწოდებოდა, ის ხმარებაში 1266-70 წლებში შემოვიდა, როდესაც საფრანგეთში ფულადი სისტემა ყალიბდებოდა.

ეკიუს პირობითი ღირებულება განისაზღვრებოდა "სავალუტო ყუთის" მეთოდის საშუალებით, რომელიც შეიცავდა 15 ვალუტას. ეკიუს სავალუტო ყუთში ამა თუ იმ ვალუტის ხვედრითი წილი დამოკიდებული იყო შესაბამისი ქვეყნების ხვედრით წილზე წევრი-ქვენების საერთო საშინაო პროდუქტსა და მათ საქონელბრუნვაში.

ევროკავშირის ქვეყნების სრული ინტეგრაციის პროგრამა გამოქვეყნდა 1985 წელს ე.წ "თეთრ წიგნში". მასში განსაზღვრული იყო ვადები იმ ღონისძიებათა გატარებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ კაპიტალის, მომსახურების, საქონლისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას. 'თეთრი წიგნის" დამატებაა ერთიანი ევროპული აქტი, მიღებული 1986 წელს.

1987 წელს რატიფიცირებულ იქნა ერთიანი ევროპული აქტი. იგი მონაწილეთა ეკონომიკურ-პოლიტიკური ალიანსია და როგორც ეკონომიკურ, სავალუტო-საფინანსო და ჰუმანიტარულ თანამშრომლობას, ისე შეთანხმებულ საგარეო პოლიტიკას (ასევე უშიშროებას) ითვალისწინებს. 90-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირის წევრმა-ქვეყნებმა ერთიანი ბაზრის შექმნა პრაქტიკულად დაასრულეს და სავალუტო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის საბოლოოდ ფორმირებას შესამჩნევლად მიუახლოვდნენ. ყურადღებას იმსახურებს ორი მომენტი, რომელთაც

დააჩქარეს დღის წესრიგში ერთიანი სავალუტო და ეკონომიკური კავშირის შექმნის იდეის დასმა. ეს მომენტებია:

I. 1987-1988 წელს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებმა მოითხოვეს ევროკავშირთან მათი ურთიერთობების გადახედვა, რამაც მოლაპარაკებები მიიყვანა ერთიანი ევროპული ეკონომიკური ზონის შექმნამდე, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც ევროკავშირის, ასევე ასოციაციის ქვეყნები.

II. 1989 წლის აპრილში შეიქმნა "დელორის" კომიტეტი სავალუტო და ეკონომიკური კავშირის შესახებ, რომელმაც 10 თვის განმავლობაში მოამზადა ევროკავშირის განვითარების შემდგომი სამი ეტაპის პროექტი. "დელორის კომიტეტის" მიერ გამოთქმულმა იდეებმა დიდი რეზონანსი გამოიწვიეს. ამ იდეებმა გაიტაცა არა მარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნების მმართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ მილიონობით უბრალო მოქალაქე. ეკონომიკურმა და სავალუტო კავშირმა მიიღო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხარდაჭერა. 1989 წლის მე-2 ნახევარში დასავლეთ ევროპის მრავალი მოქალაქის გონებაში ეს იდეები გახდა ევროპული ინტეგრაციის ახალი ალმაფრენის სიმბოლო.

1992 წელს მოხდა გარდატეხა ევროპის თანამეგობრობის სისტემაში რომელიც ცნობილია მაასტრიხტის (ქალაქი ჰოლანდიაში) ხელშეკრულებით. რა იქნა მიღწეული მაასტრიხტში?

1) ხელშეკრულებამ ევროკავშირის შექმნის შესახებ დაუდო მყარი სამართლებრივი საფუძველი ევროპის სავალუტო-ეკონომიკურ კავშირს და ერთიან ვალუტას;

2) განსაზღვრულ იქნა ევროპის სავალუტო სისტემის ინსტიტუციონალური სტრუქტურა;

3) მაასტრიხტის ხელშეკრულებით განისაზღვრა ეკონომიკურ და სავალუტო კავშირზე გადასვლის 3 ეტაპის ზუსტი გრაფიკი;

4) შეთანხმებულ და დამტკიცებულ იქნა კონვერგენციის 5 კრიტერიუმი, რომელიც მოეთხოვება ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში შესასვლელად;

5) მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაამტკიცა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტულობა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩარჩოებში. კავშირის და მისი უმაღლესი ორგანოს ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის მთავარი მიზანი არის ფასების სტაბილურობა. დაქვემდებარებული ხასიათი გააჩნია მე-2 ამოცანას - თანამეგობრობის და წევრი-ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებების ხელშეწყობას.

მაასტრიხტის ხელშეკრულებით (თებერვალი 1992) ევროგაერთიანება 1994 წლის იანვრიდან ევროკავშირად გარდაიქმნა. ამ ხელშეკრულებამ ევროკავშირს დააკისრა შემდეგი უმთავრესი ფუნქციები:

1. ერთიანი ვალუტის შემოღება და მართვა;
2. ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია და კონტროლი, განსაკუთრებით საბიუჯეტო საკითხებში;
3. ერთიანი ბაზრის დაცვა, რომლის საფუძველს წარმოადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია;
4. მდიდარ და ღარიბ რეგიონებს შორის სახსრების გადაადგილების გათანაბრება;
5. კანონიერების და სამართლიანობის დაცვა;
6. ერთიანი საგარეო პოლიტიკის მართვა;

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ წარმოაჩინა 3 ძირითადი პრობლემა:

I. აჩვენეს მიმდინარე ინტეგრაციული პროცესის სირთულე;
II. ფინანსურ ბაზრებზე გავლენით, მათ აჩვენეს პოლიტიკური კურსის გაუანგარიშებლობა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ფინანსურ-ეკონომიკური საფუძველი;
III. გამოჩნდა წინააღმდეგობა თანამეგობრობის მთავარ ქვეყნებს შორის (დიდი ბრიტანეთი, გფრ, საფრანგეთი, იტალია);

1995 წლის ივნისში ევროკავშირის კომისიამ გამოაქვეყნა ე.წ "მწვანე წიგნი" ერთიანი ვალუტის შემოღების პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ, სახელწოდებით "ერთი ვალუტა ევროპისათვის". მასში წამოჭრილი იყო 3 ამოცანა:

I. სავალუტო კავშირზე გადასვლის ყველა შესაძლო სცენარიდან ერთის ამორჩევა, რომელიც გააქრობდა განუსაზღვრელობას და შეამცირებდა გარდამავალი პერიოდის დანახარჯებს;

II. სავალუტო კავშირზე გადასვლის პროცესის ყველა მონაწილისათვის კონკრეტული ამოცანის განსაზღვრა;

III. საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერისათვის პროექტის ფართო გაშუქების სხვადასხვა მიმართულებების შემუშავება;

1995 წელს ევროკავშირმა მადრიდში მიიღო ევროკომისიის მიერ შემუშავებული გადასვლის სცენარი და გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ერთიანი ვალუტის სახელწოდება იქნება "ევრო".

ფულისა და ვალუტის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა რამდენიმე ქვეყნის ვალუტის გაერთიანებით ევროპის სავალუტო (მონეტარული) კავშირის (ესკ) "EMU" -სა (European Monetary Union) და მისი ფულადი ერთეულის "ევროს" (Euro) შემოღება.

ევროკავშირის ქვეყნებისა და განსაკუთრებით კომპანიებისათვის ერთიან ფულად პოლიტიკასა და ვალუტაზე გადასვლას გარკვეული მიზეზები და უპირატესობები ჰქონდა. სახელდობრ:

1. ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური ბაზარი სრულყოფილი ვერ იქნებოდა მანამ, სანამ კავშირის ქვეყნებში ეროვნული ფულადი სისტემები მოქმედებდა.
2. ვარაუდობდნენ, რომ "ევრო" წარმატებით იბრძოლებდა ინფლაციის წინაალმდეგ, სტიმულირებას მიანიჭებდა ინვესტიციებს, წარმოებას, დასაქმებას და სახელმწიფო ფინანსების სტაბილიზაციას.
3. პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთიანი ვალუტა დასავლეთ ევროპას საშუალებას მისცემდა ჰქონოდა ისეთი ძლიერი ფულადი ერთეული, რომელიც ეფექტიანად დაუპირისპირდებოდა დოლარს და იენას, ხელს შეუწყობდა ევროკავშირის პოტენციალის გაძლიერებას.

4. მეურნეობის სუბიექტებისათვის ევრო ხელს შეუწყობდა ევროკავშირის ტერიტორიაზე ფულად საკრედიტო და სავალუტო რეგულირებას.
5. ტექნიკურად, ერთი ვალუტა მრავალვალუტიან გარემოსთან შედარებით შეამცირებდა სავალუტო რისკს, გააიაფებდა სავალუტო გზავნილებს.
6. ევროკავშრის ქვეყნის მოქალაქეები "ევრო"-საგან მოელოდნენ შრომის ბაზარზე კონიუნქტურის გაუმჯობესებას, შემოსავლების ზრდას და ხარჯების შეფარდებით შემცირებას.

პირველ ეტაპზე ევროკავშირის ქვეყნებმა მოხსნეს ურთიერთ შეზღუდვები კაპიტალისა და გადასახადების მოძრაობაში და დაიწყეს სახელმწიფო ფინანსების სტაბილიზაცია, იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ევროკავშირმა "ევროსსავალუტო კავშირში" შესასვლელად დაადგინა. ეს კრიტერიუმებია:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) არა უმეტეს 3%-ისა. (2000 წლიდან უდეფიციტო ბიუჯეტი ან დადებითი სალდოთი);
2. სახელმწიფო ვალი მშპ-ის არა უმეტეს 60%-ისა;
3. წლიური ინფლაციის 3-3,3%-ის დონე;
4. გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის საშუალო ნომინალური სიდიდე (დაახლოებით 9%);
5. ევროკავშირის მიერ დადგენილი საცვლელი სავალუტო კურსების სტაბილიზაციის მექანიზმის დაცვა.

ევროკავშირის სამმა ქვეყანამ (დიდი ბრიტანეთი, დანია, შვედეთი) ერთიან სავალუტო კავშირში გაერთიანებაზე თავი შეიკავა, ამასთან, ეს ქვეყნები "ევროსავალუტო" კავშირში შესვლის პრინციპული წინააღმდეგები არ არიან, მაგრამ შვედეთის მთავრობა მოცდას მიიჩნევს საჭიროდ, დანიას ერთიანი ვალუტის სამართლებრივი ასპექტები არ აკმაყოფილებდა, ხოლო დიდი ბრიტანეთი დაყოვნების პოლიტიკას ამჯობინებს და პრაქტიკაში "ევროს" აღიარებას დაელოდა.

2002 წლის პირველი ინვრიდან ევროკავშირის 12 ქვეყანაში ევრომ დაიწყო ფუნქციონირება. ეს 12 სახელმწიფო ერთად ქმნის "ევროს მოქმედების ზონას", ხოლო მათი ცენტრალური ბანკები, ევროპის ცენტრალურ ბანკთან ერთად შეადგენენ ე.წ. "ევროსისტემას".

ცენტრალური ევროპული ბანკი დაარსდა 1998 წელს. ევროპის ცენტრალური ბანკის ერთერთი ძირითადი ამოცანაა ევროს მოქმედების ზონაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება და ევროს მსყიდველობითუნარიანობის დაცვა. გარდა ამისა, ევროპის ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელია ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

ცენტრალური ბანკის მიერ ევროს მოქმედების ზონაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება გულისხმობს ინფლაციის მკაცრ კონტროლს. ცენტრალური ბანკი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ სამომხმარებლო ფასების ყოველწლიური ზრდა არ აღემატებოდეს 2%-ს. ბანკი ამას ორი გზით ანხორციელებს:

I. პირველ რიგში, აკონტროლებს ფულად მარაგებს. თუ ფულადი მარაგი აღემატება საქონლის და მომსახურების მარაგს, ამას შედეგად ინფლაცია მოჰყვება;

II. თვალყურს ადევნებს ფასების მხრივ არსებულ ტენდენციებს და აფასებს იმ საშიშროებას, რომლითაც ისინი ემუქრება ევროს მოქმედების ზონაში ფასების სტაბილურობას.

იმ ზღვრამდე, სანამდეც შესაძლებელია ევროპის ცენტრალური ბანკი იყენებს ეროვნული ცენტრალური ბანკების შესაძლებლობებს. ევროპული ცენტრალური ბანკების სისტემის მთავარი მიზანი არის ფასების სტაბილურობის ხელშეწყობა. მისი მიღწევისათვის ეცხს წყვეტს შემდეგ ამოცანებს.

I. შეიმუშავებს და ახორციელებს ევროპის საავალუტო სისტემის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას;

II. ასრულებს საავალუტო ოპერაციებს მესამე ქვეყნებთან ურთიერთობებში;

III. ინახავს და მართავს წევრი-ქვეყნების ოფიციალურ საერთაშორისო ლიკვიდურ რეზერვებს (თავდაპირველად ეცბ-ის განკარგულებაშია 50 მლრდ. ევრო)

IV. საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ევროპის ცენტრალური ბანკი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას ევროკავშირის შიგნით, ყველა თავის მოქმედებაში ეცბ ხელმძღვანელობს ღია საბაზრო ეკონომიკის და თავისუფალი კონკურენციის პრინციპებით.

ეროვნული ცენტრალური ბანკები არის ეცბ-ის ერთადერთი აქციონირები, მათი წილი კაპიტალში და მოგებაში პროპორციულია ამ ქვეყნების წილისა მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში და თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მთლიან მშპ-ში.

ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს გერმანული მოდელის მთავარ ხაზს - ფასების სტაბიულური დონის შენარჩუნება.

ევროს შემოღება არის ეკონომიკური ინტეგრაციის ლოგიკური ეტაპი და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაზე ადექვატური პასუხი. მისდევს რა შიდა მიზნებს, ევროს შემოღება არ ეხება არავის ინტერესებს და საბოლოო ანგარიშით, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების განვითარებას ემსახურება.

ოპტიმალური სავალუტო ზონის თეორია და ევროს ზონა: ოპტიმალური სავალუტო ზონის თეორიის ავტორია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ მანდელი.

ოპტიმალური სავალუტო ზონის ძირითადი პრინციპებია:

1. სავალუტო ზონის წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობა უნდა აღემატებოდეს მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობას;
2. წევრ-ქვეყნებს შორის ეკონომიკური ციკლის სინქრონიზაციის მაღალი დონე;
3. შრომის და კაპიტალის მობილურობის მაღალი ხარისხი.

რ. მანდელი ოპტიმალურ სავალუტო ზონას განიხილავდა, როგორც ცალკეული ქვეყნების მიერ შექმნილ სავალუტო კავშირს, რომლებსაც შრომის და კაპიტალის მობილურობის მაღა-

ლი ხარისხი ახასიათებთ ე.წ. "ასიმეტრიული შოკების" დროს ცალკეულ ქვეყნებში დასაქმების მაღალი დონის მხარდაჭერის მიზნით.

რ. მანდელის "ოპტიმალური სავალუტო ზონების" თეორიის მიხედვით "ევროს ზონა" არ წარმოადგენს ასეთ ზონას, ხოლო გადაწყვეტილებას მისი შექმნის შესახებ ჰქონდა არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათი. ევროკავშირის ბევრი ქვეყნისათვის (მაგ. საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ფინეთი) უკანასკნელ პერიოდამდე დამახასითებელი იყო ეკონომიკური ციკლის ასინქრონულობა. აქედან გამომდინარე არ იყო გამორიცხული ე.წ. "ასიმეტრიული შოკების" წარმოქმნა, ანუ ისეთი შოკების, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებს შეეხებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, საგარეო შოკების კორელაცია დასავლეთ ევროპის სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვაა, ხოლო შოკებთან შეგუება ევროკავშირის ფისკალური სისტემით არ არის მნიშვნელოვანი. შეგუების მთავარი ელემენტებია შეფარდებითი ფასების მოძრაობა და შიდა საგადასახადო პოლიტიკა. ერთიანმა ვალუტამ გააქრო შეფარდებითი ფასების მოძრაობის კომპონენტი (საცვლელი კურსი, ხოლო ევროპის სავალუტო სისტემა ზღუდავს დამოუკიდებელ სფეროს - შიდა საგადასახადო პოლიტიკას).

სტაბილიზაციის მიღწევის საშუალებების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობა ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია. საგადასახადო პოლიტიკა ეფექტიანია ევროკავშირის ყველა ქვეყანაში გერმანიის გარდა, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეფექტიანი მხოლოდ გერმანიასა და დიდ ბრიტანეთშია, ე.ი. ეს ქვეყნები კარგავენ ყველაზე მეტს ეკონომიკური პოლიტიკის აღნიშნულ ინსტრუმენტზე უარის თქმით.

ეროვნული სახელმწიფოების ხელში რჩება სტაბილიზაციის მიღწევის ორი სხვა საშუალება – ხელფასის რეგულირება და სამუშაო ძალის მობილურობის გაფართოება. რეალური ხელფასის შემცირება დევალვაციის ექვივალენტურია. ეროვნუ-

ლი ვალუტის პარიტეტის კლება და ფასების ზრდა ნიშნავს რეალური ხელფასის შემცირებას. იგივე ეფექტი არის როცა რეალური ხელფასი კლებულობს უცვლელი ფასებისა და საცვლელი კურსის დროს, ხელფასი (რეალურიც და ნომინალურიც) უფრო ინერციულია, ვიდრე ფასი და საცვლელი კურსი, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში. მოთხოვნის შემცირება და ამით გამოწვეული წარმოების შემცირება იწვევს უმუშევრობის ზრდას და არა ნომინალური ხელფასის შემცირებას. ეს კი თავისთავად მოქმედებს მშრომელთა სოციალურ მდგომარეობაზე. ხელფასის რეგულირება არის დაკავშირეული დიდ დანახარჯებთან და არაპრაქტიკულია. საცვლელი კურსების ლიკვიდაციის გამო ევროკავშირს მოუწევს დიდი დანახარჯების გაწევა საგარეო შოკებთან შესაგუებლად.

ეკონომიკური კონიუქტურის გაუარესების შემთხვევაში სამუშაო ძალა არ წავა იქითკენ, სადაც მასზე მოთხოვნა იზრდება. ენაში, ტრადიციაში, კულტურაში განსხვავება დასავლეთ ევროპაში სამუშაო ძალის გადაადგილებას პრობლემატურს ხდის. ამავე დროს მიგრანტებად ხდებიან განათლებული და კვალიფიციური მუშები, რაც ხელს არ უწყობს დეპრესიული ეკონომიკის აღმავლობას, არამედ პირიქით, აცლის მას ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან რეზერვს. აშშ-ში სამუშაო ძალის მობილურობა 3-ჯერ მაღალია, ვიდრე გერმანიასა და საფრანგეთში.

საგარეო შოკებთან შეგუების მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია კაპიტალის მობილურობა და მისი მიღწევადობა კრიზისის დროს. კაპიტალის მობილურობა აშშ-ს რეგიონებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, სადაც კაპიტალის კერძო ბაზარი უზრუნველყოფს რეგიონალური შოკებისაგან დაზღვევის დაბალ ხარისხს.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნით ეროვნულ სახელმწიფოებს რჩებათ დამოუკიდებლობა ფისკალური პოლიტიკის გატარებაში. ანტიკრიზისული რეგულირების ამ მეთოდის მნიშვნელობა იზრდება, რადგანაც წევრი სახელმწიფოები ამ მიზნისათვის ვერ გამოიყენებენ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას. საგარეო შოკების წინააღმდეგ ბრძოლაში ფის-

კალური ფაქტორი შემოიფარგლება ეროვნული სახელმწიფოს ბიუჯეტის ჩარჩოებით, განსხვავებით აშშ-საგან სადაც ყველა შოკის 40%-მდე ფედერალური საგადასახადო სისტემის მიერ იფარება.

აღსანიშნავია, რომ ევროს გარეშე საერთო ბაზარი არ იქნებოდა სრულყოფილი და ვერ შეძლებდა თავისი მიზნების მიღწევას: დასავლეთ ევროპის კონკურენტუნარიანობის გაზრდას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან, რომელთაც გააჩნიათ წარმოების დაბალი დანახარჯები და აშშ-ს მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკასთან შედარებით.

ერთიანი ვალუტის უპირატესობებია:

1. მას შეუძლია შეამციროს სავალუტო გაცვლის დანახარჯები, ევროპის კომისიის ექსპერტთა გაანგარიშებით სავალუტო გაცვლის დანახარჯები ევროკავშირის ქვეყნებში 1986-1995 წლებში შეადგენდა წლიური მშპ-ს 1%-ს.
2. ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩამოყალიბებამ გააქრო სავალუტო არასტაბილურობასთან და რყევასთან დაკავშირებულ რისკი.
3. ევრო უფრო მეტია, ვიდრე ეროვნულ ვალუტათა ნაკრები, რომლებიც მან შეცვალა.
4. ერთიანი ვალუტის შემოღებით ფასები წევრ-ქვეყნებში ერთ ვალუტაშია გამოხატული, გაქრა სავალუტო რყევებთან დაკავშირებული ფასთა პროპორციების ცვლილებები. ევროკავშირში ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად გაზრდილი კონკურენცია არის სტიმული ტექნიკის და ტექნოლოგიების სრულყოფის, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, რაც საბოლოოდ წევრ-ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების საფუძველია.

ევროკავშირი არის ძლიერი, დემოკრატიული და განათლებული ერი-სახელმწიფოების პირმშო. სწორედ ისინი აღმოჩნდენენ უზრუნველმყოფნი სამოქალაქო საზოგადოების, კანონიერების და წესრიგის, ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის მშენებლები, რომელმაც ომის შემდგომ ევროპას მშვიდობა და აღორძინება მოუტანა. ევროკავშირზე ეროვნული სახელმწიფოების

მხრიდან ზოგიერთი უფლებების გადაცემამ კი არ შეასუსტა, არამედ პირიქით, გააძლიერა ისინი. ზეროვნული ორგანოები გამოიყენება მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც მათ შეუძლიათ უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება და ცხოვრებაში განხორციელება, ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოებს. ძლიერი ეროვნული სახელმწიფოების გარეშე არ იყო და არც იქნება მყარი ინტეგრაცია.

დასავლეთ ევროპამ გააკეთა დიდი ნაბიჯი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისაკენ. დასავლეთ ევროპა არის სახელმწიფოთა კონფედერაციული თანამეგობრობა, რომელსაც აქვს ერთიანი პარლამენტი, ერთიანი მთავრობა და არაფორმალურად ერთიანი მოქალაქეობა, ეროვნულის გვერდით, ერთიანი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია.

დასკვნა:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკური თეორიებია: ფედერალიზმი, ფუნქციონალიზმი, ნეოფუნქციონალიზმი, კომუნიკაციის თეორია, ახალი ინსტიტუციონალიზმი და ისტორიული ინსტიტუციონალიზმი.
2. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ეკონომიკური თეორიებია: ნეოლიბერალური, კორპორაციონისტული, დირიჟისტული, ნეოკეინსიანური და სხვა.
3. ნეგატიური ინტეგრაცია გულისხმობს საქონლის, მოსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის მოძრაობის გზაზე ბარიერების უბრალო გაუქმებას, რასაც როგორც ეკონომიკური თეორიიდანაა ცნობილი თან ახლავს კონკურენციის ზრდა, ფასების შემცირება, ხარისხის ზრდა და საბოლოო შედეგით ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა. პოზიტიური ინტეგრაცია კი გულისმობს იმ წესების და ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც კიდევ უფრო ზრდიან საქონლის, მომსახურების და წარმოების ფაქტორების მობილურობას.

4. ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურებია: თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური კავშირი, სრული ეკონომიკური ინტეგრაცია.
5. მსოფლიოში არსებული ინტეგრაციული გაერთიანებებიდან მხოლოდ ევროკავშირმა შეძლო თანმიმდევრულად გაევლო ინტეგრაციული პროცესების ყველა ზემოთაღნიშნული საფეხური, რაც იძლევა შესაძლებლობას ევროკავშირს ინტეგრაციული პროცესების კლასიკური მაგალითი ვუწოდოთ.
6. ოპტიმალური სავალუტო ზონის თეორიის ავტორია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ მანდელი. რ. მანდელი ოპტიმალურ სავალუტო ზონას განიხილავდა, როგორც ცალკეული ქვეყნების მიერ შექმნილ სავალუტო კავშირს, რომლებსაც შრომის და კაპიტალის მობილურობის მაღალი ხარისხი ახასიათებთ.
7. რ. მანდელის "ოპტიმალური სავალუტო ზონების" თეორიის მიხედვით "ევროს ზონა" არ წარმოადგენს ასეთ ზონას, ხოლო გადაწყვეტილებას მისი შექმნის შესახებ ჰქონდა არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათი.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რას ნიშნავს რეგიონული ინტეგრაცია?
2. დაახასითეთ ინტეგრაციის ეკონომიკურ-პოლიტიკური თეორიები.
3. რას ნიშნავს პოზიტიური და ნეგატიური ინტეგრაცია, ინტეგრაციის სტატიკური და დინამიკური ეფექტები?
4. დაახასიათეთ ევროკავშირის განვითარების ეტაპები?
5. რას ნიშნავს ერთიანი ეკონომიკური და სავალუტო კავშირი?
6. ჩამოთვალეთ მაასტრიხტის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები?
7. რას ნიშნავს ოპტიმალური სავალუტო ზონა და არის თუ არა ევროკავშირი ოპტიმალური სავალუტო ზონა? რატომ?

ლიტერატურა:

1. გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004.
2. ბასილია თ, სილაგაძე ა, ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001
3. ეთერია ე., გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი, ჟურნ. ახალი აზრი, №5, 2002 წ.
4. ეთერია ე., გლობალური ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №1, 2003 წ.
5. ეთერია ე., გლობალიზაციის არსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. ახალი აზრი, ივნისი 2003 წ.
6. ეთერია ე., რეგიონული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ლექციების კურსი, თბ. 2005
7. თოდუა გრ. ეროვნული ფაქტორის როლი საერთაშორისო ეკონომიკაში და თანამედროვეობა, ჟურნ. ეკონომიკა, 1997, №7-8
8. მსოფლიო ეკონომიკა. გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით. თბ. 2001.
9. მესხია ი., კვარაცხელია ვ., გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის. ჟ. "სოციალური ეკონომიკა", № გვ. 112-113
10. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია და საქართველო: გამოწვევა, პრობლემები, პერსპექტივა. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბ., "მეცნიერება", 2002.
11. მოვსესიანი ა., ოგნინცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა, რუსულიდან თარგმნა შ. ვეშაპიძემ, თბ., 2003.
12. რონდელი ა, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 1996
13. საგარეო პოლიტიკის ანალიზის ცენტრი, ბიულეტენი, 2002, №3, გვ. 6

14. ჩიკვაიძე თ., გლობალიზაციის ისტორიული გამოწვევის პასუხი: მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროექტი. დისკუსია თემაზე: "გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი". გაზეთი განათლება, მეცნიერება, ბიზნესი. აპრილი, 2003
15. ჯითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი 3, თბ. 2001.
16. ჯიბუტი მ, მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის უახლესი ისტორია და პერსპექტივები, ეკონომიკის აქტუალური საკითხები (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), თბ., 2001, XVI გამოშვება
17. Авдокушин Е.Ф. Международные экономические отношения Учебное пособие – М.: ИВЦ «Маркетинг», 2000
18. Внешнеэкономический тольковый словар. М. Инфра-М, 2000.
19. Ван дер Вее Г. История мировой экономики 1945-1990. Перевод с франц. М., 1994.
20. Гаджиев К.С. Геополитика. М., 1997.
21. Киреев А.П. Международная экономика. В 2-х ч. – Ч. I и II. Международная микроэкономика: движение товаров и факторов производства. Учебное пособие для вузов. – М.: Международные отношения, 2001.
22. Колесов В. П., Кулаков М. В. Международная Экономика М., 2004
23. Кругман П.Р., Обстфельд М.Г. Международная экономика. - М.: ИВЦ «Маркетинг», 2000.
24. Линдсрт П., Экономика мирохозяйственных связей. М., Прогресс, 1992
25. Ломакин В., Мировая экономика. М., Финансы. 1998
26. Международные экономические отношения. Учебное пособие для вузов./Под ред. В.Е. Рыбалкина, М.: ИНФРА-М, 1999.

27. Международные экономические отношения – В. 2-х томах - Под общей ред. Р.И. Хасбулатова. – М.: Изд-во «Новости», 2002.
28. Международные экономические отношения. Учебник./Под общ. ред. Е.Ф. Жукова – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2000.
29. Международные экономические отношения/Под ред. Евдокимова А.И. - М.: ТК Велби, 2003.
30. Международные экономические отношения/Под ред. Фаминского И.П. - М.: Юрист, 2001.
31. Мир на рубеже тысячелетий. Прогноз развития мировой экономики до 2015 года. (ИМЭМО РАН) / Под ред. В. Мартынова, А.А. Дынкина. М.: Новый век, 2001
32. Миклашевская Н.А., Холопов А.В. Международная экономика: Учебник. - М.: Изд-во МГУ, 2000.
33. Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Международная экономика. М., 2003
34. Мировая экономика. Экономика зарубежных стран. Под ред. Колесова В.П., Осьмовой М.Н. М., 2002
35. Михайлушкин А.И. Международная экономика.– М.:Высшая школа, 2002.
36. Носкова И.Я., Максимова Л.М. Международные экономические отношения. М.: "Банки и биржи", 1995.
37. Носкова И.Я. Международные валютно-кредитные отношения. М.: "Банки и биржи", 1995.
38. Овчинников Г.П. Международная экономика. – М.:Из-во Михайлова В.А,1999
39. Пебро М. Международные экономические, валютные и финансовые отношения. Перевод с франц. М., 1996.
40. Погорлецкий А., Экономика зарубежных стран. С-ПБ.,2000
41. Портер М. Международная конкуренция: Пер. с англ. и с предисловием В. Д. Щетинина. - М.ИНФРА-М, 2000.
42. Путель Т.А, Линдерт П.Х. Международная экономика. М., 2003

43. Семенов К. А. Международная экономическая интеграция—М.:Логос, 2001.
44. Сергеев Е.Ю.. Международные экономические отношения, курс лекций, М.: Маркетинг, 2002.
45. Сергеев П.Ф. Мировое хозяйство и международные экономические отношения на современном этапе. М.ИНФРА-М, 2000.
46. Хасбулатов Р. Мировая экономика, М., Инсан, 1994
47. Шемятенков В., Евро: две стороны одной монеты М., экономика, 1998
48. Щербанин Ю., Международные Экономические отношения: интеграция. М.,1997
49. Шишков Ю.В. Интеграционные процессы на пороге XXI века. Почему не интегрируются страны СНГ? М., 2001.
50. Appleyard D., Field A. (A) International Economics.
51. Vanags A. (UL) International Economics. University of London, Subject Guide, 2001.
52. Winters, A. (W) International Economics, 4th edition.
53. Bowen H., Hollander A., Viaene J. (BHV) Applied international trade analysis. Macmillan.
54. Ethier W. (E) Modern International economics, 3rd edition. W.W. Norton & Co., 1997.
55. Handbook of International Economics (HIE), Elsevier Science B.V., Amsterdam 1997

პერიოდული გამოცემები:

1. სოციალური ეკონომიკა
2. Мировая экономика и международные отношения.
3. Международная жизнь
4. США: экономика, политика, идеология
5. Латинская Америка
6. DEVELOPING ECONOMIES
7. ECONOMIC DEVELOPMENT QUARTERLY
8. HARVARD BUSINESS REVIEW

9. INTERNATIONAL REVIEW OF LAW AND ECONOMICS
10. Journal of International Economics
11. WORLD ECONOMY
12. WORLD POLITICS

ვებ-გვერდები:

1. მსოფლიო ბანკი www. worldbank.org
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი www.imf. org
3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია www. wto.org
4. ევროკავშირი www. europe. eu. int.
5. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – http://www.oecd.org
6. ნაფტა www.nafta.net
7. ასეანი www.asean.org